

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯანაშიაძის სახ. ინტორის. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თეიმურაზ ვიქალაძე

# არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე

(მასალები ძველი ფასიის ისტორიისათვის)

კილხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის

უ რ მ ე ე ბ ი

I



„მეცნიერება“  
თბილისი 1978

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1961—1965 წწ. და კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1971—76 წწ. მდ. რიონის ქვემო წელზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშს. ნაშრომში გამოქვეყნებულია აღნიშნული ექსპედიციების ძირითადი მონაპოვარი. განსაზღვრულია ამ მონაპოვრის პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, მისი ისტორიული შინაარსი და მეცნიერული მნიშვნელობა. მასალის ანალიზი დაქვემდებარებულია კოლხეთის უძველესი საქალაქო ცენტრის ფასისის პრობლემისადმი, რადგან რიონის ქვემო წელზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ პრობლემის დამუშავებას ისახავდა მიზნად. ამის გამო საჭირო გახდა მეცნიერებაში ფასისის პრობლემის მდგომარეობისა და ფასისის შესახებ საისტორიო წყაროების ცნობათა განხილვა, რასაც წინამდებარე ნაშრომის სათანადო თავები ეძღვნება.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### 1. რიონის შესართავთან არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიისათვის

მდ. რიონის შესართავის მხარეში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. რევოლუციამდე, ისევე როგორც სხვა მხარეების, ამ რაიონის არქეოლოგიურ შესწავლასაც შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ასეთ ეპიზოდურად უნდა ჩაითვალოს თბილისის V არქეოლოგიური ყრილობისათვის მზადების პერიოდში ყურადღების გამახვილება ზოგიერთი შემთხვევითი მონაპოვრის მიმართ და მდ. რიონის ქვემო წელზე ხანმოკლე არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარება<sup>1</sup>. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ საკვლევი მხარის არქეოლოგიური შესწავლისათვის გასაბჭოებამდე აღარავის მოუძლია.

გასაბჭოების შემდეგ რიონის ხეობისა და, კერძოდ, ფოთის მხარის არქეოლოგიური შესწავლის პიონერი იყო ცნობილი მხარეთმცოდნე ბ. გოგოლიშვილი, რომელმაც წლების მანძილზე დაუღალავად ზეერა და აღწუსა მრავალი ძეგლი. ეს შრომატევადი და ხანგრძლივი დაუღალავი მუშაობა გამოვლინდა „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების რუკაში“, რომელიც ქ. ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია დაცული. მართალია, ეს რუკა ახლა დაზუსტებას საჭიროებს არა მარტო დატანილი ძეგლების განსაზღვრებათა თვალსაზრისით, არამედ ფაქტობრივადაც, მაგრამ მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აღნიშნულ რუკას ახლაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებით ეტაპებზე, როგორც მდ. რიონის, ისე ხობის, ცხენისწყლის, ენგურისა და სხვა მდინარეთა ხეობებში.

მდ. რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური შესწავლის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია იმ დიდ სამუშაოებთან, რომლებიც კოლხეთის ჭაობების დაშრობას ისახავდა მიზნად. ამ დროს, 1933—1934 წლებში სოფ. ქეალონის მახლობლად მიმდინარეობს სამოსახლო ბორცვის „ნაოხვამუს“ შესწავლა, რასაც საქართველოს სსრ სიძველეთა დაცვის კომიტეტის ექსპედიცია ახორციელებს; საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობს ა. ბოლოტენოვა. ბორცი „ნაოხვამუს“ კოლხეთში ორმოციან წლებამდე<sup>2</sup>, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ძეგლი იყო, რომელიც, მართალია სხვადასხვა ექსპედიციების მიერ, მაგრამ მაინც ასე თუ ისე

<sup>1</sup> М. Смирнов, О некоторых древностях Кутаисской губернии, V археологический съезд в Тифлисе, I. Труды предварительных комитетов, М., 1882; Г. Церетели, Заметки о курганах и раскопках по Рионской долине, в археолог. съезд. I, Труды предварительных комитетов, стр. 333—340.

<sup>2</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში. ენიშის მოამბე, 1941, X, გვ. 330 და შმდ.

მეთოდურად შეისწავლებოდა. მიუხედავად ამისა, მან, ისევე როგორც ანაკლი-ის დიხაგუძებამ ძალიან დიდი როლი შეასრულა კოლხეთის არქეოლოგიაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბ. კუფტინმა გამთხრელთა მონაცემების შე-ჩერების შედეგად შეძლო მათი სტრატეგრაფიის რეკონსტრუქცია<sup>3</sup>. მართალია, ბ. კუფტინის სქემა პერიოდიზაციის თვალსაზრისით გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს<sup>4</sup>, მაგრამ მისი ამოსავალი მნიშვნელობის უარყოფა არ შეიძლება.

1933 წელს მდ. რიონის ხეობით დაინტერესდნენ ქ. მოსკოვის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები. აღნიშნულმა მუზეუმმა მოაგლინა სათანადო არქე-ოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ჩაატარა რიონის მარჯვენა სანაპიროს ზე-დაპირული დაზვერვები რკინიგზის სადგურ რიონიდან ქ. ფოთამდე. ამ დაზვერ-ვის ანგარიში გამოქვეყნებულია აღნიშნული ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ<sup>5</sup>.

1935 წელს რიონის შესართავის მხარე ბ. გოგილიშვილთან ერთად და-ზვერა სოხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. იესენმა, რო-მელმაც დაგვიტოვა ვრცელი და საინტერესო ანგარიში აღნიშნული დაზვერვე-ბის შედეგების შესახებ<sup>6</sup>.

ჩენი საუკუნის 40-იან, ხოლო შემდეგ 50-იან წლებში არქეოლოგიური სა-მუშაოები, მართალია, ერთგვარი ხარვეზებით, მაგრამ უფრო გაცხოველებით წარიმართა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ნ. ხოშტარიამ, რომლის სათა-ნადო ნაშრომებს ქვემოთ გზადაგზა შეეცხებით.

შემდეგ, ქართველ არქეოლოგთა წინაშე სხვა პრობლემების წამოჭრასთან დაკავშირებით, შეწყდა რიონის შესართავის არქეოლოგიური შესწავლა, ვიდრე ისტორიის ინსტიტუტში არ დაიწყო დამუშავება დიდი პრობლემისა: „ძველი საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.“ ამ პრობლემის დამუშავე-ბასთან დაკავშირებით, 1961 წ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ფოთის არქეოლოგიური ექსპე-დიცია, რომელსაც დაევალა ძველი ფასისის პრობლემების დამუშავება. წინამ-დებარე ნაშრომი სწორედ ამ პრობლემის დამუშავების პირველი ეტაპის შე-დეგებს ეძღვნება.

რაც შეეხება ფასისის პრობლემას, მას უფრო ძველი ისტორია აქვს, ვიდრე რიონის ქვემო წელზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას და მას საგანგებო ყურად-ღება უნდა დაეთმოს.

---

<sup>3</sup> იხ. Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, 1951, стр. 238. ანაკლის დიხაგუძებს, რომელიც აღმოაჩინა ჰანტურამ, პირველი ეუწოდეთ მას შემდეგ, რაც იმავე ანაკ-ლიში ასეთივე სახელწოდების ანალოგიურ ძეგლს მივაკვლიეთ. ეს უკანასკნელი კოლხეთის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციაში აისახა როგორც დიხა გუძება II.

<sup>4</sup> შდრ. თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირე-თის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძე. წ. II-I ათასწლეულები). თბ., 1974, გვ. 50, 51, შმდ.

<sup>5</sup> Е. К р у п н о в, Археологическая экспедиция государственного исторического музея в Закавказье, СЭ, 1934, № 3.

<sup>6</sup> А. А. И е с с е н, Отчет Сухумской экспедиции 1935 г. ეს ნაშრომი იხანება საქართვე-ლოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელნაწერი შრომების ფონდში.

## 2. საკითხის ისტორია და ფოთის მიმდებარეში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყება

ძველი ფასისის საკითხი საქართველოში საქალაქო ცხოვრების ჩასახვისა და განვითარების ისტორიის ერთი მთავარი პრობლემათაგანია. ამ საკითხის მეცნიერული შესწავლით ნათელი მოეფინებოდა არა მარტო საქალაქო ცხოვრების გენეზისა და მასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. არაქედ წინა აზიის ქვეყნებთან და ეგეოსურ სამყაროსთან საქართველოს და მთელი კავკასიის საერთაშორისო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ისტორიასაც. ამის გამო მიიჩნია სწორედ თავის დროზე გადაუდებელ ამოცანად ფასისის შესწავლის დაწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სპ. ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ და ამ ამოცანის შესრულება 1961 წელს დაავალა საგანგებოდ შექმნილ ფოთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, თითქოს ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობით იწყება აღნიშნული საკითხის შესწავლის ისტორია.

მეცნიერულ ინტერესს ფასისის საკითხის მიმართ ასზე მეტი წლის ისტორია აქვს. მას არაერთი მკვლევარი თუ მეცნიერების მოყვარული შეჰხებოდა. მართალია, ამ პრობლემის არსი ამ ხნის განმავლობაში, ფაქტიურად, დაყვანილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრამდე, მაგრამ ვიდრე ეს ამოცანა გადაწყვეტილი არ არის, საკითხის ეს მხარე კვლავ არსებითი მნიშვნელობისაა და მისი ვარკვევა აშკარად პირველი რიგის ამოცანად რჩება. ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული ფასისის გენეზისის, ხასიათის, საერთაშორისო კავშირების და საერთოდ, ამ ქალაქის ისტორიის შესწავლის შესაძლებლობა. თუმცა ყველა ჩამოთვლილ საკითხს ერთგვარად ნათელი ეფინება ქ. ფასისის საგარეულო ქვეყნის არქეოლოგიური შესწავლის შედეგობითაუ.

ცნობილი მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე ახალ დროში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ძველი ფასისის ლოკალიზაციას შეეხო<sup>7</sup>. მისი აზრით, ქ. ფასისის მდებარეობდა რიონის შესართავთან, მარცხენა სანაპიროზე<sup>8</sup>. დიუბუა დე მონპერეს ეს დაკვირვება ემყარებოდა ერთი მხრივ, სტრაბონის ცნობილ განსაზღვრას, რომ მდინარე ფასისის შესართავთან მდებარეობს მცხეთა მონასტრის ქალაქი, კოლხების ემპორიონი, გარშემორტყმული მდინარით, ზოჯთა და ტბით<sup>9</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, ფასისის ციხე-სიმაგრის არიანესეულ აღწერილობას და ადგილზე თავის პირად დაკვირვებათა შორის დანახულ იგივეობას. საქმე ისაა, რომ დიუბუა ქალაქიდან შვიდიოდე ვერსის მანძილზე დასავლეთით, ფოთისაკენ წააწყდა ნაციხარს, რომელიც, მისი აზრით, შეესაბამებოდა არიანეს მიერ აღწერილ ფასისის ციხე-სიმაგრეს და რომელიც ზომითაც იმოდენა იყო, რომ თავისუფლად დაიტევდა 400 რომაელ ჯარისკაცს, როგორც ამას

<sup>7</sup> უნდა აღინიშნოს, რომ დიუბუა დე მონპერეზე რამდენადაც ადრე ძველი ფასისითა და იქ არსებული კიბელას ტაძრით ფრანგი მოგზაური შარდენი დაინტერესებულა. მას უძებნია ეს ტაძარი, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ირკვევა, იგი კიბელას ტაძარს ზღვის სანაპიროზე ეძებდა (იხ. Voyage du chevalier Chardin par Langles, 1811, I, გვ. 421—422).

<sup>8</sup> Frederic Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase..., VIII. P. 1839. გვ. 62—81.

<sup>9</sup> Strab. XI, 2, 17.

არიანე გვუწყებდა<sup>10</sup>. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიუბუამ მიაქცია ყურადღება აგათიას მიერ პალიასტომის აღწერილობა: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევექსინის პონტოს უერთდება“<sup>11</sup> და ამ უკანასკნელის საფუძველზე შეეცადა აეხსნა სახელწოდება „პალიასტომი“ როგორც *παλαιόν σπήλαιον* „ძველი ღრუ“, „ძველი შესართავი“<sup>12</sup>. საყურადღებო დაკვირვებაა და მას ქვემოთ კვლავ დაუბრუნდებით.

ამრიგად, დიუბუა დე მონპერეს აზრით, ძველი, ყოველ შემთხვევაში, რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა ჭალადიდსა და ფოთს შორის, უფრო ამ უკანასკნელთან ახლოს. ამოსავალი ასეთი დასკვნისა, როგორც აღვნიშნეთ, იყო წერილობით წყაროებში დამოწმებული აღწერილობა ქ. ფასისის მდებარეობისა, რომ იგი გარშემორტყმულია მდინარით, ზღვითა და ტბით და ის, რომ ასეთივე გარემოცვაშია ნაციხარის ნაშთები, რომელიც მან ფოთსა და ჭალადიდს შორის აღმოაჩინა.

დიუბუა დე მონპერეს შემდეგ, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ფასისის პრობლემის შესწავლაში არსებითი ხასიათის ძვრები არ მომხდარა. 80-იან წლებში კი ფასისის საკითხის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაცხოველდა. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ეს საკითხი კვლავ წინ წამოსწია თ. ბრუნი იყო. მან სათავე დაუდო ფასისის ლოკალიზაციის თავისებურ ვერსიას. მისი აზრით, მდ. ფასისის შესართავი და შესაბამისად ქალაქიც არა თუ რიონისა და ფოთის სამხრეთით, არამედ კიდევ უფრო ქვემოთ—პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია საძიებელი<sup>13</sup>. ამ დასკვნამდე თ. ბრუნი მიიყვანა არიანეს ცნობამ, რომლის მიხედვით მანძილი მდ. ფასისიდან მდ. ხობოსამდე 180 სტალონია. მან არიანესული ხობოსი, სახელთა დამთხვევის გამო, გააიგივა მდ. ხობთან და იძულებული გახდა ფასისი რიონის სამხრეთით, ხობიდან 120 სტალონის მანძილზე ეძებნა, რადგან ხობსა და რიონს შორის მანძილი აღნიშნულის ნახევარი იყო მხოლოდ. რაც შეეხება რიონს, ავტორმა იგი არიანეს ქარიენტად (*Χαρές*) მიიჩნია.

ამ გაიგივების სისუსტეს შეადგენს არა მარტო მანძილის არაზუსტი გამოანგარიშება, არამედ ისიც, რომ თ. ბრუნი ისტორიულ და თანამედროვე სახელთა დამთხვევას ერთ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო მეორეში — უგულებელყოფს. თუ ხობოსს სახელთა დამთხვევის გამო ხობთან აიგივებს, რატომღაც უგულებელყოფს იმავე ხობზე არსებულ სოფლის სახელწოდებას ქ ა რ ი ა ტ ა, რომელიც ასევე იმეორებს არიანეს მიერ ფ ა ს ი ს ა და ხ ო ბ ო ს ს შორის დამოწმებული სანაოსნო მდინარის ქ ა რ ი ე ნ ტ ი ს სახელს<sup>14</sup>. მდ. ხობზე მდებარე სოფ. ქარიენტას სახელწოდებაში შეიძლება შემონახული იყოს მდ. ხობის ან მისი ერთი ნაწილის უძველესი სახელი. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გვერდი ავუაროთ ასეთ დამთხვევას. ეგების სწორიკაა იმ მკვლევართა მოსაზრებანი, ვინც არიანეს ქარიენტისა და

<sup>10</sup> Frederic Du Bois de Montpereux, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—69. შდრ. Agr, PPE, IX.

<sup>11</sup> გ ე ო რ გ ი კ ა, III, გვ. 102.

<sup>12</sup> Frederic Du Bois de Montpereux, ი ქ ე ვ, გვ. 71—72.

<sup>13</sup> Ф. Б р у к, Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасным картам, Черноморье, т. II, Одесса, 1880, стр. 250.

<sup>14</sup> ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961, გვ. 40—41.

ზობის იგივეობას აღიარებს<sup>15</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა „ქარიენტ“ სახელისა და მისი ვარიანტების (ზღრ. ʹΑϛ:05 — ფსევდო-სკილაქსთან) დაკავშირებისა „რიონ“ სახელთან<sup>16</sup>.

1880 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის ნ. შაფრანოვის წერილი სათაურით — „სად იმყოფებოდა ბერძნული ახალშენი ფასისი“<sup>17</sup>. მალე ამას მოჰყვა მეორე ნაშრომი, რომელიც პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარკინას წარმოშობას შეეხებოდა<sup>18</sup>. დასასრულ, 1885 წელს ნ. შაფრანოვი აქვეყნებს კიდევ ერთ ნაშრომს — „რიონის დაბლობის წარმოშობის შესახებ ისტორიულ პერიოდში“<sup>19</sup>.

თავის პირველ ნაშრომში ნ. შაფრანოვი ეხება დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას ფოთიდან სამი ვერსის მანძილზე არსებული სიმაგრის ნანგრევებს არიანეს ფასისთან, ხოლო ფოთის იუსტინესდროინდელ ბანაკთან გაიგივების შესახებ და აღნიშნავს, რომ ბევრად უფრო დამაჯერებელია არიანესდროინდელი ფასისი ფოთის პირდაპირ რიონის მარცხენა სანაპიროზე ვეძებოთ. მართალია, ამ ადგილებში არაერთი ნანგრევები არ ჩანს, მაგრამ ადგილი შესაძლებელია ისინი რიონს დაესილაო. [რაც შეეხება უძველეს ფასისს, ავტორის აზრით, ის უნდა დაეარსებინათ პალიასტომის ტბის სამხრეთ სანაპიროზე, რის დასამტკიცებლადაც უთითებს კირის ხსნარით აგებულ სვეტსა და სხვა მსგავს ძეგლებზე, რომლებიც მრავლად არის მდ. მალთაყვისა და მდ. თხორინას აუზებში<sup>20</sup>. ეს აზრი განვითარებული აქვს ავტორს სხვა შრომებშიც: იგი მიიჩნევს, რომ პალიასტომის ტბა ზღვის ღრმა და დიდი უბე იყო. მისი აზრით, ამაზე, მიუთითებს თვით ტბის სახელი, რომელიც დიუბუაშე მართებულად გაიაზრა ბერძნული სიტყვიდან (παλα:θου σαρμα) ნაწარმოებ სახელწოდებად, მაგრამ ზუსტად არ გადმოგვცა ამ შესიტყვების შინაარსი. მაგალითად, სიტყვა σαρμα „ილიადაში“ აღნიშნავს ფართო უბის ნაპირს. ასეთივე შინაარსი უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას აღნიშნულ შესიტყვებაშიც παλαθιον σαρμα, რომელიც ტბის სახელმა შემოგვინახა და რომელიც „ძველ უბეს“ ნიშნავს. ამ უბის სამხრეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო სწორედ ფასისი. სახელწოდება ფასისი მდინარის სახელწოდებიდან კი არ წარმოდგება, პირიქით, მდინარეს ეწოდა ქალაქის მიხედვით. რიონი ხშირად იცვლიდა შესართავის ადგილს და ამიტომ ქალაქსაც უნდა შეეცვალა თავისი ადგილმდებარეობა. ასე რომ იგი შეიძლება სუფსის შესართავთან ყოფილიყო<sup>21</sup>.

შემდეგ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს სახელების — „ფასისისა“ და „სუფსისა“ იგივეობა და კვლავ ამხვილებს ყურადღებას მდ. სუფსის აუზში არსებულ ძეგლებზე<sup>22</sup>. აღნიშნული ღებულებები ავტორისა დაფუძნებულია მხოლოდ

<sup>15</sup> Н. Ю. Ломоурн, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4, стр. 101.

<sup>16</sup> М. Иващенко, К вопросу о местонахождении Диоскурии Древних. Изв. абхазского науч. об-ва. 1926, вып. 4, стр. 97; Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды. № 938, № 2(3), стр. 314—315.

<sup>17</sup> Н. Шафранов, Где была греческая колония Фасис, «Кавказ», 1880 № 71.

<sup>18</sup> Н. Шафранов, Образование Палиастома и истока его Капар-чая, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 2, Тифлис, 1882, стр. 45—58.

<sup>19</sup> Н. Шафранов, Образование Рионской низменности в течении исторического периода, Сборник сведений о Кутаисской губернии. Кут. 1885, вып. 1.

<sup>20</sup> Н. Шафранов, Где была греческая колония Фасис.

<sup>21</sup> Н. Шафранов, Образование Рионской низменности, стр. 50—52.

<sup>22</sup> Н. Шафранов, იქვე.

და მხოლოდ ვარაუდზე იმ შესაძლებელ გეომორფოლოგიურ ცვლილებათა შესახებ, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ რიონის მხარეში. ერთ-ერთ თავის ნაშრომში ავტორი აღნიშნავს, რომ მან არ იცოდა ბერძნული და ლათინური ენები და სათანადოდ ვერ სარგებლობდა წერილობითი წყაროებით<sup>23</sup>.

დღეს ნ. შაფრანოვის მოსაზრებათა გაზიარება არ შეიძლება. ფასისის პრობლემა მეტად რთულია და მისი გადაწყვეტა შეუძლებელია მრავალი ისეთი საკითხის დამუშავების გარეშე, რომელიც მოქცეულია სხვადასხვა მეცნიერების სფეროში. გასარკვევია და გასააზრებელი თითქმის უნიკალური გეომორფოლოგიური ვითარება, ამ ვითარების საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე ცვლილებების კანონზომიერებანი, თუკი ეს ცვლილებები ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. ასე რომ, იმ რთული კატაკლიზმების რეკონსტრუქცია, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა მდ. რიონის შესართავის მხარეში, ასე ცალმხრივად დაუშვებელია. ამისათვის მარტოოდენ ის მასალა, რომელზეც ნ. შაფრანოვს მიუწვდებოდა ხელი, აშკარად არ არის საკმარისი. მიუხედავად ამისა, ნ. შაფრანოვის ზოგიერთ დაკვირვებას ჭედაც არ დაუკარგავს გარკვეული მნიშვნელობა. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსაზრება სხვადასხვა პერიოდში ქ. ფასისის სხვადასხვა ადგილზე მდებარეობის შესაძლებლობის შესახებ. მართალია, ანალოგიური მოსაზრებანი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერეს ჰქონდა გამოთქმული, მაგრამ ნ. შაფრანოვის დამსაზრებია ის არის, რომ მან კვლავ წინ წამოსწია ეს იდეა და შეეცადა ახალი ფაქტებით დაესაბუთებინა იგი.

ფასისის ლოკალიზაციის საკითხს სპეციალურად შეეხო ლ. ელნიცკი ძველი კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიისადმი მიძღვნილ ნაშრომში. ავტორი იხილავს არიანეს მარზრუტს და იძლევა იმ პუნქტების იდენტიფიკაციის ცდას, რომელიც არიანემ ინსპექციის წესით მოიხილა. ლ. ელნიცკი სტრაბონის, არიანესა და ანონიმის ცნობათა შეჯერების შედეგად ასკენის: რომაული ციხე-სიმაგრე ფასისი და მისი მოსახლე ემპორიონი უნდა მოვათავსოთ მდ. რიონის შესართავთან, ამ უკანასკნელის მარცხენა სანაპიროზე. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ცნობები შეეუთავსოთ სინამდვილეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის კუნძული, რომელზეც ახლა გაშენებულია ქ. ფოთის საპორტო ნაწილი, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის არ არსებობდა. ავტორის აზრით, ეს კუნძული წარმოადგენს ბევრად გვიან მონასილს, რომელმაც მდ. რიონის დელტა ორ დიდ ტოტად გაყო<sup>24</sup>.

ლ. ელნიცკის კვლევისა და მსჯელობის თითქმის ისეთივე გზა აქვს არჩეული როგორც თ. ბრუნს: ერთი და მეორეც იკვლევს არიანეს პერიპლუსს და აქ დასახელებული პუნქტების იდენტიფიკაციას იძლევა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ავტორები დიამეტრალულად საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდიან. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ თ. ბრუნზე დიდი გავლენა მოახდინა არიანესეულ ხოზოსისა და მდ. ხობის სახელთა დამთხვევამ და, რაკი მანძილი ფასისისა და ხობოს შორის არიანეს „პერიპლუსის“ მიხედვით უფრო დიდი აღმოჩნდა ვიდრე რიონ-ფოთსა და მდ. ხობს შორის, მან ფასისის პალიასტომის სამხრეთით მიუჩინა

<sup>23</sup> Н. Шафранов, Где была греческая колония Фасис.

<sup>24</sup> Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1938, № 2(3), стр. 311



ადგილი, ხოლო ლ. ელნიცკიმ სავსებით მართებულად დაუშვა შესაძლებლობა, რომ არიანესელი ხობისი შეიძლება მდ. ენგურს გულისხმობდეს. ასეთი იდენტიფიკაცია, როგორც მან სამართლიანად აღნიშნა, ჯერ კიდევ 1925 წ. წამოაყენა მ. ივანენკო<sup>25</sup>, მაგრამ ლ. ელნიცკიმ ხობოს-ენგურის გაიგივების სასარგებლოდ ყურადღება მიაქცია პლინიუსის შემდეგ ცნობას: „Flumen C. obum Cascao par Suancs fluens“ („მდინარე ხობოსი, რომელიც კავკასიიდან სვანების ქვეყანაზე მოედინება“<sup>26</sup>). ეს ცნობა აშკარად მიგვანიშნებს ანტიკური წყაროების ხობოსის თანამედროვე ენგურთან გაიგივების შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ამ წყაროთა თანადროულ ხანაში სვანთა ქვეყანას ხობოსი სათავეებში არ ვიგულისხმებთ და ახალ დროში არსებული ვითარებიდან გამოვალთ.

იმ ნაშრომთა შორის, რომელიც ფასისის საკითხს ეხება სვანებზე აღნიშვნის ღირსია მ. ბერძნიშვილის გამოკვლევა — „ქ. ფაზისის ლოკალიზაციისათვის“<sup>27</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან სამ ათეულ წელზე მეტი გაიდა მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მ. ბერძნიშვილი სხვა ავტორებისაგან განსხვავებით ეყრდნობა ერთი მხრივ, ფიზიკურ-გეოგრაფიული, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, ანტიკური და ბიზანტიური ხანის მწერლების ჩვენებებს. ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ მდ. ფაზისი რიონს შეესაბამება, რომ ქ. ფაზისი მდებარეობდა მდ. ფაზის-რიონის მარცხენა სანაპიროზე, რომ აგათიას მიერ მოხსენებული არხი ნელაართის არხს უდრის, რის გამოც ბიზანტიური დროის ფაზისი პატარა ფოთის პირდაპირ, რიონის მარცხენა ნაპირზეა საძიებელი, ქ. ფოთის ცენტრიდან პირდაპირი ხაზით მ—9 კმ-ს მანძილზე აღმოსავლეთისაკენ<sup>28</sup>. ამასვე ადასტურებს ნესოსის ისულეთთან გაიგივებაც. რაც შეეხება კლასიკური ხანის ფაზისს. ავტორის აზრით, იგი საგულევებელია ბიზანტიური ხანის ფაზისის აღმოსავლეთით, ხოლო არიანეს დროის ფაზისი კი დიუბუა დე მონპერეს მიერ მოხილულ ნაციხართან უნდა გაიგივდეს, თუ კი დადასტურდა ამ უკანასკნელის სიძველე<sup>29</sup>. დიუბუას ნაციხარის საკითხს ცოტა ქვემოთ კვლავ დაუბრუნდებით, აქ მხოლოდ ერთი შეუსაბამობა გვინდა აღვნიშნოთ. როგორც დავინახეთ, ავტორი მიდის ზოგადად მართებულ დასკვნამდე, რომ ფაზისი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე მდებარეობდა: ბიზანტიური ხანისა — პატარა ფოთის პირდაპირ, კლასიკური — უფრო აღმოსავლეთით. შეუცვლელი იყო მხოლოდ გარემო: მდ. რიონის მარცხენა სანაპირო. ზღერის ნაპირი და პალიასტომის სიახლოვე. მაგრამ, თუ ბიზანტიური ხანის ფაზისი პატარა ფოთის გასწვრივია საძიებელი, დაუჭერებელია რომ შედარებით ადრინდელ

<sup>25</sup> М. М. И в а щ е н к о. К вопросу о местонахождении Диоскурии древних, Известия Абхазского научного об-ва, 1926, вып. 4, стр. 97.

<sup>26</sup> Л. А. Е л ь н и ц к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 315, შტრ. Pl., NH, VI, 4.

<sup>27</sup> იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIII, 1942, გვ. 1—24; მისივე, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.

<sup>28</sup> გაიხსენოთ, რომ დიუბუა დე მონპერეს აზრით, ბიზანტიელთა ან, როგორც იგი უწოდებს, რომელთა ბანაკი, ძველ ფოთს შეესაბამება. აქ ქპონდა ხოსროს მთელი ომების განმავლობაში საზამთრო სადგომები (იხ. მისი Voyage..., გვ. 66).

<sup>29</sup> მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის. თსუ შრომები, ტ. XXIII, გვ. 19—20.

ხანის, ე. ი. არიანეს დროის ფასისი უფრო დასავლეთით, დღევანდელი ფოთის მისადგომებთან არსებულიყო. მით უმეტეს, განხილულ ნაშრომში იმის თანმიმდევრული მტკიცებაა წარმოდგენილი, რომ საუკუნეთა მანძილზე რიონის შესართავთან ზღვა უკან იწევდა და ხმელეთს უთმობდა ადგილს. მაშასადამე, რაც უფრო აღრინდელია ქალაქი, მით უფრო აღმოსავლეთითაა სავარაუდო მისი მდებარეობა დღევანდელი ფოთიდან.

დებულება ცალკეულ ეპოქებში ქ. ფასისის სხვადასხვა ადგილზე მდებარეობის შესახებ წამოყენებული აქვს ბ. კუფტინსაც, ოღონდ მისთვის მდ. ფასისი და მისი შესართავი ყოველთვის რიონი და რიონის შესართავი არ არის. აქ, როგორც ვხედავთ, თავს იჩენს თ. ბრუნისა და ნ. შაფრანოვის მოსაზრებათა რემინისცენციები. ბ. კუფტინის აზრით, უძველესი ბერძნული ქალაქი ფასისი უნდა ვეძებოთ რიონის დაბლობის აღმოსავლეთით, ახლანდელი მდ. ფიჩორის ველის ახლოს, ფიჩორისა, რომელიც შეესაბამება სტრაბონის, პლინიუსისა და არიანეს ფასისს<sup>30</sup>, რაც შეეხება რიონის დღევანდელ კალაპოტს, იგი იკვებებოდა ცივისა და ტეხურის წყლებით და წარმოადგენდა იმ მდინარეს, რომელსაც პლინიუსი და არიანე ასახელებენ ფასისსა და ხობოსს შორის ხარიენტის სახელით<sup>31</sup>. ზემოთ ლ. ელნიცის მოსაზრებათა განხილვის დროს სათანადოდ იყო აღნიშნული, რომ, პლინიუსის ცნობის თანახმად, ხობოსი ენგურს უდრის და არა რომელიმე სხვა მდინარეს, ამაზე ერთგვარად ისიც მიუთითებს, რომ ხობოსი სვანების ქვეყანაზე მიედინებოდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თვით ბ. კუფტინიც კი ფასისის პრობლემის გარშემო მსჯელობისას ფაქტიურად მხოლოდ წერილობითი წყაროების ანალიზით იფარგლებს, ეს თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია და მიუთითებს ერთი მხრივ იმაზე, რომ მოცემული მხარე არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელი იყო, ხოლო მეორე მხრივ იმაზეც, რომ მდ. რიონის შესართავის აუზი ის მხარეა, რომლის ისტორიულ წარსულზე წარმოდგენის შემუშავება პირველადი არქეოლოგიური შესწავლის (დაზვერვების, ანაკრეფი მასალის შეგროვების, გამოკითხვის) მეშვეობით, ე. ი. მეთოდებით, რომლებსაც სხვაგან დადებითი შედეგი მოაქვს, შეუძლებელია. იქნებ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საკვლევი საკითხის შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებისაგან გან-

<sup>30</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1956, стр. 116, ამ აზრს ბოლო დროს მხარი დაუჭირა არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ, რომელიც ემყარება არსებითად პალეოტოპოგრაფულ მონაცემებს, სახელდობრ კი რიონის გასწვრივ არქეოლოგიური ძეგლების განლაგებას, ე. წ. ნარიონალეთთან მიმართებაში. აღნიშნული დაკვირვების საფუძველზე ავტორი მიიჩნევს, რომ ძველი ფასისი სამიხედელია პალისტომის ტბის აღმოსავლეთ კიდეზე ან პალისტომის ტბის ფსკერზე (იხ. გ. გრიგოლია, ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის, სამეცნიერო სესია მიმდინილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი. მოხსენებები, თბ., 1973, გვ. 53, 54). საინტერესო დაკვირვებაა და ფასისის ძიების პროცესში მისი შემოწმება ღირს, მაგრამ ჭერჭერობით მეცნიერული დებულების საფუძველად არ გამოდგება, რადგან არცერთი ის ძეგლი, რომელთაც ავტორი ასახელებს დღემდე შესწავლილი არ არის და ჩარც არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი მათგანი საერთოდ ძეგლი არ აღმოჩნდეს, ყოველ შემთხვევაში, ფასისთან დასაკავშირებელი. გაადა ამისა, სამტკიეებელია თვით, ე. წ. ნარიონალთა ნარიონალობა. ესეც არ იყოს, გასარკვევია როდინდელი ნარიონალები არიან ისინი, ან როგორ შეიძლება მათი დაკავშირება ამა თუ იმ არქეოლოგიურ ძეგლთან.

<sup>31</sup> Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 109, 111; ბ. კუფტინი იქ იზიარებს კისლინგის ინტერპრეტაციას სახელწოდებისა *Zarpe(s) na* || *qa* მის მიჩნია პრეფიქსად, Rien კი „მდინარე“ (იხ. Pauly-Wissowa. Realenziklopadie der klassische Altertumwissenschaft. Stuttgart 1914, გვ. 943).

სხვაეგვით, სრულიად სხვა აზრისაა არქეოლოგი ნ. ხოშტარია. იგი ქ. ფოთში ჩატარებული დაზვერვების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კლასიკური და ბიზანტიური ხანის ფასისი ერთსა და იმავე ადგილზე, თანამედროვე ფოთის ტერიტორიაზეა სპიებული. ნ. ხოშტარიას ამ დასკვნას<sup>32</sup> ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით.

ფასისის პრობლემის გადაჭრისათვის არქეოლოგიური დასაბუთების მონახვა სცადა ნ. ლომოურიმაც კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიისადმი მიძღვნილ წერილში<sup>33</sup>. ფასისის ლოკალიზაციის საკითხში ავტორი ლ. ელნიცკისა, და მ. ბერძნიშვილის პოზიციასზე დგას: მისი აზრითაც ფასისი რიონს უდრის, ე. ი. ფასისი იმავე კალაპოტში მიედინებოდა, რომელშიც რიონი, ოლონდ მისი შესართავი უფრო აღმოსავლეთით იყო, ვიდრე დღეს რიონის შესართავია. შესაბამისად, არიანეს ქარიენტი დღევანდელ ხობს უდრის, ხოლო ხობოსი — ენგურს. ქ. ფასისი, სახელდობრ, არიანეს ფასისი, ფასის-რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, რამდენადმე აღმოსავლეთით დღევანდელი ფოთიდან<sup>34</sup>. ნ. ლომოური ეხება იმ ნანგრევებსაც, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში დიუბუა დე მონპერემ მოიხილა. ავტორის ცნობით, დიუბუას მოგზაურობიდან ორ-შოცდაათი წლის შემდეგ ხსენებული ნანგრევები უნახავს შაფრანოვს<sup>35</sup>. ნ. ლომოური გააცნობებს, რომ ნ. შაფრანოვი ხსენებულ ნანგრევებს, რომლებიც ადგილ „ნაჯიხურში“ (ბ. კუფტინის მიხედვით მდ. შაეთან) ნახა, აიგივებს არა არიანესულ ფასისთან, როგორც ამას დიუბუა დე მონპერე აცეთებდა, არამედ აგათიას მიერ აღწერილ VI საუკუნის ფასისთან. სხვათა შორის, ნ. შაფრანოვის ამ გაიგივებას მართებულად მიიჩნევს ბ. კუფტინი. (დასახ. ნაშრომი, გვ. 115).

აღნიშნული ნანგრევები, ნ. ლომოურის აზრით, შეესაბამება იმ ადგილს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ნაჯიხურს“ უწოდებენ და რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს, მისგან ზუთასიოდე მეტრის მანძილზე და 5 კილომეტრზე ფოთის პორტიდან აღმოსავლეთით. ავტორს თვით დაუთვალა იერებია ეს ადგილი; ზედაპირულად გაუწმენდია ერთ-ერთი შემადგენელი და უნახავს თიხის ჭურჭლის დიდი ნატეხები და რამდენიმე მთელი აგური. დიუბუა დე მონპერის საფუძვლიანი აღწერა, ნახაზები და ამ ნანგრევების ადგილმდებარეობა, დასკვნის ავტორი, სავსებით შესაძლებელს ხდის ვარაუდს, რომ სწორედ აქ მდებარეობდა ძველი ფასისის ციხე-სიმაგრე, თუმც, დასძენს იგი, ამ საკითხის გადასაწყვეტად, ანდა საკითხისა — სახელდობრ რომელი ციხე-სიმაგრე უნდა ვიგულისხმოთ აქ, არიანეს თუ აგათიას მიერ აღწერილი, აუცილებელია მიწაყრილების არქეოლოგიური შესწავლა<sup>36</sup>.

ძნელია იმის თქმა, შეესაბამება თუ არა ნ. ლომოურის მიერ აღწერილი ნანგრევები დიუბუას მიერ აღწერილს. ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიხილა და საცდელი თხრილებიც გაავლო იმ ადგილზე. რომელსაც „ნაჯი-

<sup>32</sup> ნ. ხოშტარია, პალეოსტომის ტბის ისტორიისათვის, მეცნიერება და ტექნიკა, 1953. № 9, გვ. 33.

<sup>33</sup> Н. Ю. Ломоурн. Из исторической географии древней Колхиды. ВД:1, 1957. № 4, გვ. 96—110.

<sup>34</sup> Н. Ю. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 98—99.

<sup>35</sup> Н. Шафранов, Образование Рпонской низменности в течении исторического периода, Сбор. сведения о Кутайской губернии, 1985, вып. I.

<sup>36</sup> Н. Ю. Ломоурн, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

ხურს“ უწოდებენ, ქ. ფოთის სამოქალაქო აეროდრომის მახლობლად, რიონის მარცხენა სანაპიროზე. ამჟამად ეს ადგილი სავსებით სწორია. ამბობენ, რომ აქ იყო ბორცვები, რომლებიც აეროდრომის მშენებლობის დროს მოთხარეს. მართლაც 60-იანი წლების დასაწყისში ლაქასავით ეტყობოდა ამ ადგილს ყვითელი თიხნარი მიწა, რითაც იგი გამოირჩეოდა ამ მიდამოების ნიადაგისაგან და შესაძლოა, მართლაც, ხელოვნური მონაზვინის კვალს წარმოადგენდა. ამ საყურადღებო მოპენტის გარდა აქ საგულისხმო ვერაფერი ვნახეთ და საკლებელ თხრილებსაც არსებითი არა მოუციათ რა. ამიტომ, ჭერჯერობით გვიჭირს იმის მტკიცება, რომ ეს მართლაც ის ადგილია, რომელიც დიუბუა დე მონპერემ მოიხილა. ამის დასადგენად მარტოოდენ ტოპონიმი არ კმარა, თუნდაც აშკარად ციხის ნაშთებთანაც გვეკონდეს საქმე, რადგან ნედართის არხსა, პალიასტომის ტბასა და რიონს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, ე. ი. სწორედ იმ ველზე, სადაც უვლია დიუბუა დე მონპერეს, ფოთის მხარის სიძველეთა მცოდნეს ბესარიონ გოგოლაშვილს. თავის არქეოლოგიურ რუკაზე სამი ნ ა ჯ ი ხ უ ო ო ნ ა ჯ ი ხ უ რ ი აქეს აღნიშნული.

როგორც ირკვევა, ნ. შაფრანოვს და მასთან ერთად ბ. კუფტინსაც მიაჩნიათ, რომ დიუბუა დე მონპერეს მიერ მიკვლეული ნანგრევები უნდა შეესაბამებოდეს მიახლოებულ იმ ნაჯიხურს, რომელიც მდ. შავთან მდებარეობს<sup>37</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავის დროზე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ნედართის არხის გარშემო არსებული შესაძლებელი არქეოლოგიური ძეგლების გამოსაყვანად, სახელდობრ „ნამარანეის“ ბორცვის შესასწავლად, ამ ცდას სათანადო შედეგი არ გამოუღია, რადგან მოცემულ მხარეში სრულიად წაშლილია თავდაპირველი სურათი და ჩვეულებრივი არქეოლოგიური მეთოდებით ჩატარებული კვლევა-ძიება ნაქლებფექტურია. ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ ნათელყო, რომ საჭიროა კომპლექსური მეთოდის გამოყენება საქმეში მეცნიერების სხვადასხვა დარგის ჩართვით. ასეთი ცდების შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

აქვე გვინდა შევეხოთ იმ გამოკვლევებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩატარა ქ. ჭანელიძემ. გეომორფოლოგიური მონაცემების ანალიზმა ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ფასისის დაარსების პერიოდში კოლხეთში ზღვის

<sup>37</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 115—116. ფოთის აეროდრომთან, იქ, სადაც ერთ-ერთი ნაჯიხუა საგულებელი, ამ რამდენიმე წლის წინათ. მუშის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქურქლის ნატეხები, რომელთაგან ზოგი წულგამოყვანილ ამფორას უნდა ეკუთვნოდეს. 1970 წ. აქ დაზვერვები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ, რომელმაც საცდელი თხრილის მეშვეობით ოთხი კულტურული ფენა დაადგინა. ექსპედიციის ცნობით პირველ სამ ფენაში ერთგვაროვანი მასალა დადასტურებული და მესამე ფენის მონაცემების მიხედვით ამ მასალას ახ. წ. III-VI სს. აკუთვნებენ, ხოლო მეოთხე ფენაში აღმოჩენილა წითელლავიანი ქურქული და იმპერატორ ადრიანეს (117—138 წწ.) ვერცხლის დიდრაქმა, რის გამოც ამ ფენას II ს. ათარიღებენ და მიიჩნევენ, რომ ეს ნაჯიხუ არიანეს და აგათიას დროის ფასისთანაა დასაკავშირებელი (იხ. Г. Г р и г о л и я, Г. Э л и а в а, Результаты работ 1970 г. разведочной экспедиции. Тезисы Докладов. посвященных итогам полевых археологических исследований 1970, Тб., 1971, стр. 99; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი, თბ., 1973, გვ. 43, 44). სამწუხაროდ, ამ მასალის შესახებ ვარდა აღნიშნული ცნობისა იმდროის არა არის რა ცნობილი, მაგარც, როგორც ქვემოთ იქნება ნახევნები, ჭერ კიდევ 1962 წელს აეროდრომის პირდაპირ რიონის კალაპატის მარჯვენა მხარეს ფოთის სანერგეს მიწებზე ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოკვლია აგათიას ეპოქის მასალებს.

უბის არსებობა გადაჭრით უარსაყოფია, რადგან ზღვის მაშინდელი დონე თანამედროვესთან შედარებით 4—5 მეტრით უფრო დაბლა იყო დაწეული. ამასვე ადასტურებს კოლხეთის ტორფების საბადოთა არსებობა ზღვის სანაპირო ზოლში, რაც ავტორის აზრით „იმის უტყუარი საბუთია, რომ ზღვას დღიდან ტორფის საბადოს ჩასახვისა, არასოდეს დაუფარავს ტერიტორია, რომელზედაც ტორფია განვითარებული“. ირკვევა, რომ პალიასტომის სამხრეთით მდებარე ვაკეს უკანასკნელი 6000 წლის მანძილზე ზღვა არ მიჰკარებია. ასეთივე მდგომარეობაა დღევანდელ ფოთის ჩრდილოეთითაც ნაბადას ტორფების მასივშიც. აღსანიშნავია, რომ ნაბადას საბადოს სამხრეთი კილიდან პალიასტომის ჩრდილო ნაპირამდე 6—7 კმ-ია; ამ ვიწრო ყელში ტორფი არ გვხვდება და როგორც ჩანს. ამ ყელშია საგულევებელი სწორედ უკანასკნელი 4 ათასი წლის განმავლობაში რიონის კალაპოტი. ავტორი ვარაუდობს, რომ ამ 2500-3000 წლის წინ კოლხეთში აღნიშნული ყელის ფარგლებში, შეჭრილი იყო რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ესტუარია და ქ. ფასისიცი ამ ესტუარიის აღმოსავლეთ კიდეზე იყო გაშენებული. ამ მსჯელობის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ძველი ფასისის სავაჭრო ადგილი უნდა ვიგულოთ მდ. რიონის ველზე ზღვის ნაპირებიდან 3—6 კმ მანძილზე აღმოსავლეთით ფოთის, პატარა ფოთისა და ჰალადიდის სანახებში. ქალაქის ნაშთების დალექვა კი სავაჭრო 2—3 მეტრის სიღრმეზე<sup>38</sup>.

ასეთია არსებითად საკითხის ისტორია. ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს. რომ აზრთა სხვადასხვაობას ძველი ფასის ლოკალიზაციის საკითხში, უპირველეს ყოვლისა, მდ. რიონის შესართავთან საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე გეომორფოლოგიური ცვლილებების ნაირი ინტერპრეტაციის ცდები იწვევს. სამეცნიერო ლიტერატურაში თავს იჩენს ცალკეულ ავტორთა მიერ კვლევის არასრულყოფილი მეფოდების გამოყენების ფაქტები. პრობლემებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ავტორები, ძირითადად, ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც ან საკვებით გამორიცხავენ ფასისისა და რიონის იგივეობას, ანდა მიაჩნიათ, რომ ფასისი ყოველთვის, თუ ყველა ნაწილში, რიონს არ უდრის და შესაბამისად ქ. ფასისსაც რიონის შესართავიდან სამხრეთით მერმინდელი გურიის ფარგლებში ათავსებენ (თ. ბრუნი, ნ. შაფრანოვი, ბ. კუფტინი, გ. გრიგოლია). მეკვლეართა მეორე ჯგუფი (დიუბუა დე მონპერე, ლ. ელნიცი, მ. ბერძინიშვილი, ნ. ლომოური, ქ. ჯანელიძე) კი პირიქით ამტკიცებს ფასისის და რიონის იგივეობას შემდეგი დაზუსტებით: ფასისი კი მართლაც რიონს უდრის, ოღონდ მასი შესართავი, ზღვის სანაპირო და, მაშასადამე, ქ. ფასისი უფრო აღმოსავლეთითაა საძიებელი, ვიდრე დღევანდელი ფოთია ან უკიდურეს შემთხვევაში დღევანდელი ფოთის ცენტრალური ნაწილია.

ასეთნაირად იდგა და როგორც ვნახეთ, ახლაც დგას ფასისის ლოკალიზაციის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში იმ მომენტისათვის, როდესაც ფოთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ფასისის პრობლემის შესწავლა დაევალა. რა თქმა უნდა, არქეოლოგიური კვლევა-ძიება, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარ-

<sup>38</sup> ქ. ჯანელიძე, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი, მოხსენებები, თბ., 1973, გვ. 12—16.

მართულიყო ფასისის ადგილმდებარეობის გასარკვევად, მაგრამ შესასწავლ მხარეში არსებული სრულიად განსაკუთრებული პირობების გამო, არქეოლოგიური ძიების ჩვეულებრივი მეთოდები, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის არ იყო გამოსადეგი. საქმე ისაა, რომ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც არქეოლოგიური შესწავლის ობიექტად უნდა გვექცია და რომელიც მოქცეულია შავი ზღვის სანაპიროსა და სოფ. ქვემო ჭალადიდს შორის და მოიცავს ქალაქ ფოთს სანახებიურთ და სხვა დიდ-პატარა დასახლებულ პუნქტს (პატარა ფოთს, სოფ. საქორჩიოს, სოფ. ჭალადიდს თავისი დასახლებებით და ა. შ.), დაუსახლებელ ნაწილში ქაობებით, ეწერით და ქაობიანი ტყეებითაა დაფარული, ხოლო დასახლებულ და მიწათმოქმედებისათვის გამოყენებულ ადგილებში ბუნებრივი თუ ხელოვნური კალმატაციითაა მოსილული. აღნიშნულ გარემოებათა გამო საკვლევ მხარეში თითქმის სულ არ არის ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. ხოლო იქ, სადაც ეს მასალა დასტურდება ადვილი შესაძლებელია მის მოცემულ ადგილთან არაერთი კავშირი არ ჰქონდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში შემოსული არქეოლოგიური მასალის დოკუმენტაციას დიდი ხნის მანძილზე ნებისმიერად ეკიდებოდნენ. ამიტომ ერთადერთი, რასაც შეეძლო სამსახური გაეწია მკვლევარისათვის ეს იყო ბ. გოგოლიშვილის მიერ შედგენილი კოლხეთის ისტორიული ძეგლების რუკა. მართალია, დღეს ამ რუკას არსებითი ხასიათის დაზუსტება ესაჭიროება, მაგრამ ჭერჭერობით იგი კვლავ რჩება კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების გეოგრაფიული გავრცელების ერთადერთ სრულ ნუსხად. განსვენებული მხარეთმცოდნის ეს დამსახურება საგანგებო აღვნიშვნის ღირსია.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ფოთის მხარეში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებამდე საჭირო გახდა ადგილზე მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგვხმარებოდა კვლევა-ძიებისათვის უფრო ქმედითი მეთოდების შემუშავებაში. ეს სამუშაო შეასრულა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ აწ განსვენებული ი. გრძელიშვილი, ო. ლორთქიფანიძე და წინამდებარე ნაშრომის ავტორი.

ქ. ფოთის სხვადასხვა დაწესებულებაში (აღმასკომში, კოლხიდმუშენში, ფოთის საეპრო სამოქალაქო პორტში, სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ფილიალში, პალიატიომის ტბის თევზჭერის მეურნეობაში) სათანადო მასალების გაცნობის, ცალკეულ პირთაგან საგულისხმო ცნობების მიღების, ქალაქსა და ქალაქის სანახებში დაზვერვების შედეგად აშკარა გახდა, რომ ფოთში არ არის მიზანშეწონილი ჩვეულებრივი არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რადგან ფაქტიურად არ არსებობს ისეთი ობიექტი, რომლის არქეოლოგიურ ხასიათზე რაიმე მასალა მიუთითებდეს. ამიტომ საჭირო გახდა გამოგვერიცხა ის ვრცელი ფართობი, რომელიც წერილობითი წყაროების გარკვეული თვალსაზრისით გააზრების შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეჩინა როგორც ძველი ფასისის შესაძლებელი ადგილსამყოფელი. ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, ქალაქ ფოთის ტერიტორიას.

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან ისე ჩანს, თითქოს იქ, სადაც დღევანდელი ფოთია, შეუძლებელია ძველი ფასისის არსებობის დაშვება. მაგრამ, მეორე მხრივ ნათელია ისიც, რომ ერთი ნაწილი წყაროებისა და ამასთან მეტად სანდო წყაროებისა გადმოგვცემს ფასისის მდებარეობის აღწერას, რო-

მელიც საოცრად შეესაბამება ფოთის დღევანდელი მდებარეობის თავისებურებას. მხედველობაში მაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ფასისს გარს არტყია ზღვა, მდინარე და ტბა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობა დიდი ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში და, რომ ის უთუოდ ანგარიშგასაწევი ცნობაა, როგორც ჩანს, სწორედ მასშია სათავე იმ შებოჭილობისა, რამაც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიაჩაბვა ძველი ფასისისა და დღევანდელი ფოთის მდებარეობის იდენტობის იდეას. ამიტომ, როდესაც ძველი ფასისის საკითხის შესასწავლად არქეოლოგიური ძიებისათვის ვემზადებოდით, შევეცადეთ გავთავისუფლებულიყავით ამ იდეის გავლენისაგან, რადგან ზემოხსენებული ცნობის პირდაპირი გაგება, როგორც ჩანს, არ იქნებოდა სწორი. მაგრამ სრულიად ნათელია ისიც, რომ აუცილებელი იყო თვით ქ. ფოთის ტერიტორიის და მისი უახლოესი სანახების გამორიცხვა შემოწმების მეშვეობით.

ამ ამოცანის შესრულება ჩვეულებრივი არქეოლოგიური გათხრებით არ შეიძლებოდა: გათვალისწინებული იყო არა მარტო ის, რომ ქალაქის დასახლებულ ნაწილთან გვაქვს საქმე, არამედ ისიც, რომ ქალაქის დიდი ფართობი საუკუნეთა მანძილზე ისილებოდა რიონის ზემოქმედების შედეგად, ხოლო მრავალი ათეული წლის განმავლობაში იზვინებოდა მოსახლეობის მიერაც. ამიტომ საპირო იქნებოდა დიდ სიღრმეებზე ჩასვლა, გრუნტული წყლები კი ინტენსიურ ეროვნას იწყებენ სულ ზედა ფენებში. ხოლო დასაშრობად სპეციალური დანადგარების გამართვა გახდებოდა საპირო. ყოველივე ამის გამო დაიბადა აზრი ჩვენი ამოცანის შესასრულებლად გეოლოგიური ბურღვის გამოყენებისა. თუ არ ეცდები, არქეოლოგიური ძიების დროს გეოლოგიური ბურღვა ჩვენში პირველად ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიყენა და უნდა ითქვას, რომ მისი გამოყენება გარკვეულ პირობებში გამართლებულია და მიზანშეწონილი, მით უმეტეს დღეს, როდესაც ბურღების დიამეტრი საგრძნობლად გაიზარდა. მეტიც, ფოთის არქეოლოგიურ ექსპედიციას შეეძლო მისი უფრო რაციონალური გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში თავი იჩინა გამოუცდელობამ. რომელიც ყოველ ახალ წამოწყებას თან ახლავს ხოლმე.

ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მოიწონა ზემოხსენებული მზვერავი ჯგუფის მიერ შემუშავებული ქ. ფოთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის გეგმა, რის შემდეგაც შეიქმნა ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია. დაიდო ხელშეკრულება გეოლოგიურ სამმართველოსთან, რომელმაც დაავალა კოლხეთის პიღრო-გეოლოგიურ პარტიაც ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მომსახურება. ბურღვითი სამუშაოები გაგრძელდა თითქმის ხუთ თვეს (ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით) ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ<sup>39</sup>.

---

<sup>39</sup> ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: თ. შიქელაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ო. ლორთქიფანიძე (ხელმძღვანელის მოამდგილე), რ. აბრამიშვილი (უფროსი მეცნიერი თანაშრომელი), ც. დავლიანიძე, კ. კვიციანიძე, ჟ. ამირანაშვილი, ნ. კილურაძე, ა. გაგუა, ვ. მამულია (უმცროსი მეცნიერი თანაშრომლები), დ. ქავთარაძე (არქიტექტორი) ი. ნიჭორიძე (ფოტოგრაფი), ა. ბერიძე (ავტომანქანის მძღოლი). შემდეგ წლებში ფოთის არქეოლოგიურ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა აქვთ მიღებული: ც. ჩიკოძის, მ. ჩხატარაშვილს, ა. ბოზოჩაძის, ვ. თოლორაძეას, ე. ჟანდიერს, ლ. ასათიანს (მეცნიერ თანაშრომლებს), გ. ლევაქას, ო. ქავთარაძეს, ი. გრიბალს, ვ. კანდელაკს (არქიტექტორებს). წინამდებარე ნაშრომში ყველა ჩამოთვლილი თანაშრომლის მუშაობის შედეგებია განიეთებული. აღნიშნული ნაშრომის მომზადებაში დიდი მუშაობა აქვთ გაწეული კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერ

გასაბურღი ობიექტების შერჩევისას არჩევანი, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის პარკზე შევაჩერეთ, რადგან ქალაქის პარკში დღესაც დაცულია XVI ს-ში აგებული თურქული ციხის ნაშთები, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქის რატუნად გამოიყენეს. არ შეიძლებოდა ანგარიში არ გასწეოდა იმ გარემოებას, რომ ის არის, მართალია, ძალიან გვიანი, მაგრამ მატერიალური კულტურის ერთადერთი ძეგლი ფოთისა და მისი სანახების ტერიტორიაზე.

1961 წლის 20 ივლისს ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია კოლხეთის ჰიდრო-გეოლოგიურ პარტიასთან ერთად შეუდგა საველე სამუშაოს. გეოლოგიურ სამმართველოსა და ისტორიის ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულებით უნდა გაბურღულიყო ცხრაასი გრძივი მეტრი, უნდა შემდგარიყო ქაბურღილების ტოპოგრაფიული ავეგმვა და შემდეგ ჩატარებულ გეოლოგიურ სამუშაოთა წერილობითი ანგარიში, რომელსაც უნდა დაართოდა პალეობიოლოგიური ანალიზის შედეგები, გეოლოგიური კრილებისა და ტოპოგრაფიული გეგმის გრაფიკული ჩანახაზები. ეს სამუშაო კოლხეთის ჰიდრო-გეოლოგიურმა პარტიამ დროულად შეასრულა და მათი მუშაობის შედეგები გათვალისწინებულია წინამდებარე ნაშრომში.

ბურღვა, როგორც წესი, რვა მეტრის სიღრმეზე წარმოებდა, ხოლო ყოველ ცალკეულ მონაკვეთზე იბურღებოდა ერთი (ზოგჯერ მეტი) 20 მ სიღრმის შესამოწმებელი ქაბურღილი. თავდაპირველად ბურღვა მიმდინარეობდა უახლესი აგრეგატის СБУ-150—3МВ-ის მეშვეობით მშრალად და ბრუნვით. მალე ნათელი გახდა, რომ ასეთი ბურღვა იმედებს ვერ გაამართლებდა, რადგან სხვადასხვა სიღრმეებზე ნიადაგებმა მცოცავი თვისებები გამოავლინეს და სიღრმეების განსაზღვრა ძნელი გახდა. ნიადაგების ცოცვა იწვევდა ქაბურღილების კედლების ნგრევას და ყოველი მორიგი სიღრმიდან ციცხვს კვლავ ზედაფენების კერნი ამოჰქონდა. აღმოჩნდით სრული დეზორიენტაციის საშიშროების წინაშე. ამიტომ გადაწყდა გასამაგრებელი სითხის გამოყენება, მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ გამოიღო სასურველი შედეგი. გასამაგრებელმა სითხემ გამოიწვია ფენების ჩარეცხვა რასაც მოჰყვა არა სრულფასოვანი კერნის ამოღება. სხვა გზა აღარ იყო, უნდა მიგვემართა ხელბურღვისათვის. მეთოდის შეცვლამ გამოიწვია საბურღი აგრეგატის შეცვლა. არჩევანი შეჩერდა УГБ—50-ზე. ეს იყო ფაქტიურად ხელბურღვის მეთოდების გამოყენება ბურღვის მექანიზაციის მეშვეობით. მთელი ბურღვითი სამუშაოები ჩატარდა აღნიშნული დანადგარით. ბურღვა მიმდინარეობდა მშრალად, გასამაგრებელი სითხის გარეშე, შემოკლებული რიყისებით, რასაც შედეგად მოჰყვა 90—100% კერნის ამოღება. ეს კი თითქმის საესებით გამოირიცხავდა შესაძლებელი კულტურული ნაშთების დაკარგვას.

ქალაქის პარკში, თურქული ციხის ნაშთებთან დაყავიშირებულ ფართობზე ცხრა (№ 1—9) ქაბურღილი გაიბურღა. ყველა მათგანში ერთი და იგივე სურათი

---

თანამშრომლებს — ლ. ახალაიასა და თ. სიხარულიძეს, მხატვარს ლ. გაბელიას, ფოტოლაბორატორიის გამგეს გ. თოდუას, რესტავრატორ კ. კალანდოს.

ბურღვის წარმართავდნენ საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს კოლხეთის ჰიდრო-გეოლოგიური პარტიის უფროსი ე. სიხარულიძე, მთავარი გეოლოგი თ. ფხაკაძე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამსახურება გეოლოგ ე. დიხაშინჯიასი და უფროსი ოსტატის ლ. ყანაველისა, რომლებმაც არა დაიშურეს რა, ხოლო ზოგჯერ პირადი ინტერესებიც კი უგულვებლყვეს აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის. კოლხეთის ჰიდრო-გეოლოგიურ პარტიასთან ერთად ბურღვის მეთოდის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო აწ განსვენებულმა ი. გველიშვილმა.



დადასტურდა: ძირითადად, ზღუერი წარმოშობის სილები, რომელთა ნაწილი სიღრმეში გადადის თიხნარსა და თიხებში<sup>39</sup>. აღნიშნული ჰაბურღილებიდან ადამიანის ნახელავის ნაშთები მხოლოდ № 1 და № 2 ღრმა ჰაბურღილმა მოგვეცა. 0,6—1,0 სიღრმეზე აღმოჩნდა სადა, სრულიად უსახო ნატეხი ჰურჭლისა და მწვანე ჰიჭური და ფარული ჰურჭლის ძალიან პატარა ასევე უსახო ფრაგმენტი. ამ ნაშთების მიხედვით რაიმე ვარკვეულის თქმა ძნელია. ადვილი შესაძლებელია ისინი კავშირში იყვნენ თურქულ ციხესთან. ამ ნატეხების აღმოჩენა კერწი თა-ვისთავედ ნიშანდობლივი მოვლენა იყო. ნათელი გახდა, რომ კულტურული ფე-ნის არსებობის დადასტურება ხელბურღვით სავსებით შესაძლებელია.

ღანარჩენი, სამოცდაათზე მეტი ჰაბურღილი გაიბურღა ქალაქის იმ ნაწილ-ში, რომელიც მოქცეულია პალიასტომის ტბასა და რიონის მარცხენა სანაპიროს შორის. ეს არის ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც იწყება რიონის გან-ტოტებასთან და დღევანდელი აეროდრომის მისადგომებთან მთავრდება. ქალა-ქის ეს უბანი თავისი მდებარეობის თავისებურებით ზედმიწევნით ემთხვევა სტრაბონის მიერ აღწერილ ქ. ფასისს, რომელიც მოქცეული იყო რიონსა და პა-ლიასტომს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ, სპეციალისტების აზრით, მდინარე რიონის განშტოება ჩრდილოეთ და სამხრეთ ტოტებად XIV ს-ში მოხდა<sup>40</sup>. ქა-ლაქის აღნიშნული უბანი კი ამ განშტოების აღმოსავლეთით მდებარეობს. მაშა-სადამე, იგი მდ. რიონის შედარებით ძველი კალაპოტის მარცხენა სანაპიროზეა გაშლილი. სწორედ ამ მოსაზრებათა გამო ბურღვის მთელი სიმძიმე ქალაქის ხსენებულ უბანზე გადავიტანეთ. ქალაქის ამ უბანში გაიბურღა თითქმის ყველა ჰუჩა (ნინოშვილის, პირველი მაისის, რაჭის, იმერეთის, კავკასიის და სხვ.), ალაგალაგ ეზოებიც კი. ნიდაგების განფენების საერთო სურათი ასე-თია: ძირითადად გავრცელებულია ზღუერი წარმოშობის სილა და ჰვიშნარი, რომლებიც განლაგებულია ჰაობის ტორფებსა და თიხებზე. სილებისა და ჰვი-შების ზღუერ წარმოშობას ადასტურებენ ზღვის ფაუნის მრავალრიცხოვანი ნაშთები. ეს ნაშთები იმდენად ბევრია, რომ მათი განცალკევება ჰვიშისა და სი-ლისაგან შეუძლებელია.

კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ანგარიშში აღნიშნულია. რომ მთელი ეს მასა. შემდგარი ზღუერი ჰვიშისა და სილისაგან, წარმოადგენდა ჰა-ობ-ზღუერ და ჰაობ-ლაგუნურ წარმოქმნებს. შემდეგ ეს ფართობი დაიკავა ზღვამ, რომელმაც დალქა სილა ზღვის ფაუნის უამრავ ნაშთებთან ერთად. უფრო გვიან კი კოლხეთის დეპრესიის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცე-სის შედეგად ზღვამ დაიხია უკან, განთავისუფლებულ ადგილზე კი თანდათან წარმოიშვა ხმელეთი, რომელზედაც ახლა ფოთი მდებარეობს<sup>41</sup>.

აღსანიშნავია, რომ ზღვის ფაუნის ნაშთები ჰერ კიდევ ნ. შაფრანოვს ჰქონდა შემჩნეული პალიასტომის სანაპიროებზე და, ასე გასინჯეთ, ჰაობებშიც კი. იგი აღნიშნავდა, რომ ამ მოლუსკებს ზღვაში სუფსისა და რიონის შესართა-

<sup>39</sup> В. А. Сихарулидзе, В. В. Дихаминджиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, აგრეთვე ნახაზი № 2.

<sup>40</sup> Сводный отчет по изысканиям в районе Потийского порта за период с 1926 по 1947 год. (იხ. ფოთის პორტის არქივი).

<sup>41</sup> В. А. Сихарулидзе, В. В. Дихаминджиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15.

ვებს შორის ახლა ცხოვრება არ შეუძლიათ, რადგან სუფსისა და რიონის წყლები ანეიტრალებენ სღვის სიმლაშეს. მაშასადამე, ეს მოლუსკები ცხოვრობდნენ პალიასტომში, მაშინ, როცა მისი წყლები განსაკუთრებით მლაშე იყო<sup>42</sup>.

ჩვენი კაბურღილებიდან ამოღებული ფაუნის ნაშთები შესწავლისა და დასკვნისათვის გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტს. გამოირკვა, რომ შესასწავლი ფაუნა მოიცავს მოლუსკების 12 სახეობას და ყველა ისინი დღესაც დამახასიათებელია შავი ზღვისათვის<sup>43</sup>. პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დასკვნაში ნათქვამია: «Определенная нами фауна представлена видами моллюсков современного Черного моря. Ископаемые формы не встречены»<sup>44</sup>.

პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ასეთი დასკვნის მიუხედავად, კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის მიერ ჩვენთვის წარმოდგენილ ანგარიშში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოხსენებული ზღვური დანალექები უნდა განეკუთვნოს გარდამავალ ზონას უძველეს მეოთხეულსა და თანამედროვე ზღვურ წარმონაქმნებს შორის<sup>45</sup>.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: სამ კაბურღილში (№25, №49, და №55) აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმის ნაშთები. №25 კაბურღილი გაიბურღა რაჰვის ქუჩაზე, ხოლო № 49 და № 55 კაბურღილები პირველი მაისის ქუჩის ბოლოში, კავკასიის ქუჩის გადაკვეთასთან. ამ გარემოებამ მაშინვე მიიქცია ჩვენი ყურადღება და როგორც აქ, ისე რაჰვის ქუჩაზე, კერამიკის შემცველ ბურღილებთან გავბურღეთ კიდევ რამდენიმე კაბურღილი. ამგვარად, პირველი მაისის ქუჩაზე № 49 კაბურღილის გარშემო ყოველ ერთ მეტრზე გაივლო ოთხი კაბურღილი კულტურული ფენის ფიქსირების მიზნით. მაგრამ მხოლოდ № 55 კაბურღილი აღმოჩნდა შედეგიანი. ამ მონაკვეთზე გავლებულმა № 56, 57, 58, 68, 69, 70, 71, 72 კაბურღილებმაც არაფერი არ მოგვეცეს.

№ 49 და № 55 კაბურღილებში მოპოვებული ჭურჭლის ნატეხები ძალიან მცირე ზომისაა, სრულიად უსახო, ამიტომ რომელიმე გარკვეულ ხანისადმი მათი მიკუთვნება ძნელია. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს № 25 კაბურღილშიც, რომელიც რაჰვის ქუჩაზეა გავლებული. აქაც აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი, ხოლო მეზობელ კაბურღილებს აქაც არაფერი არ მოუციათ. აღმოჩენილი ნატეხები ძალიან მცირე ზომისა და უსახო, თუმცა ზემოხსენებული ფრაგმენტებისაგან მაინც გაირჩევა. მაგალითად, ერთ ნატეხზე დეკორიცი ე ეტყობა ნათლად: ორი საკმაოდ ღრმა ღარი, შუაში გლუვად გადასწორებული ქედით. ნატეხი ღიანაცრისფერადაა გამომწვარი და ძლიერ ქარსირებულია. მეორე ნატეხს ვარდისფერი კეცი აქვს ძლიერი მინარევეებით და ძალიან მოგვაგონებს ძვ. წ. II-I სს. დამახასიათებელ ჭინოპური ნაწარმის კეცს.

ყველა აღნიშნულ კაბურღილში კერამიკული ფრაგმენტები სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა: მაგ., № 25 კაბურღილში—6,5 და 8 მ შორის, № 49-ში—4,7 მ-დან

<sup>42</sup> Н. Ш а ф р а н о в. Образование Палеостомы и истока его Капарчя, გვ. 57.

<sup>43</sup> В. А. С и х а р у л и д з е, В. В. Д и х а м н и д ж и а, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, აგრეთვე დანართი № 2, გვ. 1—4.

<sup>44</sup> ი ქ ვ ე, დანართი № 2, გვ. 4.

<sup>45</sup> ი ქ ვ ე, გვ. 15.

6,7 მ-მდე, ხოლო № 55-ში — 5,3 მ-დან—7,8 მ-მდე<sup>46</sup>. მიუხედავად ამისა, ყველა ეს ნატეხი ერთ ფენაში — ზღვური დანალექების ფენაშია ფიქსირებული; ისინი აღმოჩნდნენ ზღვის ფაუნის ნაშთებთან ერთად. ცხადი ხდება, რომ კერამიკული ნაშთების შემცველი ქაბურღილების გარშემო გავლებულ მრავალ ქაბურღილში არ მოხერხდა კულტურული ფენის დადასტურება, რადგან კულტურული ფენა უშუალოდ აქ არც შეიძლება არსებულებოდა. აღწერილი ნატეხები კი, როგორც ჩანს, ზღვის მიერ ჩამორეცხილი კულტურული ფენიდან მომდინარეობენ. მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე გარკვეული პერიოდისადმი მათი მიკუთვნება ჭირს, ისინი ცხადია ისტორიულ ხანას განეკუთვნებიან, ადვილი შეჰაძლებელია, მართლაც ელინისტურ ეპოქას და ამდენად ფოთის საძიებელ უბანში დადასტურებულ ზღვის დანალექებს, რომლებიც პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მიერ მიჩნეულია თანამედროვე შავი ზღვის დანალექებად, ისტორიულ ხანაში აქცევენ.

დასასრულ, მინდა შევეხებო კიდევ ორ № 39 და № 80 ქაბურღილს, რომელიც გავლებული იყო მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, საპორტო ქუჩაზე, მჭედელ ბახტაძის სახლთან და მის ეზოში. აქ ქაბურღილები გაიბურღა შემდეგი გარემოების გამო: ქ. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, ე. წ. წელშეზნექილი ამფორა, რომელიც მუზეუმში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, აღმოჩენილია მოქ. ბახტაძის ეზოში. როგორც ჩანს, ეს ამფორა ჰქონდა მხედველობაში ნ. ხოშტარიას, როდესაც წერდა: „თვით ქ. ფოთის ტერიტორიაზე, რიონის მარჯვენა ნაპირას, ქ. ცენტრალურ ნაწილში, მიწის სამუშაოების დროს, 1,5 სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის დიდი, კარგად შენახული ჭურჭელი, ადგილობრივი ფორმის „ამფორა“, რომელიც ეკუთვნის ახ. წ. მე-4-5 საუკუნე“<sup>47</sup>. ნ. ხოშტარიას ამ ადგილზე ჩაუტარებია გათხრები და აღმოუჩინა ..... ნაშთები ხის შენობისა, რომლის სახურავი დაახლოებით 1,5 მ სიღრმეზე იწყებოდა. აღნიშნული ჭურჭლისა და ეგებ მისი თანამედროვე შენობის აღმოჩენა—განაგრძობს ავტორი — მოწმობს, რომ ძველი ქ. ფასისი ქ. ფოთის ტერიტორიაზე განაგრძობდა არსებობას ახ. წ. მე-4—5 ს., რაც ჩანს წერილობითი წყაროებიდანაც“ და იგი ასახელებს ბიზანტიელ მწერალს აგათიას სქოლასტიკოსს<sup>48</sup>.

ცხადია, არ შეიძლება ანგარიში არ გაგვეწვია ასეთი ცნობისათვის. წელშეზნექილი ამფორაც, მუზეუმში შედგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ ადგილის შემოწმებას აუცილებელს ხდიდა.

ბურღვის დაწყებამდე მოვინახულეთ ეს ადგილი და შევკრიბეთ სათანადო ცნობები ახლო-მახლო მცხოვრებთაგან. მჭედელ ბახტაძის ქალ-შვილმა, რომელსაც გადაუცია სხენებული ამფორა ფოთის მუზეუმისათვის. გვაცნობა, რომ ამფორა ბახტაძეების ეზოში არ აღმოჩენილა, ის საიდანაც მოუტანიათ იქ. მიუხედავად ამისა მაინც საჭიროდ ვცანიით ამ ადგილის შემოწმება. გავავლეთ ათმეტრიანი ორი ქაბურღილი. არც ერთ მათგანში რაიმე კვალი მატერიალური კულტურის ნაშთისა არ აღმოჩენილა. აღსანიშნავია, რომ ნ. ხოშტარიაც ხის შენობის ნაშთების გარდა აქ სხვას არაფერს არ ასახელებს. ამ ქაბურღილების

<sup>46</sup> აღნიშნული ქაბურღილების ლითოლოგიური სქემები იხ. ს. სიხარულიძისა და ვ. დიხაშინიძის დასახელებულ ანგარიშში.

<sup>47</sup> ნ. ხოშტარია, პალეოსტომის ტიხის ისტორიისათვის. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1953, № 9, გვ. 33.

<sup>48</sup> ნ. ხოშტარია, იქვე, გვ. 33.

ლითოლოგიური კრილი ასეთია: 1,5 მ სიმაღლემდე დადასტურებულია ნაცრისფერი ბლანტე, საფლობი თიხა, ხოლო შემდეგ, 10 მ სიღრმემდე წვრილმარცვლოვანი ზღვის ქვიშა, რომელიც ზღვის ფაუნის ნაშთებს შეიცავს. რიონის მარჯვენა ნაპირზე, აღწერილი ქაბურღილების აღმოსავლეთით, 200—300 მ მანძილზე, რიონის მარჯვენა ნაპირსა და რკინიგზის ხაზს შორის გაიბურღა კიდევ ორი ქაბურღილი (№ 81 და 82). ამ ბურღილების ლითოლოგიური კრილიც, არსებითად ზემოხსენებული ბურღილების კრილს იმეორებს: 1,2 მ. სიღრმემდე წვრილმარცვლოვანი სილა მოყვითალო ფერისა, შემდეგ 4,3 სიღრმემდე ნაცრისფერი ბლანტე, საფლობი თიხა და ბოლოს ნაცრისფერი მსხვილმარცვლოვანი სილა. ეს შრეები სპეციალისტების ვარაუდით ალუვიალური წარმოშობისაა<sup>49</sup>.

ამრიგად, გეოლოგიური ბურღვის მეშვეობით წარმოდგენა შეგვექმნა არა მარტო იმ ტერიტორიის ლითოლოგიურ კრილზე, რომელიც დღეს ქ. ფოთს, კერძოდ კი მის უძველეს უბანს უკავია, არამედ შესაძლებელი გახდა გარკვეული აზრის შემუშავება იმ მიდამოებში ძველი ფასისის არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ დღევანდელი ფოთის უდიდეს ნაწილში ძველი ფასისის არსებობა გამორიცხულია, მაგრამ გარეუბნებში, მაგალითად, ე. წ. „საგოროდოს ტყეში“, აეროდრომისა და სანერგის მიდამოებში შეიძლება დადასტურდეს ბიზანტიური და იქნებ რომაული ხანის ქალაქის კვალი. ამზე მეტყველებს აქ მიკვლეული ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ბურღვასთან ერთად ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაამუშავა ქ. ფოთის პორტის არქივსა და ფონდებში დაცულ წერილობითი, გრაფიკული და კარტოგრაფიული დოკუმენტები, ლიტერატურა ზღვისა და რიონის რეგიმის, მოცემული მხარის გეომორფოლოგიისა და ჰიდროგრაფიის შესახებ. ეს მასალა, როგორც დავინახეთ, ნაწილობრივ აისახა კიდევ შესავალ ნაწილში.

ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია პირველივე წლიდან შეუდგა საკვლევი მხარის ფართო არქეოლოგიურ დაზვერვას, რასაც მთელი ინტენსივობით აგრძელებდა შემდგომ წლებში. რიონის ქვემო წელზე სხვადასხვა ადგილას (სოფ. ქვემო ქალადიდში, პატარა ფოთში, საქორჭიოში, თხინას ტყეში და სხვაგან) გამოვლინდა მრავალი ძეგლი, რომელიც ჩატარებული დაზვერვებისა და სიმაგრეზე წარმოებული სტაციონალური გათხრების შედეგად შუქს ჰფენს ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინაშე დასმულ პრობლემას. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი ამ ძეგლების პუბლიკაციას, განხილვასა და ძველი ფასისის საკითხთან დაკავშირებით მათი ისტორიული მნიშვნელობის გაშუქებას ეძღვნება.

<sup>49</sup> В. А. Сихарулидзе, В. В. Дихамниджиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

## თავი პირველი


### უძველესი არქეოლოგიური ძეგლები რიონის შესართავთან

ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ყველაზე ადრეული დასახლებების კვლას მდ. რიონის გარშემო სოფ. ქვემო ჭალადილში მიაკვლია. ეს დასახლებები აღმოჩნდა იმ უბანში, რომელსაც ქვემო ჭალადილის მცხოვრებლები საბაჟოს უწოდებდნენ. თვით სახელწოდება უბნისა დიდ ინტერესს იწვევს თავისთავად. საქმე ისაა, რომ ქვემო ჭალადილში, როგორც ეს შედარებით ახალი და ნარევი დასახლებისათვისაა ჩვეულებრივ დამახასიათებელი, თითქმის არავითარი ზეპირი ტრადიცია არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს ვეება ტერიტორია უკავია, არც სოფლის ცალკეულ უბნებს, არც ნაკვეთებს, არც სახანავსა და სათვის არა აქვს ძველი სახელი შემორჩენილი. ერთადერთი უბანი, რომელსაც თავისი სახელი შემოუნახავს, ამასთან შესაძლოა ძალიან ძველიც, არის საბაჟო. საბაჟოს უბანს ემაჩიან იმ გზის გარშემო არსებულ დასახლებას, რომელიც მდ. რიონიდან ჩრდილოეთით მიედინება და ცხაკაიიდან ფოთისაკენ მიმავალ მაგისტრალს უერთდება. ამ გზის სიგრძე დაახლოებით კილომეტრნახევარია (იხ. სურ. 1). საგულისხმოა, რომ შედარებით ძველ რუკებზე ეს დასახლება საბაჟოს სახელითაა აღნიშნული. როგორც ჩანს, ეს იყო ამ ადგილის უძველესი სახელწოდება.

ასეთი სახელდება აღნიშნული უბნისა თუ მთელი დასახლებისა დაკავშირებული იყო იმ ბაჟთან, რომელსაც მდ. რიონზე საქონლის გასატანად ახდევინებდნენ მოსახლეობას უკნასკნელ საუკუნეთა მანძილზე. აღნიშნული გარემოება გახდა, როგორც ჩანს, საფუძველი აქ იმ პირველი დასახლებების გაჩენისათვის, რომლებმაც წარმოშვეს დღეს არსებული სოფელი. მაგრამ როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, საბაჟოს უბანში ინტენსიურ დასახლებას გაცილებით უფრო შორეული ისტორია აქვს. აქ მიკვლეული უძველესი დასახლებების წარმოშობა ისევე, როგორც შედარებით ახალი დასახლებებისა, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ ადგილის მარჯვე მდებარეობასთან სამდინარო, სახმელეთო და საზღვაო გზების გადაკვეთაზე. ამიტომ, სახელწოდება საბაჟო შეიძლება შორეული წარსულის გამოძახილი იყოს, და არა უფრო გვიანდელი მოვლენებისა, როგორც ეს ადგილობრივ ტრადიციაშია დაცული.

საბაჟოს უბანში მიკვლეული იყო რამდენიმე მძლავრი დასახლების კვალი. ამ ნაშთების შესწავლამ ცხადყო, რომ აქ ინტენსიური მცხოვრება მიმდინარეობდა მრავალი საუკუნის მანძილზე. ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანების დასასრულიდან მოყოლებული.

პირველი და ამასთან უძველესი ნაშთებისა, რომლის შესწავლასაც შე-



უდგა ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია საბაჟოს უბანში ბორცვი ზურგა იყო. ზურგამ უპირველეს ყოვლისა, თავისი კონფიგურაციით მიიქცია ყურადღება და არა იმ მცირერიცხოვანი და უსახო მასალით, რომელიც აქა-იქ იყო მიმობნეული.

## 1. ბორცვი – ნამოსახლარი ზურგა

### ტაბ. I—VIII

ბორცვი-ნამოსახლარი ზურგა მდებარეობს სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის ნაპირიდან დაახლოებით 1,5 კმ-ის მანძილზე ჩრდილოეთით. დასავლეთით მას უშუალოდ ემიჯნება სასოფლო საბჭოს ეზო, რომელიც ამჟამად საბავშვო ბაღს ეკუთვნის, ჩრდილოეთით კი — ფოთისაკენ მიმავალი გზატკეცილი (იხ. სურ. 1).

ზურგა ბ. გოგოლიშვილს აღნიშნული აქვს თავის „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების რუკაზე“, როგორც „ნახევარსფეროსებური სადგომი გარშემო თხრილით“. ზურგა მართლაც ნახევარსფეროს ფორმისაა, მაგრამ ირგვლივ თხრილი არ ეტყობა. ბორცვის სამი მხარე: აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი პირვანდელი სახითაა დაცული, ხოლო ჩრდილოეთი მოკვეთილია და მოსწორებული. აქ ამჟამად დგას საცხოვრებელი სახლი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობები. ზურგას ბორცვ-ნამოსახლარის მთელი ფართობი საყანედ უქცევია სოფ. ქვემო ჭალადიდის ორ მოსახლეს. ვიდრე ისინი აქ დასახლდებოდნენ, ზურგა მოქცეული იყო უფრო ძველ მოსახლეთა არჩაიების სამოსახლოში და მათივე ცნობით მთლიანად დაფარული ყოფილა ქვაყრილით. ქვა ადგილობრივ მოსახლეობას გაუზიდავს.

ზურგას საერთო ფართობი თითქმის 1800 კვ. მ აღწევს. სიმაღლეთა მაქსიმალური სხვაობა 2 მ-ია, ბორცვის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 5,03 მ სიმაღლეზეა (ტაბ. 1).

ზურგაზე ანაკრეფი მასალა არც მრავალრიცხოვანი იყო და არც მნიშვნელოვანი. ისევე როგორც სხვა ბორცვებზე აქაც მიმობნეული იყო გამომწვარი თიხის ბათქაშის ნამსხვრევები და აქა-იქ ქურჭლის უსახო ნატეხები. ცეცხლში გამომწვარი თიხის ბათქაშის ნატეხები, როგორც ჩანს, ნაშთია უფრო გვიან დასახლებისა, რომელიც იმ დასახლებათა თანადროულია, იქვე მეზობელ ნაკვეთებზე რომ დადასტურდა.

საედელი თხრილი (3X6 მ) გაეავლეთ ბორცვის ცენტრალურ, უმაღლეს ადგილას, ნ. ყიფიანის ნაკვეთში, გამყოფი ღობის ძირში. იგი დაეამხრეთ სამხრეთიდან ჩრდილოეთით. შემდგომ, თხრილი დაეყავით კვადრატებად (1,5X2 მ), რომლებიც შემდეგი ინდექსებით აღინიშნა: აღმოსავლეთ ნახევარში A<sub>1</sub>, A<sub>2</sub>, A<sub>3</sub> და დასავლეთ ნახევარში B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>.

საედელ თხრილში კულტურული ფენების შემდეგი თანმიმდევრობა დადასტურდა (ტაბ. I):

საყანე შავი მიწის ქვეშ განფენილია ყვითელი ქვიშანარევი თიხნარი, რომელშიც საემარისი ოდენობით აღმოჩნდა კულტურული ნაშთები, უპირატესად აგურად ქცეული ბათქაშის, სხვადასხვა კეცისა და სხვადასხვა ფორმის ქურჭლის ნატეხები. ყვითელი თიხნარის ქვეშ ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა წითლად

დამწვარი შრე, რომელიც გამოძვარი ბათქაშის ნამტვრევებს შეიცავდა. ეს შრე განსაკუთრებით წითლად იყო გამოკვეთილი თხრილის ჩრდილო ნახევარში. მაშინ როდესაც თხრილის დანარჩენ ფართობზე ან სულ არ იყო, ან უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი. კულტურული ნაშთების შემცველი საკმაოდ ძლიერი ყვითელი ქვიშანარევი ფენა მთელი თხრილის ფართობზე დადასტურდა. წითლად გამოძვარი შრე, რომელსაც, ფაქტიურად ქმნიდა ცეცხლში მოხვედრილი ბათქაშები ყვითელი ქვიშანარევი თიხნარის ფენასთან ერთად, ერთ ფენას უნდა წარმოადგენდეს, რასაც მასალის ერთგვარობაც ადასტურებს.

ამ ფენას მოსდევს ყვითელი, მსუქანი და წმინდა თიხნარის ფენა. ამ ფენაში ფიქსირებული მასალა, შედარებით ზემოაღწერილთან, ოდენობითაც და მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. ეს ფენა საცდელ თხრილში მთელ ფართობზე ერთნაირად არ იყო წარმოდგენილი, რაც კარგად ჩანს თხრილის აღმოსავლეთი, გრძივი კედლის ქრილში. თხრილის სამხრეთ ნახევარში ქვიშანარევი ყვითელი თიხნარის ფენა უშუალოდ იდო შავ გადამწვარ ფენაზე.

მომდევნო ფენა შავადაა გადამწვარი. იგი წარმოადგენს ხის გადამწვარი ნაგებობისა და მისი კუთვნილი ნივთების ფენას. ეს ფენა ძვეს მოყვითალო-მომწვანო ფენის თიხნარზე, რომელიც საგანგებოდ უნდა ყოფილიყო დატკეპნილი და ალბათ, იატაკად გამოყენებული. გადამწვარი ფენა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გადადის დამწვარ თიხნარში, რომელსაც მოყავისფრო ფერი აქვს. გადამწვარი ფენა განსაკუთრებით მდიდარია მონაპოვრით. აქვეა ფიქსირებული დიდი, მთლიანად დანახშირებული ძელი, რომელიც როგორც ჩანს, ნაგებობის ნაწილს შეადგენს.

ამგვარად, ბორცვ „ზურგაზე“ საცდელი თხრილის მიხედვით, დასტურდება ფაქტიურად სამი კულტურული ფენა: ყვითელი ქვიშანარევი თიხნარი, ყვითელი წმინდა, მსუქანი თიხნარი და გადამწვარი დანახშირებული ფენა. საეარაუდოა სულ ზედა ფენის არსებობაც, რომელიც თითქმის სრულიად ჩამორეცხილია, და რომლის კვალიც ზემოთ ხსენებული ბათქაშებითაა წარმოდგენილი.

მონაპოვრის მიხედვით, ყველაზე მრავალი და მრავალფეროვანი მასალა ქვედა ფენაშია ფიქსირებული. ამასთან, ეს მასალა შედარებით კარგად განისაზღვრება და, რაც მთავარია, მასზე დამოკიდებულია სხვა ფენებში დადასტურებული მასალა. ამიტომ, მოპოვებული მასალის განხილვას შავი გადამწვარი ანუ ქვედა ფენის მასალის განხილვით ვიწყებთ.

#### ა. ქვედა ფენაში მოპოვებული ნივთიერი მასალა

ქვედა ფენის მონაპოვარი, ძირითადად, კერამიკითაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭელი შავად და მოვარდისფროდაა გამოძვარი, ფრაგმენტულია. ამიტომ ძნელია ჭურჭლების ზომასა, ფორმასა და, ზოგ შემთხვევაში, დანიშნულებაზე მსჯელობა. კედლების სისქის, პირებისა და ძირების მიხედვით, საქმე უნდა გვქონდეს, უპირატესად, საშუალო და მცირე ზომის ჭურჭელთან. დიდი ზომის ჭურჭელი ერთი-ორი ბრტყელი ძირითაა წარმოდგენილი. სადა ჭურჭელი, შეიძლება ითქვას, არ არის; ყველა ეგზემპლარი, როგორც წესი, ორნამენტირებულია. შავსა და მოვარდისფრო კერამიკაზე სამკაულის მოტივი, არსებითად, ერთნაირია: აქ გვაქვს შეხამება ღაროვანი და წერტილოვანი ორნამენტისა. მაგრამ



შავი და მოვარდისფრო ჭურჭლის შემკულობაში შეიმჩნევა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი თავისებურება. შავს უპირატესად ახასიათებს წერტილოვანი და ლაროვანი ორნამენტის შეხამება. ეს მოტივი შემდეგნაირად გადმოიცემა: ლაროვან ორნამენტს აქვს, მაგალითად ზიგზაგისებური ფორმა; ჩვეულებრივ, ლაროვანი ზიგზაგების სამი რიგია ხოლმე, რომელთა შორის მოთავსებულია საკმაოდ სქელი ზოლი წერტილოვანი ორნამენტისა (ტაბ. II და III, ფ. 62, 114, ტაბ. III ფ. 62—45). არის ეგზემპლარები, რომელთა წერტილოვანი ორნამენტი ოვალური ფორმის შევრონებს ავსებს. ამასთან, ეს შევრონები ერთ შემთხვევაში თუ წერტილებითაა ამოვსებული, მეორეში სადა და მხოლოდ ოვალურ ამოზიდულ სიბრტყეს იძლევა (ტ. IV, ფ. 62—131, შდრ. ფ. 62—299). ამდაგვარი ორნამენტი ახასიათებს მოვარდისფროდ გამოშვარ კერამიკასაც, ოღონდ აქ წერტილოვანი ორნამენტი ფოსფებითაა შეცვლილი (ტაბ. II, ფ. 62—151, ფ. 62—176, ფ. 62—172). შავ კერამიკაში წერტილოვანი ზოლები მოთავსებულია შვეულ და თარაზულ ღარებს შორის (ტაბ. II, ფ. 62—343; ტაბ. IV, ფ. 62—174). ამ ეგზემპლარების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ შვეულ ღარებს შორის მოქცეული ერთი წერტილოვანი სვეტი იქვე აღარ მეორდება, მეორე მწკრივში გვაქვს უკვე ირიბი ღარებით შემკული მწკრივი. ამ ხერხით ჭურჭლის ზედაპირის შემკულობა უფრო მდიდრული ხდება, მეტიც, ჭურჭლის ზედაპირის შემკულობის გაძლიერების მიზნით ზოგიერთი ეგზემპლარის ქვედა ნაწილი თუ ზემოაღნიშნული სამკაულითაა შემკული, ზედა ნაწილი ჰორიზონტულ ღარებს შორის მოთავსებული ირიბი ღარებითაა დასერილი. ამასთან, ერთ ზედაპირზე ირიბ ღარებს ერთი მიმართულება აქვს, ხოლო მეორეზე — საწინააღმდეგო (ტაბ. IV, ფ. 62—174). ამ ეგზემპლარებზე აღსანიშნავია რელიეფური, ცილინდრული ფორმის შევრილი.

შავი ჭურჭლის ორნამენტაციაში არის სხვა დამახასიათებელი მოტივიც: მაგალითად, როცა ორნამენტი მხოლოდ ღარებით, ან უფრო სწორად ღარებით შექმნილი რელიეფური ქედებითაა გადმოცემული. აქ ეფექტი მიღწეულია ირიბი ღარების შეხამებით ოვალურ ღარებთან და ნაძვისებურ ორნამენტთან. ამ სამკაულს, კერძოდ, ნაძვისებრ ორნამენტს, რელიეფურს ხდის წყვილი კოპები, რომლებიც მასზეა დატანილი (ფ. 62—384; ფ. 62—341). გვაქვს ცალკობიანი ეგზემპლარებიც, რომლებიც გადმოცემულია ჰორიზონტალური ღარების რამდენიმე რიგით, შემდეგ ირიბი ღარების ჰორიზონტალური ზოლით, ხოლო გვერდზე — ასევე ირიბი, მომრგვალებული ღარების მერიდიანული ზოლით. აღსანიშნავია, რომ ჰორიზონტული ღარები კოპზეც გადადის, რითაც ეს კოპი მდიდრული ხდება (ტაბ. II, ფ. 62—257). არის სამკაული, გადმოცემული ჭურჭლის ზედა ნაწილში ოვალური ფორმის სფეროებით, რომლებიც ამოვსებულია ჰორიზონტული მომრგვალებული ღარებით (ტაბ. V, ფ. 62—290; შდრ. ფ. 62—181).

ამ ფენაში გვაქვს შავპირალა ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ზედაპირის დამუშავების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: მკვეთრი ჰორიზონტულქედებიანი ეგზემპლარი, რომლის ზედაპირი კედლებს გარდა შვეული, პირალა ზოლებითაა შემკული (ტაბ III, ფ. 62—220), და პირალა ზოლებით შესრულებული რომბისებურსამკაულიანი ეგზემპლარი (ტაბ. III, ფ. 62—203). შავი ჭურჭლის შემკულობაში გამოირჩევა კიდევ ღარების და ნაძვისებური ნაკაწრის შეხამება (ტაბ. IV ფ. 62—161). ანალოგიურ შემკულობას ვხვდებით შუა ფე-

ნანოც (ტაბ. VI, ფ. 62—54). ეს ერთობ ნიშანდობლივი გარემოებაა. ქვედა ფენაში გვაქვს აგრეთვე შავ ქურქელზე კონცენტრირებული ღაროვანი წრეების შეხამება დაკბილული იარაღით შესრულებულ ვაფლისებრ სამკაულთან (ტაბ. II, ფ. 62—269).

დაკბილული იარაღით შესრულებული ვაფლისებრი ორნამენტი ამ ფენის შავ ქურქელზე იშვიათია, გარდა აღწერილისა ერთ-ორ ეგზემპლარზე გვაქვს მხოლოდ, მაშინ, როდესაც ხშირია ამავე ფენის ვარდისფრად გამომწვარ ქურქელზე (ფ. 62—27, შდრ. ტ. II, ფ. 62—298). უნდა აღინიშნოს, რომ შავ ქურქელზე ეს სამკაული უფრო წმინდა კბილების მქონე შტამპითაა შესრულებული. ვიდრე ვარდისფრად გამომწვარ ქურქელზე. ამ უკანასკნელზე აღნიშნული სამკაული შესრულებულია ზუსტად ისეთი შტამპით (ტაბ. VIII, ფ. 62—80), რომელიც ჩვენ შუა ფენაში მოვიპოვეთ. ეს ვაფლისებური ორნამენტი ღაროვანთან შედარებით უფრო მოვარდისფროდ გამომწვარ კერამიკას ახასიათებს, ხოლო ღაროვანი და წერტილოვანი ორნამენტის კომბინაცია — შავს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ. ასეთი შეხამება არც შავისთვისაა უცხო. სამაგიეროდ რელიეფური სამკაული (რელიეფური შვერილები, კოპები, როგორც წყვილი, ისე ცალი) მხოლოდ შავ კერამიკაზე გვაქვს დადასტურებული. თავის მხრივ მოვარდისფრო ქურქელზე გვაქვს ორი მწკრივი ტალღისებური განიერი ღარებისა, რომლებიც, როგორც ჩანს. მთელ ქურქელს გარს შემოუყვებოდა ზედა ნაწილში. ხოლო ამ ღარების ზემოთ ქურქლის ყელს შესაყართან განიერი ზოლია ნაკაწრით შესრულებული ნაძვისებური ორნამენტისა (ტაბ. IV, ფ. 62—295). აღსანიშნავია, რომ როგორც შავ ისე მოვარდისფრო კერამიკაზე დამოწმებულია სამკაულის კიდევ ერთი მოტივი, ვგულისხმობთ ფოთლისებურ ქდეებს (ტაბ. II, ფ. 62—293 და ტაბ. IV, ფ. 62—303).

კერამიკული ქურქლის ორნამენტაციის თვალსაზრისით ზურგას ქვედა ფენის მასალა ბევრ საერთოს პოულობს ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალასთან. ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალის ორნამენტაციისათვის ისევე, როგორც ქალადიდის ზურგას ქვედა ფენის მასალისათვის დამახასიათებელია დაკბილული იარაღით შესრულებული ორნამენტი — ირიბი თუ ნაძვისებური რიგების სახით, რომლებიც გარს შემოვლებული არიან ჰორიზონტული ირიბი, ოვალური ღარებით<sup>1</sup>. ნაოხვამუს კერამიკაზე მარტო დაკბილული იარაღით შესრულებული ორნამენტი არ არის დადასტურებული; ის მუდამ შეხამებულია ღაროვან ხაზებთან. ეს უკანასკნელი კი. პირიქით, ფიქსირებულია დაკბილული იარაღით შესრულებული მოტივის გარეშე<sup>2</sup>. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ანალოგიური ორნამენტი აქვს ზურგას ქვედა ფენის მასალასაც.

ქალადიდის ზურგას ქვედა ფენის მასალა ფორმების მხრივაც პოულობს საერთოს ნაოხვამუს ქვედა ჰორიზონტის მასალასთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია ყურები.

უ რ ე ბ ი ქურქლისა ასე უნდა დაჯგუფდეს: ყურები, რომლებიც ზედა ნაწილში ქურქლის კორპუსთან შეერთებული არიან ჰორიზონტული ძვიდის მეშვეობით. ხოლო თვით ყურს ამ ძვიდესთან შეერთების ადგილას აქვს ვერტიკალური შვერილი თუ ქიმი (ტაბ. V, ფ. 62—290; ტაბ. VI, ფ. 62—307; ტაბ.

<sup>1</sup> Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды, Тб., 1951, т. II, стр. 230.

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н. იქვე, 232—233.

VII, ფ. 62—101, შდრ. ფ. 62—181). ზოგ ეგზემპლარს ეს შევილი თუ ქიმი ოდნავ ემჩნევა (ტაბ. V, ფ. 62—666 და 62—336), ზოგს კი ქიმი რამდენადმე ჩაღრმავებული აქვს უნაგირისებურად და კიდევები ირიბ შევილებს ქმნის (ტაბ. V, ფ. 62—290). ეს შევილები ზოგჯერ ოდნავ შესამჩნევია (ტაბ. VII, ფ. 62—101). ხოლო ზოგჯერ ცხოველის რქისებური შევილებების ფორმას იღებს (ტ. VI, ფ. 62—171). ყურების აღწერილი ტიპი, რომელსაც თავისი ჰაბიტუსის გამო, ჩვეულებრივ, ფრინველის მკერდის ძვალს ადარებენ, ცნობილია ნოხჯანუს ქვედა ფენის მსალიდან<sup>3</sup>.

აქვე აღმოჩენილია სამი მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ოვალურ-განივკვეთიანი ყური (ტაბ. VI, ფ. 62—142, ფ. 62—200; ტაბ. VII, ფ. 62—51). ეს ყურები ზედა ნაწილში პირდაპირ უერთდება ჭურჭლის პირს. კეცის არათანაბარი გამოწვის და აგრეთვე პირის მიხედვით (პირი ძალიან პრიმიტიულია, არსებითად იგი არც არის შეკეთრად გამოკვეთილი) ეს ჭურჭელი არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს (შდრ. ტ. VII და ტაბ. III). როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ზოგადად, ამ ყურების ანალოგიურია შუა ფენის ყურებიც (ფ. 62—51 და ფ. 62—320). ისინი კიდევ უფრო არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებენ და უფრო ადრეული ეპოქის გამოძახილადაა მისაჩნვეი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ყური (ტაბ. VI, ფ. 62—289), რომელსაც ჭურჭელთან შეერთების ადგილას გაფართოებული კვადრატის მოყვანილობა აქვს. იგი ქვემოთკენ თანდათან თხელდება, მისი განივკვეთი ოთხკუთხაა. ზედაპირის ზედა ნაწილი დამუშავებულია ჰორიზონტული ღარებით, რომლებიც ერთიმეორასაგან ეიწრო ქედებითაა გამოყოფილი.

ცალკეა აღსანიშნავი ერთი ჭურჭელი (ტაბ. VII, ფ. 62—89), რომელსაც ყურის ნაცვლად სახელური აქვს. ასეთი სახელურის მქონე ჭურჭელი ამ დროის მასალაში გვხვდება, მაგრამ ვაცილებით იშვიათად, ვიდრე ჭურჭელი ზემოთ აღწერილი ყურებით.

ქოთნებიდან უპირატესად პირებია შემორჩენილი; გვაქვს ოთხ-ორი ნაცვები მუცლისა და ყელისა. ეს ჭურჭელი ორგვარია: მდიდრულად დეკორირებული ქოთნები, კარგი, თანაბარზომიერი გამოწვისა და სრულიად სადა ან მხატვრული თვალსაზრისით მდარედ ორნამენტირებული ქოთნები. პირები ქოთნებისა უპირატესად უგვირგვინოა, გარეთ გადმოშლილი (ტაბ. IV, ფ. 62—123, ფ. 62—255, ფ. 62—137; ტაბ. V, ფ. 62—145, ფ. 62—117). შემკულია ძირითადად დატიხრული ხაზებისაგან შემდგარი ზოლებით, ჭდეებითა და ფოსოებით. ზოგი პირი სრულიად არ არის გამოყოფილი ჭურჭლის კორპუსებისაგან (ტაბ. IV, ფ. 62—174). ამ მხრივ გამოჩაყლის წარმოდგენს შავბრიალა ჭურჭლის პირები. ერთ მათგანს მცირე მომრგვალებული გვირგვინი აქვს (ტაბ. VII, ფ. 62—320), ხოლო მეორეს — ასევე მომრგვალებული, ოღონდ მასიური და გადმოკეცილი (ტ. III, ფ. 62—203). შავ ჭურჭელში გვაქვს პირმოყრილი ეგზემპლარებიც. რომელთა პირები გლუვი ღარებითაა დამუშავებული (ტაბ. IV, ფ. 62—238, ფ. 62—303).

ამ ტიპის ჭურჭლისაგან გამოირჩევა ერთი საშუალო ზომის მუცელმომრგვალებული ქოთანი (ფ. 62—184), რომლის ყელ-პირისა და კედლების ფრამენტებია მხოლოდ შემორჩენილი. ეს ქოთანი საშუალო ზომის დაბალყელიანი

<sup>3</sup> Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

ეგზემპლარია, აქვს ოდნავ გამოყოფილი მომრგვალებული გვირგვინი, ყელი სადაა, კედლები კი მდიდრულადაა შემკული ღაროვანი ორნამენტით. ჭურჭელს სულ ზედა ნაწილში შემოუყვება ირიბი, ოდნავ რელიეფური ხაზების სარტყელი, შემდეგ შემოსდევს ორი ღარი შუა ქედით, ხოლო ქვემოთ მოცემულია ნაძვისებური ორნამენტი, რომელიც შემოფარგლულია ღაროვანი შევრონით. ასეთი შევრონი, როგორც ჩანს, სიმეტრიულად ოთხივე მხარეს ჰქონდა აღნიშნულ ჭურჭელს, რასაც მოწმობს შევრონების შუა გულში ნაძვისებრ ორნამენტზე წყვილი რელიეფური კოპის არსებობა. ერთი წყვილი კოპებისა დატულია, ხოლო მეორისაგან შემორჩენილია მხოლოდ წყვილის ცალი. (აღწერილი ჭურჭელი გამოფენილია ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ექსპოზიციაში. ქოთნებში ყურადღებას იქცევს აგრეთვე სწოროპირიანი ქოთანი (ფ. 62—129). პირი ქოთნისა სადაა, ბაცი ყავისფერი კეცი აქვს, გადანატეხში კეცი მოთეთროა. ზედაპირი, როგორც შიგნით, ისე გარეთ გაპრიალებულია; ყელის ძირში ირიბი ჭდეული ორნამენტი ჰქონია.

ტოლჩები ამ ფენაში დადასტურებულია რამდენიმე ცალი. არის ტოლჩები, რომლებსაც აქვთ ეგრეთ წოდებული „ფრინველის მკერდის ძვლის“ ფორმის ყურები. ამათგან ყველაზე საინტერესოა უკვე ხსენებული ეგზემპლარი (ტაბ. V, ფ. 62—290), რომელიც წარმოადგენს მუცელგანიერ ცალყურა სასმისს. აქვს ძალიან თხელი, სწორი და სადა პირი. ორნამენტირებულია ტოლჩის მხოლოდ ზედა ნაწილი ორრიგი ღარისაგან შესრულებული სფერული ფესტონებით (თუ შევრონით), რომლებიც შეესებულება გაშლილი ჰორიზონტული, მორკალული ღარებით. ყური ტოლჩისა დამუშავებულია მერიდიანული ღარებით. ღარებითვეა შემკული ყურის ზედაპირი, რომლითაც ყურის ზედა ნაწილი უერთდება სასმისის კედელს. ტოლჩის ქვედა ნაწილი სადაა.

აღწერილი სასმისი ყურის მოყვანილობით და მთელი ჭურჭლის საერთო ფორმის მიხედვით ძალიან დამახასიათებელია გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპების, ან, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, ძველკოლხური პირველი პერიოდის კოლხეთის ნასახლარებისათვის (ქვალონის ნაოხვამუს ქვედა ფენა, წყემი, ვედლიყარი, პალური)<sup>4</sup>. ოლონდ ცალკეული ძეგლი მცირე განსხვავებებს იძლევა. მაგალითად, ნაოხვამუს ეგზემპლარს პირი უფრო გამოკვეთილი აქვს ღაროვანი ორნამენტით. ამასთან, ორნამენტი აქ ჭურჭლის კორპუსზე პარკეტულია და ყურის ზედაპირიც ნაძვისებური ორნამენტითა აქვს შემკული<sup>5</sup>. მიუხედავად აღნიშნული სხვაობისა, ნაოხვამუს და ზურგას ტოლჩების შემკულობის პრინციპი მაინც ერთნაირია და ერთსა და იმავე სტილისტურ ტრადიციაზე მიუთითებს. როგორც ზურგას, ისე ნაოხვამუსა და სხვა ნასახლარების მასალაში ჭურჭლის ზედაპირის მხოლოდ ზედა ნაწილია შემკული. ამასთან, პარკეტული ორნამენტისა და ზურგას ტოლჩების ორნამენტის შესრულების ტექნიკა და ხერხები ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ ანდაზში. აღსანიშნავია, რომ ღარებით შემოვლებული სივრცეების ღარ-ქედებით ამოვსების ზურგაზე დამოწმებული ხერხი ნაოხვამუს ქვედა ფენის მასალასაც ახასიათებს<sup>6</sup>. ოლონდ აქ ერთ შემ-

<sup>4</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 62; თ. მიქელაქე, ძიებანი კოლხეთისა, და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974 გვ. 55 შმდ.

<sup>5</sup> Б. А. Куфтин, იქვე, ტაბ. 48.

<sup>6</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომის ტაბ. 60<sub>2</sub>, 61.

თხვევაში შევრონები წაგრძელებული ოვალის ფორმისა და ამოვსებულია ნაძვისებური ორნამენტით, ხოლო მეორე შემთხვევაში სამი რიგია ასეთი შევრონებისა, ამოვსებული ჩვენი ჭურჭლის ორნამენტის მსგავსი ღარებით, რომელსაც განსხვავებით ჩვენი ჭურჭლის ღარებისაგან პერიდიანული მიმართულება აქვთ. ცხადია, რომ ჩვენი ტოლჩა, საერთო ჰაბიტუსის მიხედვით, იმეორებს ნაოხვამუს ქვედა ფენის ტოლჩებს, ოღონდ იძლევა მათი შემკულობის ნაირსახეობას.

ზურგასა და ნაოხვამუს მასალის თანხვედრის თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზურგას ჭურჭელზეც გვხვდება პარკეტული ტიპის ორნამენტი ტაბ. ფ. 62—113).

მეორე ეგზემპლარი (ტაბ. VII, ფ. 62—101) ტოლჩისა ფორმის მიხედვით პრინციპულად იმეორებს პირველს, ოღონდ მას ყური განსხვავებით პირველისაგან, შედარებით თხელი აქვს და ამიტომ ოვალურგანაქვეთიანია. როგორც ჩანს, ეს ტოლჩა ორნამენტირებული ყოფილა, მაგრამ მოხვედრილა ცეცხლში და ოდნავდა შერჩენია ორნამენტის კვალი. ამ ტოლჩების ტიპს ეკუთვნის აგრეთვე უკვე ხსნებული ტოლჩა (ტაბ. VI, ფ. 62—307), რომელსაც შესაძლოა ცეცხლში ყოფნისაგან მოვარდისფრო ფერი აქვს. ამავე ფენაში ყურადღებას იქცევს ვარდისფრად გამომწვარი ტოლჩის ყურისა და კედლის ფრაგმენტი (ტაბ. VI, ფ. 62—171). ეს ტოლჩა იმითაა ნიშანდობლივი, რომ აშკარად გამოხატული რქისებრშვერილიანი ყურები აქვს. აღსანიშნავია მისი სრული მსგავსება ზურგას შუა ფენაში აღმოჩენილ ყურთან (ტაბ. III, ფ. 62—90).

თ ა ს ე ბ ი (ტაბ. II და III, ფ. 62—112, ტაბ. II, ფ. 62—343; ტაბ IV, ფ. 62—131, ტაბ. IV, ფ. 62—161, ფ. 62—113, ფ. 62—238, ტაბ. VI, ფ. 62—330) შავადაა გამომწვარი. მათ აქვთ სწორი, ოდნავ გამობერილი ფორმა, სწორი პირი, რომელიც უფრო ხშირად პორიზონტული გლუვი ღარქედებითაა შემკული. თასების ზედაპირი, როგორც ჩანს, თავიდან ბოლომდე შემკულია ორნამენტით, რომელიც, მრავალფეროვნებითა და კარგი შესრულებით გამოირჩევა. ეს თასები როგორც ფორმით, ისე ორნამენტაციის ხერხებით მიიღტვიან ქვალონის ნაოხვამუს ქვედა ფენაში მოპოვებული ჭიქებისაყენ<sup>7</sup>.

ამავე ფენიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი ჭურჭლის ნაწილი, როგორც ჩანს, ხუფის ნატეხი (ტაბ. II, ფ. 62—269). მას შუაში აქვს მრგვალი ამოზიდული ნაწილი, რომლის გარშემო შემოვლებულია ღარ-ქედებით შესრულებული სპირალური ორნამენტი. ეს უკანასკნელი შეხამებული ყოფილა დაკბილული შტამპით შესრულებულ ორნამენტთან, რომელიც ხუფს კუთხეში შემორჩენია. დაახლოებით ამდაგვარი სამკაული დამოწმებულია ჭურჭლის ფრაგმენტებზე ნაოხვამუს ქვედა ფენაში<sup>8</sup>. მაგრამ ნაოხვამუს ფრაგმენტის შემკულობა, არსებითად, პარკეტული ორნამენტის ნაირსახეობას წარმოადგენს, მაშინ როდესაც ჩვენს შემთხვევაში ღაროვანრელიეფური სპირალი შეხამებულია დაკბილული შტამპით შესრულებულ ორნამენტთან. ამ მხრივ იგი მეტ სიახლოვეს პოულობს დაბლა გომის შუა ფენაში დადასტურებულ ფრაგმენტთან<sup>9</sup> და ანაკლიის დიხა-გუძება I-ზე აღმოჩენილ ფრაგმენტთან<sup>10</sup>.

<sup>7</sup> Б. А. Куфтин, იქვე, ტაბ. 47<sub>1-3</sub>

<sup>8</sup> შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 483.

<sup>9</sup> იქვე, ტაბ. 36, ეს მოტივი დაბლა გომში ზედა ფენაშიცაა დადასტურებული (იხ აქვე ტაბ. 33).

<sup>10</sup> Б. А. Куфтин, იქვე, ტაბ. 67.

ქვის ნივთებზე სანდოების აღსანიშნავი კოლექციაა დადასტურებული ზურგას ქვედა ფენაში. მათ შორის აღსანიშნავი ყალიბი გაფრეველი მცირე ზომის ნივთისა (ტაბ. VIII, 62—110). იგი დამზადებულია რბილი ქვისაგან, ზედაპირი იმდენად კარგადაა პოლირებული, რომ როგორც ჩანს, ორსაგდულიან ყალიბთან უნდა გვექონდეს საქმე. ამასვე უნდა მოწმობდეს ყალიბის ერთ თავში ამოღებული ღარი. ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს შემთხვევითი ანატაკი, რადგან ისიც, მსგავსად მთელი ზედაპირისა, პოლირებულია. ყალიბი ანაბეჭდის მიხედვით, რაღაც ბოძალისმაგვარი ნივთის ჩამოსახმელად დაუმზადებიათ.

ქვის ნივთებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ოვალური, წაგრძელებული ფორმის ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტები (ფ. 62-169). ზედაპირი მას მომრგვალებული აქვს ხელში ადვილად დასაყავებლად, ქვედა პირი კი სულ სწორია და ბრტყელი. ასეთი ფორმის ხელსაფქვაები დადასტურებულია კოლხეთის ყველა ნამოსახლარზე და მათ შორის ნაოხვამუს ქვედა ფენაშიც<sup>11</sup>. ეს ხელსაფქვაები, როგორც ქვემოთ იქნება ნახვებში, არ იცვლებიან საუკუნეთა მანძილზე და გვხვდებიან მე-6—4 სს. ნამოსახლარებზეც.

ძვლის ნივთები ამ ფენაში მხოლოდ ერთი საგანგებოდ გაპრიალებული ლულოვანი ძვლის ნატეხითაა წარმოდგენილი (ტაბ. VIII, ფ. 62—302). ადვილი შესაძლებელია იგი საჯანდრავს, გასაპრიალებელს წარმოადგენდა, მსგავსად ნაოხვამუს ქვედა ფენაში მოპოვებული ლულოვანი ძვლის საჯანდრავისა<sup>12</sup>.

აქვეა აღმოჩენილი შესანიშნავად დამუშავებული კვირისთავი (ტაბ. VIII, ფ. 62—109). იგი ბრტყელი ფორმისაა და აქვს მაღალი ტექნიკით გამოყვანილი ცილინდრული ფორმის ნახვრეტი. კვირისთავის ზედაპირი კონუსისებურია, შუა ნაწილიდან ზედა წრისებურად მომრგვალებულ სიბრტყემდე. ქვედა ნაწილი კი სწორია და გლუვი.

## ბ. შუა ფენაში მოპოვებული ნივთიერი მასალა

ამ ფენის მასალის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას შემდეგი: თუ ზურგას ქვედა ფენაში წარმოდგენილია როგორც შავი, ისე მოვარდისფრო კერამიკა, ამასთან შავი სჭარბობს და ფორმების მიხედვითაც უფრო მრავალფეროვანია, შუა ფენაში გაცილებით მეტია მოვარდისფროდ გამომწვარი ქურქელი. გარდა ამისა, აქ ვხვდებით ისეთ ფორმებსაც, როგორც ქვედა ფენაში არ გვექონდა. მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ შუა ფენაში თავს იჩენს პირველი ფენისათვის დამახასიათებელი მასალა. ასე, მაგალითად, ქვედა ფენაში როგორც ფორმით, ისე დამუშავებით, გამოირჩეოდა ტოლჩები, რომელთაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამიტომ, განსკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ მსგავსი ტოლჩა (ტაბ. III, ფ. 62—90) დადასტურებულია შუა ფენაშიც. მაგრამ თუ შეაყრდნობთ აღნიშნულ ქურქლებს, დაეინახავთ, რომ შუა ფენაში ფორმის პრინციპულ შენარჩუნებასთან გვაქვს საქმე მხოლოდ და სხვა არაფერთან. შუა ფენის ტოლჩა რიგი თვისებებით მაინც განსხვავდება ქვედა ფენის ტოლჩისაგან. შუა ფენის ტოლჩის ზედაპირი ლეგა ფერისაა, ხოლო

<sup>11</sup> შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტ. 52.

<sup>12</sup> შდრ. Б. А. Куфтин, აქვე, ტაბ. 52.

კეცი—ბაცი ვარდისფერი. ყურის დამუშავებაც სხვაგვარია: შუა ფენის ტოლჩაზე უნაგირისებური ჩაღრმავება ყურის გვერდით შვერილებს შორის უფრო საგრძნობია და თვით ბოლოწყვეთილი შვერილებიც უფრო აშკარადაა გამოხატული, ვიდრე ქვედა ფენის ეგზემპლარებს შორის. ორნამენტის თვალსაჩინო სითაც შუა ფენის ტოლჩა არსებითად განსხვავდება ქვედა ფენის ტოლჩისგან. აქ ჩვენ გვაქვს ღაროვანი და ფოსოიანი სამკაულის შეხამება. ფოსოებით დამუშავებული სიბრტყეები მოთავსებულია ღარებს შორის. ასეთი სამკაული მეორდება შუა ფენის თასებზეც (ფ. 62—71), რომლებიც მასალის შედგენილობის, მისი დამუშავებისა და კეცის მიხედვით საესეებით იმეორებენ ამავე ფენის ტოლჩებს, მაგრამ პირის მოყვანილობით და კანელიურების მიხედვით ახლოს დგანან ქვედა ფენის თასებთან. ორნამენტის აღნიშნული მოტივი: ღარებს შორის მოთავსებული სიბრტყეების ფოსოებით დამუშავება დადასტურებულია ქვედა ფენის მასალაზეც, ოღონდ ვარდისფერ ჭურჭელზე ეს მოტივი გრძელდება შუა ფენაშიც, თუმც, ვარდისფერ ჭურჭელზე შუა ფენებში ჩნდება სხვა მოტივიც: პორიზონტულ ღარებს შორის მოთავსებული სიბრტყეები ამოცნობულია ირიბი ღაროვან-რელიეფური (ფ. 62—71 შდრ. ტაბ. VI, ფ. 62—41, ფ. 62—42) და ნაძვისებური (ტაბ. VI, ფ. 62—54; ტაბ. II, ფ. 62—340) ორნამენტით.

შუა ფენის ქოთნები (ტაბ. VI, ფ. 62—66, ფ. 62—67, ფ. 62—79) პირების მიხედვით არსებითად იმეორებენ ქვედა ფენის ქოთნების ფორმებს (შდრ. ტაბ. IV, ფ. 62—123, ფ. 62—255, ფ. 62—137, ტაბ. V, ფ. 62—145, ფ. 62—227), მაგრამ განსხვავდებიან ორნამენტაციით არა მარტო ქოთნებისაგან, არამედ სხვა ჭურჭლებისაგანაც. ქვედა ფენის ქოთნები შუა ფენის ქოთნებთან შედარებით, როგორც ვხედავთ, გაცილებით ღარიბულადაა ორნამენტირებული. შუა ფენის ქოთნების შემკულობა გადმოცემულია ღაროვანი ორნამენტისა და დაკბილული შტამპით შესრულებული ორნამენტის შეხამებით (ტაბ. VI, ფ. 62—66). ამდაგვარი ორნამენტი დამოწმებული გვაქვს კოდორი 1 მასალაზე. იგი ახასიათებს სხვა ძველკოლხური 1 პერიოდის ნასახლარებს და მათ შორის ნაოხვამუს ქვედა და საშუალო ფენის მასალასაც, განსაკუთრებით კი ქვედა ფენისას<sup>13</sup>. რაც შეეხება ქალაღიდის ზურგას ქვედა ფენას, აქ დაკბილული შტამპით შესრულებულ სამკაულს ცვლის წერტილოვანი ან ფოსოიანი ორნამენტი. შუა ფენის ქოთნების ერთ ნაწილს (მაგალითად, ტაბ. VI, ფ. 62—66) ყელის ძირში სარტყლად შემოუყვება ორი რიგი პორიზონტული ღარებისა, რომელთა შორის სიბრტყეები ამოვსებულია დაკბილული შტამპით დატანილი ირიბი ხაზებით. ამის ქვეშ გვაქვს ორრიგი ღარებით შემოვლებული სამკაუთხა ფესტონები, რომლებიც ამოვსებულია დაკბილული ხაზებით. ზუსტად ასეთი ფესტონებით შემკულია დიდი ზომის ქოთანი, ფიქსირებული ნაოხვამუს ქვედა ფენაში<sup>14</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ დაკბილული ორნამენტი დამოუკიდებლად არ გვხვდება ნაოხვამუს მასალაში<sup>15</sup>. ამ მხრივ ქალაღიდის ზურგა არ შეესატყვისება ნაოხვამუს. აქ, როგორც ქვედა (ტაბ. IV, ფ. 62—123, ფ. 62—137), ისე შუა ფენაში გვაქვს რამდენიმე ნატეხი ქოთნებისა (ტაბ. VI, ფ.

<sup>13</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

<sup>14</sup> Б. А. К у ф т и н, იქვე, ტაბ. 61.

<sup>15</sup> Б. А. К у ф т и н, იქვე, გვ. 232—233.

62—67, ფ. 62—79), რომელთაც მხრებზე შტამპით დაბეჭდილი აქვთ დაუდევრად შესრულებული ირიბი ხაზები. აღსანიშნავია, რომ ამავე შუა ფენაში აღმოჩენილია მკრთალი, მოყვითალო ქვისაგან დამზადებული დაკბილული შტამპი (ტაბ. VIII), რომლის ანაბეჭდები გვაძლევენ ზუსტად ისეთ ორნამენტს, როგორც ზემოაღწერილ ჭურჭელზეა დადასტურებული. ასეთივე შტამპითაა შესრულებული ზურგას ქვედა ფენის მოვარდისფრო ჭურჭელიც. შტამპს სამკუთხა ფორმა აქვს, მისი სამივე კუთხე მომრგვალებულია, დაკბილულია მხოლოდ ორი პირი — შვეული და განივი, ხოლო მესამე შვეული პირი სადაა და შუაში საკმაოდ შეზნეპილი ხელში მარჯვედ დასაკაეებლად (ტაბ. VIII, ფ. 62—80).

შუა ფენაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭლის ორი ყური (ფ. 62—35; ტაბ. VII, ფ. 62—51), რომელთაც ცილინდრული ნახვრეტი აქვთ, ხოლო ზედა ნაწილი ყურისა უშუალოდ ჭურჭლის პირს უერთდება. ანალოგიური ყურები, როგორც ზემოთ მივუთითებდით, დადასტურებულია ქვედა ფენაშიც. შუა ფენაში აღმოჩნდა ერთი მცირე ზომის ყურიც (ტაბ. VII, ფ. 62—53), რომელიც ჭურჭლის კედლიდან კოპიეითაა ამოზიდული და პატარა ცილინდრული ნახვრეტი აქვს. ეს ყური აღწერილის ნაირსახეობაა. იგი საერთო ჰაბიტუსით ჰგავს ანაკლიის დიხაგუძუბას ყურებს<sup>16</sup> და უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელ ყურებს მოგვაგონებს.

შუა ფენაში აღმოჩნდა კაეის ორი იარალი და ერთი ნამზადი. კაეის იარალები წარმოადგენდენ ნამგლის ჩასართაეებს. ერთი მათგანი (ტაბ. VIII, ფ. 62—309) წითელი კაეისაგანაა ნაეეთები, ჩასართაეი ნაწილი ოვალური ფორმისაა, ხოლო სამუშაო პირი — სწორი და დაკბილული; მეორე სამკუთხა ფორმისაა (ტაბ. VIII, ფ. 62—308). დამზადებულია ყაეისფერი კაეისაგან, მისი ეიწრო პირი მომრგვალებულია ეს კაეის ნამგლის ჩასართაეები კოლხეთის ნამოსახლარებზე ადრე იჩენდენ თავს, ყოველ შემთხევაში, შუა ბრინჯაოს პერიოდში, რომელსაც ჩვენ პროტოკოლხურ პერიოდს ვუწოდებთ<sup>17</sup> და ძველკოლხურ I პერიოდამდე გავრცელებული ჩანან. მათ ვხვდებით, მაგალითად, ანაკლიის დიხაგუძუბას შუა ფენაში<sup>18</sup>.

## გ. ზედა ფენაში მოპოეებული ნივთიერი მასალა

ზ ე დ ა ფ ე ნ ა, მონაპოვრის მიხედვით, წინა ფენებთან შედარებით უფრო ღარიბი აღმოჩნდა, მაგრამ ამ მცირერიცხოვან მასალაშიც იგრძნობა წინამორბედი ტრადიციების განმეორების ტენდენციები. ამ მხრივ გამოირჩევა სწორპირიანი, მუცელგანეირი ქოთანი (ფ. 62—319), ლეგა გამოწვისა, რომელიც ფორმის და კეცის მიხედვით იმეორებს ზურგას ქვედა ფენის ქოთნების ცალკეულ ნიმუშს. აღსანიშნავია, რომ ამ ქოთნის ზედაპირი დამუშაეებული ყოფილა, როგორც ჩანს, ღაროვანი შეერონებით, რომლებიც ამოვსებული იყო ჰორიზონტული გაშლილი რკალისებური ღარებით. ასეთი მოტივი, როგორც არა-

<sup>16</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 66.

<sup>17</sup> ი ქ ე ე, გვ. 183, 242, ტაბ. 64, № 7.

<sup>18</sup> თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67 შმდ.



ერთხელ აღგვინიშნავს დამახასიათებელი იყო ქვედა ფენის მასალისათვის. ამ ფენის მასალაში ყურადღებას იქცევს მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხაში კირის შენაერთების შემცველი ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი. ყელი ზემოთ ვიწრო გვირგვინით მთავრდება. გარედან ეტყობა ოდნავ შესამჩნევი განიერი ღარები, შუაში კი სარტყელად შემოსდევს ზოლი დაკბილული შტამპით შესრულებული ორნამენტისა, რომელიც გამოწვის დროს გამჭვრალა და მხოლოდ ერთ კიდეზე ეტყობა აშკარად. (ტაბ. VII, ფ. 62—326).

ასეთია ის მასალა, რომელიც ზ უ რ გ ა ზ ე გავლებულმა ერთმა საცდელმა თხრილმა მოგვცა. სამწუხაროდ, ზურგას გათხრა მთლიანად ვერ მოხერხდა, რადგან, როგორც აღნიშნული გვექონდა, მასზე ორი მოსახლე ბინადრობს. ამიტომ ამ უძველესი და მეტად საინტერესო დასახელების შესახებ მხოლოდ იმ მცირერიცხოვანი მონაცემებით უნდა ვიმსჯელოთ, რომლებიც ზემოთ მოვიხილეთ. მაგრამ, ვიდრე განვსაზღვრავდეთ ზურგას ადგილს მდ. რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური ძეგლების სისტემაში, საჭიროა შევიჩერდეთ უძველესი დროის სხვა ძეგლებზე, რომლებიც ზურგას მეზობლად აღმოჩნდა.

## 2. საბაჟოს უბნის სხვა უძველესი ნამოსახლარები

საბაჟო სოფ. ქვემო ჭალადიდში ყველაზე ინტენსიურად დასახლებული უბანია. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა აქ დაზვერვების ჩატარება მცირე თხრებით. კვალი უძველესი ნამოსახლარებისა, რომლებიც თავისი საერთო ხასიათით ზურგას ეხმაურებიან, ორგან იქნა მიკვლეული: სოფ. ქვემო ჭალადიდის მცხოვრების ა. ბერძისა და ნ. კორტის ნაკვეთებზე. ამ ნაკვეთებს შესაბამისად პირველ და მეორე უბნებს ვუწოდებთ. პირველი ნაკვეთი უშუალოდ ემიჯნება ზურგას სამხრეთიდან, ხოლო, მეორე დაახლოებით 200 მ-ის მანძილზეა სამხრეთ-აღმოსავლეთით.

### ა. ნივთიერი მასალა პირველი უბნიდან

(ტაბ. IX)

აღნიშნულ ნაკვეთზე სადაზვერვო თხრილი გაითხარა 1 მ-ის სიღრმეზე თანამედროვე მიწის ზედაპირიდან. უფრო ღრმად განფენილია ნაცრისფერი, სველი, ძალიან წმინდა თიხნარი, რომელშიც კულტურული დანალექები მოსალოდნელი აღარ არის, როგორც ეს ნათელი გახდა მდ. რიონის ქვემო წელის არა ერთი და ორი უბნის მრავალჯერ შემოწმების შედეგად. ხსენებული თიხნარის შემდეგ, ჩვეულებრივ ტორფები იწყება ხოლმე. ნამოსახლარის კვალი დატულია ყვითელი თიხამიწის ფენაში, რომელიც მოქცეულია ჰუმუსსა და ხსენებულ ნაცრისფერ თიხნარს შორის.

არქეოლოგიური მასალა, არსებითად, კერამიკითაა წარმოდგენილი. ქურჭლის ნატეხებთან ერთად, განსაკუთრებით თხრილის ზედა ნაწილში, ბევრი იყო ბათქაშის ნაშხვრევეები, რომლებიც უცილობლად ნაგებობის არსებობაზე მიუთითებენ. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთივე ბათქაშებით იყო მოფენილი ზურგას ზედა შრეები. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ზ უ რ გ ა ს ზედა და I უბნის ზედა შრეები შეესაბამებიან ერთიმეორეს. ეს არის გამომწვარი ბათქაშების

ბოენის, არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა და ამიტომ, ამ მოვლენას ქვემოთ კვლავ შევხებით.

კერამიკა, როგორც ნამოსახლარებისათვისაა დამახასიათებელი, ორ დიდ ჯგუფს შეიცავს: სუფრის ჭურჭელსა და სამზარეულო ჭურჭელს.

ს უ ფ რ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი წარმოდგენილია სასმისებით, ტოლჩებითა და ჯამებით. განსაკუთრებით ბევრია ტოლჩები, რომელთაგან უპირატესად, მხოლოდ ყურებია შემორჩენილი. ყველა ყურს უკლებლივ ზედა ნაწილში აქვს გვერდითი შვერილები, რომლებიც ყოველთვის ერთნაირი არ არის. არის, მაგალითად, ბრტყელგანივკვეთიანი ეგზემპლარები, ზედა ნაწილში უნაგისებური ფორმის ზემოთ მკვეთრად აზიდული, მასიურად შემსხვილებული გვერდითი შვერილებით (ტაბ. IX, ფ. 63—148 ე—4), ანდა მრგვალგანივკვეთიანი ეგზემპლარი, გვერდზე გაზიდული გვერდითი შვერილებით და შუაში ოდნავ შესამჩნევი ჩაღრმავებით (ტაბ. IX, ფ. 63—1482). ეს ყური იმითაცაა საინტერესო, რომ მას აშკარად ემჩნევა ტენდენცია გვერდითი შვერილების გადმოცემისა ყურზე ზემოდან დაძვრული ლილვაკების მეშვეობით, რაც ფაქტიურად, ამ დროიდან ხდება ჭურჭლის ყურებისათვის დამახასიათებელი. მაშასადამე, თუ ეს ყური ახალი ეტაპის თავისებურებებს ასახავს, ზემოთ აღწერილი ყურები თითქოს ძველი ს უ რ გ ა ს დროის ტრადიციებს ატარებენ, მაგრამ აშკარად უფრო უხეშად არიან დამუშავებული.

აღწერილ ყურებთან ერთად აღმოჩნდა კიდევ ერთი ოვალურგანივკვეთიანი ნიმუში ყურისა (ტაბ. IX, ფ. 63—1481), რომელსაც გვერდითი შვერილები მასიური მორჩებით აქვს გადმოცემული.

დასასრულ, უნდა შევიჩერდეთ კიდევ ერთ ყურზე (ტაბ. IX, ფ. 63—166), რომელიც ტოლჩისა არ უნდა იყოს. მართალია მასაც გვერდითი შვერილები აქვს, მაგრამ იგი ამ მხრივაც სახესხვაობას შეადგენს. ყური მასიურია, ორჯერ უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ზემოაღნიშნული ყურები, ოვალურგანივკვეთიანია. იმას, რასაც ჩვენ გვერდითი შვერილები ეუწოდებთ არსებითად ქედია, ყურის არა ზედა, არამედ შუა ნაწილში, მის მთელ სიგანეზე ამოზიდული, რომლის ბოლოები შვერილებად სცდება ყურის ღეროს.

სუფრის ჭურჭელს შორის უნდა აღვნიშნოთ ერთი თხელკედლიანი სასმისის ძირი (ფ. 63—127). იგი ძაბრისებური ფორმისაა და ბოლო წვეტიანი აქვს. ეს ძირი, როგორც ჩანს, ეკუთვნის იმ ტიპის სასმისებს, რომლებიც ცნობილია დაბლა გომის ზედა ფენიდან<sup>19</sup>. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ანალოგიური სასმისები დააღწურა ნიგვზიანის სამაროვანზე, რომელიც ძვ. წ. VII—VI სს. თარიღდება, ისეთივე გარემოცვაში (ზემოთ აღწერილი ტიპის ტოლჩებთან აგრეთვე კანელიურთან ჭურჭელთან ერთად, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი), როგორშიც I უბნის სასმისია აღმოჩენილი. ნიგვზიანის ეგზემპლარი თვით არის კანელიურებით შემკული, რასაც აღნიშნულ გარემოცვასთან ერთად დამათარილებელი მნიშვნელობა აქვს. ასეთივე სასმისები მსგავსავე გარემოცვაში აღმოჩნდა აგრეთვე ნამოსახლარზე ტეხურის პირას სოფ. ნოსირი II-ში. ეს ნამოსახლარი, მოპოვებული მასალის თავისებურებათა მიხედვით, ასევე VII—VI საუკუნეებით თარიღდება და, მაშასადამე, ძველკოლხურ II პერიოდს განეკუთვნება<sup>20</sup>.

<sup>19</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი. ტაბ. 31.

<sup>20</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, 57, 64 შმდ. ტაბ. VI 12.

სამზარეულო კერამიკა, არსებითად, სხვადასხვა ზომის ქოთნებითა და დერგებითაა წარმოდგენილი. ქოთნები, უმეტეს შემთხვევაში, თხელპირიანი ეგზემპლარებია, რომლებსაც პირები გარეთ აქვთ გადაშლილი (ტაბ. IX, ფ. 63—164<sub>1-2</sub>; ფ. 63—149; ფ. 63—150<sub>2</sub>). დერგებს მომრგვალებული პირქობი აქვს ლილვისებურად და ყელიც ხშირად დამუშავებულია გლუვი ღარქედებით (ტაბ. IX, ფ. 63—150<sub>1</sub>). ზედა ნაწილში ქოთნებიცაა შემკული ფრჩხილისებრი ჭდეებით, რომლებიც ჩვეულებრივ დატანილია მუცლისა და პირის შესაყართან (შდრ. ტაბ. IX, ფ. 63—149 და ფ. 63—164<sub>2</sub>). დერგებისაგან, ისევე როგორც ქოთნებისაგან, შემორჩენილია მხოლოდ ყელ-პირის ნატეხები. ამ ნატეხების მიხედვით დერგებს საშუალო სიმაღლის ყელი ჰქონიათ, ქოთნის პირები კი უშუალოდ ქოთნის მუცლებზეა დასმული (სამკაული, როგორც წესი, პირების ძირშია დატანილი).

ზემოთ მიმოხილული ქოთნების და დერგების ფორმებიც, შემკობის ხერხიც და სამკაულიც ძალიან მდგრადია. ისინი იმეორებენ უფრო ადრეულ ქოთნებს (შდრ. ზურგას ქოთნებს, ტაბ. V, ფ. 62—123, ფ. 62—255, ფ. 62—79, ფ. 62—67 და სხვ). და დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობენ არსებობას, ამიტომ უფრო გვიან ძეგლებში, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თითქმის უცვლელი, თავდაპირველი სახით გვევლინებიან. ამას ვერ ვიტყვი ერთ ქოთანზე (ტაბ. IX, ფ. 63—164), რომლისაგან სამწუხაროდ, მხოლოდ პირ-კედლის ნაწილია შემორჩენილი. პირი დაბალია, ოდნავ გადაშლილი. მოყავისფრო-მოყვითალო არათანაბარი გამოწვა აქვს, კეცში ნაცრისფერია. თუ ფორმის მიხედვით როგორც უფრო ადრეული, ისე მომდევნო ხანის კოლხური ქოთნების რიგიდან ამოვარდნილი არ არის, შემკულობით იგი განსხვავდება მათგან და მხოლოდ გარკვეული ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი ხდება. პირს ქვემოთ ეს ქოთანი როგორც ჩანს, ძირამდე დაფარული იყო კანელიურებით, რომლის ზედა, მომრგვალებული ნაწილი რამდენადმე დაუდევრადაა შესრულებული და ყოველთვის არ ემთხვევა კანელიურებს. აღწერილ ქოთანს და ტოლჩებს, რომელთა შეერილიან ყურბზე ზემოთ გვქონდა საუბარი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, გაცილებით ნაკლები ქრონოლოგიური დიაპაზონი აქვს გამოყენებისა, ვიდრე სამზარეულო ჭურჭლის უმრავლესობას. ეს კანელიურებიანი ქოთნები ძალიან სპეციფიკური ჭურჭელია ძველკოლხური II პერიოდის ნასახლარებისა (დაბლა გომი, ნოსირი III, ჭალადიდი I და II უბანი) და მათი არსებობის უკანასკნელ ხანებს ასახავს. ამიტომაც, რომ ძვ. წ. VII—VI საუკუნეთა მიჯნაზე, ეს მასალა, როგორც ჩანს, თანაარსებობს შუაკოლხური I პერიოდის მასალასთან; რაზეც მიუთითებს ნოსირი III-ში ტეხურისპირა ნამოსახლარისა და ნიგვზიანის სამაროვანის თავისებურება<sup>21</sup>.

## ბ. ნივთიერი მასალა მეორე უბნიდან (ტაბ. X)

ამ ნაკვეთზე სრულიად აშკარად ორი ნამოსახლარის კვალი დადასტურდა. მართალია მათი შესაბამისი ფენების გამოყოფა არ მოხერხდა, რადგან მიწის ხშირი და ინტენსიური დამუშავების გამო ფენები დარღვეულია, მაგრამ მოპო-

<sup>21</sup> შდრ. თ. მიქელაძე, იქვე, გვ. 64ა.

ვებულ მასალაში ნათლად შეიძლება გაიჩინოს ორი ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა დროის ნამოსახლარებს ეკუთვნის. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკვეთი რიონის საკლევ მხარეში იმ უმცირეს გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც უამრავი ზედაპირული მასალა იყო მიმოხილული. და საინტერესოა, რომ ზედაპირულად აიკრიფა მხოლოდ შედარებით გვიანი მასალა, მაშინ როდესაც უფრო ადრეულის აღმოჩენას და მასთან ერთად ისეთივე ნიმუშებისაც, როგორც ზედაპირულად აიკრიფა, მართალია, არც თუ დიდ ზილრმეზე, მაგრამ მაინც გათხრა დასჭირდა. აქ, იმის გამო, რომ უკვე 0,5 მ. სიღრმეზე გრუნტული წყლების ინტენსიური დენა იწყება, გათხრის გაგრძელება თითქმის შეუძლებელი იყო. თუმც, ალაგ-ალაგ მოსინჯვის შედეგად, ნათელი გახდა, რომ უფრო ღრმად განლაგებული იყო ზილნარევი მკვდარი თიხები. პირველი ბარისპირისა და მეორე ბარისპირის მონაპოვარს შორის სხვაობა არ იგრძნობა. როგორც ჩანს, ეს მასალა I უბნის მონაპოვართან ერთად, ერთი ხანის ერთ დასახლებას ასახავს. ეს უბანი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ არა მარტო ნამოსახლარის კვალი აღმოჩნდა, არამედ სახელოსნოსიც, რის გამოც მოპოვებული მასალა თავისი ხასიათის მიხედვით ორ ჯგუფად გაიყოფა: საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული ნივთები, რომელიც, ძირითადად, კერამიკული ჭურჭლითაა წარმოდგენილი და სახელოსნო ინვენტარი.

პირველი ჯგუფის ნივთები, ე. ი. საყოფაცხოვრებო კერამიკა შედგება სამზარეულო და ჭუფრის ჭურჭლისაგან. თიხის ჭურჭელი შავად და შავლევადაა გამომწვარი. თიხაში შეიმჩნევა სილისა და კენჭების მინარევები.

ს ა მ შ ა რ ე უ ლ ო ჭ უ რ ჭ ე ლ ი აქაც იმ ტიპის ქოთნებით და დერგებითაა წარმოდგენილი, როგორც პირველ უბანზე აღმოჩნდა. ქოთნებს უმეტესად სწორი გარეთ გადმოშლილი პირი აქვთ და პირის ძირას ჭდეებით არიან შემკულა (ტაბ. X, ფ. 63—171, ფ. 63—187, ფ. 63—188). ზოგ მათგანს ეტყობა კანელიურებიც (ტაბ. X, ფ. 63—171). დერგებს საშუალო სიმაღლის ყელი და ლილვისებურად შესქელებული პირქობი (ტაბ. X, ფ. 63—173, ფ. 63—173<sub>ა</sub>) აქვთ. ზოგი ეგზემპლარის პირქობი უფრო მასიურია და ყელიც დამუშავებულია გლუვი ღარქედებით (ტაბ. X, ფ. 63—173<sub>ა</sub>).

ს უ ფ რ ი ზ ჭ უ რ ჭ ე ლ ი წარმოდგენილია იმ ტიპის ტოლჩებით, როგორც I უბანზე გვაქვს. აქვეა დადასტურებული ჭიქები და სასმისები.

ტ ო ლ ჩ ე ბ ი ყურების გაფორმების მხრივ სახესხვაობას იძლევა. გვაქვს, მაგალითად, ეგზემპლარები მრგვალგანივიკვეთიანი ყურისა, გვერდითი შეერილებით (ტაბ. IX, ფ. 63—117<sub>2</sub>), რომლებიც მართლაც წაკვეთილ რქებს მოგვაგონებენ, ხოლო შეერილებს შორის ჩაღრმავება — გაშლილ ნახევარმთვარეს: არის ისეთი ყურებიც (ტ. IX, ფ. 63—178), რომლებიც ოვალურგანივიკვეთიანი, ზემოთ თანდათან განიერდება და ნაცვლად გვერდითი შეერილებისა ზედა ნაწილში ყურის მთელ სიგანეზე ქმნის ქედს, რომელსაც ზემოდან სამი ირიბი ნაჭდევი აქვს. ამ ყურის სახესხვაობაა ყური (ტაბ. IX, ფ. 63—177<sub>1</sub>), რომელსაც ზედა ნაწილში ლილვისებური დანაძერწი აქვს. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ყური (ტაბ. IX, ფ. 63—179), რომელიც აგრეთვე ტოლჩას უნდა ეკუთვნოდეს. ყური შედარებით პატარა ზომისაა (სიმაღლე — 4,3 სმ; სიგანე — 1,4 სმ; სისქე — 0,6 სმ), ვარდან დაბრტყელებულია და ზედა ნაწილში ასეთსავე დაბრტყელებულ ქიმს ქმნის, როგორც ჩანს თითის მისაძვინად. ყურს

ოვალური ფორმის ნახვრეტი აქვს. მსგავსი ფორმის ყურები დადასტურებულია დაბლა გომის შუა ფენაში<sup>22</sup>.

ქ ი ქ ე ბ ი რამდენიმე ეგზემპლართაა წარმოდგენილი, შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი: ბრტყელი, სადაძირიანი ქიქები (ტაბ. X, ფ. 63—169, ფ. 63—176, ფ. 63—175) და მცირექუსლიანი ნიმუშები (ტაბ. X, ფ. 63—176). აღნაგობა, როგორც ჩანს, ყველას ერთნაირი ჰქონდა, ყველა ნიმუში ძირიდან ზეითვეთ თანდათან იშლება.

ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ინვენტარის მხოლოდ ორი ნიმუში გვაქვს II უბანზე დად.ს-ტურებული, მაგრამ ორივე ფრიად ნიშანდობლივია. ორივე ნივთი ავსებს ერთიმეორეს, ერთ საწარმოო პროცესთან არის დაკავშირებული. ერთი მიკროლოგიული ქურის საბერველი მილია ფორიანი თინისა, რომელსაც ეტყობა ქარსისა და კენჭების მინარევები. მილს სწორი ცილინდრული ფორმა აქვს. ასეთი საბერველი მილები, ჩვეულებრივ, ერთი ბოლოსაკენ საგრძნობლად ვიწროვდებიან მომდევნო მილში ჩასაჯდომად. ჩვენი მილისაგან კი მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი (ტაბ. X, ფ. 63—181). ასეთი საბერველი მილები საუკუნეთა მანძილზე არსებით ცვლილებებს არ განიცდიან, ამიტომ, მასთან ერთად ყალიბის აღმოჩენა უნდა მიგვანიშნებდეს ამ ორი ნივთის ურთიერთკავშირზე.

ყ ა ლ ი ბ ი (ტაბ. X, ფ. 63—182) დამზადებულია მოყვითალო ფერის ქვისაგან. გარე ზედაპირი მომრგვალებული აქვს. შიდა. არასამუშაო ზედაპირი, ი. ი. კრდეები ნივთისა, ბრტყელია და კარგადაა დამუშავებული, რაც გვაგულისხმებინებს ყალიბის მეორე საგდულის არსებობასაც. შიდა ზედაპირის შუა ნაწილში კოლხური ცულის ფორმაა ამოკვეთილი. ყალიბის ზედა ნაწილი მოტეხილია, როგორც ჩანს, სწორედ იქ, სადაც სატარე ნახვრეტი უნდა ჰქონოდა. ყალიბი განკუთვნილი იყო კოლხური მინიატურული ცულების ჩამოსასხმელად.

კოლხური ცულის ყალიბისა და საქშენი მილის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს თავისთავად და იმის გამოც, რომ ნათლად ასახავს საბაჟოს უბნის უძველეს დასახლებათა ხასიათს.

### 3. ივამო ჭალადიდის უძველესი ნამოსახლარების თარიღისა და სამეურნეო-ყოფითი თავისებურებების შესახებ

სოფ. ქვემო ჭალადიდის უძველესი ნამოსახლარების ნაშთები, როგორც ამაზე ზემოთ გზადაგზა მივუთითებდით, ბევრ საერთოს პოულობს მანამდე თუ შემდგომ აღმოჩენილ კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებთან. ამ მხრივ განსაკუთრებული სიახლოვე იგრძნობა ზურგასა და ნაოხვამუს მასალებს შორის.

ნაოხვამუ, როგორც ცნობილია, სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მის შესახებ ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. თავის დროზე ა. იესენს მიაჩნდა, რომ ნაოხვამუს ქვედა ფენა განეკუთვნება, მისი ტერმინოლოგიით, წინაყობანურ პერიოდს, ხოლო მომდევნო ფენები — ყობანურ ეპოქას<sup>23</sup>. რამდენაღმე გვიან ა. იესენმა შეცვალა თავისი აზრი და კოლხეთის ბორცვების თარიღი და, მაშასადამე, მათ შორის ნაოხვამუც ნეოლითის დასასრულს დაუახლოვა<sup>24</sup>.

<sup>22</sup> Б. А. К у ф т и и, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 36.

<sup>23</sup> А. И. И е с с е е н, Сухумская экспедиция ГАИМК. С А, III, 1937, стр. 251.

<sup>24</sup> Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода, № 6—7, т.-л., 1949, 108.

კოლხეთის დაბლობის ბორცვების განხილვა ერთი გარკვეული პერიოდისათვის დამახსიათებელ მოვლენად, უკანასკნელი წლების კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით არ უნდა იყოს სწორი. კოლხეთის დაბლობზე, ყოველ შემთხვევაში, ზღვისპირა ზოლში ბორცვი ორგვარი წარმოშობისაა: ერთი ნაწილი ბორცვებისა წარმომდგარია ხანგრძლივი, ინტენსიური ცხოვრების ცალკეული ეტაპების ქალაქის შედეგად. ასეთი წარმოშობისაა ზურგა ქვემო ქალადიღში, ბორცვი — სოფ. ნოსირი III-ში, ნამჟღედური — ქობულეთში, წყემის ბორცვი და, როგორც ჩანს, ქვალონის ნაოხვამუ. მეორე ჯგუფი ბორცვებისა ხელოვნური მოზვიენის შედეგია და ძალიან ხშირად თვით მონაზვინი ბორცვი არაერთად კავშირში არ არის ძეგლთან, რომელიც ამ ბორცვის ქვეშ იმალება. ამის კლასიკური მაგალითია ბორცვი სიმაგრე და მის ქვეშ არსებული შესანიშნავი ძეგლი, რომელთანაც ბორცვის მონაზვინს უშუალო კავშირი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში თვით ბორცვი, რაკი ის ხელოვნური მონაზვინია, თუკი მოზვიენა არქეოლოგიურ პერიოდში მოხდა, მაინც არქეოლოგიურ ძეგლადაა მისაჩნევი, მაგრამ ის ვერ იქნება რომელიმე ერთი ეპოქის სპეციფიკის გამომხატველი. ამ თვალსაზრისით კოლხეთის ბორცვები, ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის მაინც არ შეიძლება განიხილოს ისეთ ძეგლებად როგორცაა გორები, ტელეები, თეფეები. ამიტომ დღეს, არც ნ. ხოშტარის მოსაზრების გაზიარება შეიძლება იმის შესახებ, რომ კოლხეთის ბორცვები ქრონოლოგიურად თავსდება ნეოლითის შემდგომ პერიოდსა და ანტიკურ ხანას შორის, რის შემდეგაც მოსახლეობა სტოვეებს სანაპირო ზოლს, სადაც ბორცვებია გავრცელებული და მთებისკენ იხევს<sup>25</sup>. აღნიშნულ ნაშრომში, სამწუხაროდ, არ ჩანს, რას ემყარება აზრი ანტიკური ხანის შემდგომ მოსახლეობის მთებისაკენ ლტოლვის შესახებ; ეს აზრი წინააღმდეგობაშია ფაქტიურ ვითარებასთან, რადგან კოლხეთის ზღვისპირა ზოლში და კერძოდ, მდ. რიონის შესართავთან, ე. წ. ანტიკური ხანის შემდგომაც არქეოლოგიურად დასტურდება მოსახლეობა.

გ. ნიორაძის აზრით, ნაოხვამუს ქვედა ფენა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის განეკუთვნებოდა, როდესაც „ხალხი კარვად იცნობდა მეჯოგეობასა და პრემიტიულ მიწათმოქმედებას და იღვა ბარბაროსობის საშუალო საფეხურებზე“<sup>26</sup>. ცხადია ასეთი განსაზღვრა დღეს არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს.

ნაოხვამუსა და ტიპოლოგიურად ასეთივე ბორცვ-ნამოსახლარის ანაკლიის დიხავუძება 1 სტრატოციკლებისა და პერიოდიზაციის ყოველზე დამაჯერებელი ცდა ბ. კუფტინის აქვს მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცდა არსებითად დამყარებული იყო გამთხრელთა ინფორმაციაზე. ბ. კუფტინმა ნაოხვამუზე სამი ფენა გამოპყო: ქვედა, შუა და ზედა. ქვედა ფენა მას დათარიღებული აქვს შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით, შუა — გვიანბრინჯაოს ხანით და ზედა ფენა — რკინის ხანის იმ პერიოდით, რომელიც უშუალოდ ემიჯნება, ე. წ. ანტიკურ ხანას<sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ, ბ. კუფტინის დასკვნები ეხმაურება ა. იესენის თავდაპირველ განსაზღვრებებს, მაგრამ მისი დასკვნები უფრო კონკრეტულია და ამიტომ

<sup>25</sup> ნ. ხოშტარია. დიხავუძება კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 5, № 2, 1944, გვ. 208—109.

<sup>26</sup> გ. ნიორაძე. არქეოლოგიური გათხრები, მრავალფენიანი ენიქის მოამბე, ტ. 5, № 2, 1941, 10, გვ. 335—336.

<sup>27</sup> Б. А. К у ф т и н. МАК, II, стр. 188.

უფრო საფუძვლიანი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე სრულიად აშკარად იგრძნობა მათი დაზუსტების აუცილებლობა<sup>28</sup>.

კოლხეთის უძველესი ისტორიის კვლევისას ჩვენც მოგვიხდა შევხებოდით ზურგასა და ნაოხვაშუს, აგრეთვე სხვა ძეგლების დათარიღების საკითხს ურთიერთმიმართებაში. ამ კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ზურგა მრავალ თავისებურებათა მიხედვით ძალიან ახლოს დგას ნაოხვაშუსთან, რომ სახელდობრ ზურგას ქვედა ფენის მასალა თითქმის სრულად იმეორებს ნაოხვაშუს ქვედა ფენის მონაპოვარს, რომ ეს მასალა თანხვედბა კოლხეთის სხვა ძეგლების (ვედილკარი, წყემი, პალური) მასალასაც, ავსებს მას და ამით ამ ძეგლებს შორის ზურგაც თავის ადგილს იმკვიდრებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა არქეოლოგიურ შეხვედრებთან არამედ ერთგვაროვანი არქეოლოგიური ძეგლების სისტემასთან. იგულისხმება არა მარტო ფორმათა (ტოლჩების, სამზარეულო კერამიკის, იარაღის) და ყოფითი თავისებურებების სრული შესაბამისობა, არამედ ჭურჭლის შემკულობაც, ანდაზის მოტივის შესრულების ტექნიკა და ა. შ. ე. ი. თავისებურებანი, რაც მეტყველებს ერთ საზოგადოებრივ გემოვნებაზე. საერთო ტრადიციებზე, და უკვე ამ ადრეულ ხანაში ფორმების, ორნამენტის სტანდარტიზაციაზე თითქმის მთელი კოლხეთის ფარგლებში<sup>29</sup>.

ზურგას ქვედა ფენაში შავლევა კერამიკასთან ერთად, როგორც დაინახეთ, აღმოჩნდა აგრეთვე მრავალი ნატეხი ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭლისა, რომელსაც ზურგას შუა ფენაში თავისი სიმრავლის გამო წამყვანი ადგილი უკავია. ეს მასალა, ამავე დროს, აკავშირებს ქვედა ფენას შუა ფენასთან და ნათლად აჩვენებს, რომ მათ შორის დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი არ უნდა არსებობდეს. ამასვე უნდა ადასტურებდეს შუა ფენაში მოპოვებული ფაქტიურად ძველი ფორმები შავი ჭურჭლისა, კერძოდ, ტოლჩებისა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, როგორც შავი, ისე მოვარდისფრო ჭურჭლის სამკაულის ანდაზის ხასიათი და შესრულების ხერხი ორივე ფენაში აღმოჩენილ ჭურჭელზე ერთნაირია. გარდა ამისა, იარაღი, რომლითაც შესრულებულია შუა და ქვედა ფენის ჭურჭლის ორნამენტი, მეორე ფენაშია ნაპოვნი. ყოველივე ეს კი მიუთითებს ზურგას ქვედა და შუა ფენის მჭიდრო კავშირზე. საფიქრებელია, რომ მას შემდეგ რაც ხანძრის შედეგად დაიღუპა ხის ნაგებობა, რომლის ნაშთები და ინვენტარი ზურგას ქვედა ფენაში დადასტურდა, ზურგაზე სულ მალე აღდგა ცხოვრება. ამ უკანასკნელის კვალი შუა ფენის მონაპოვარია, რომელიც ძალიან ახლოა ქვედა ფენის მასალასთან. ხოლო შუა ფენაში აღმოჩენილი ნამგლის კაყის ჩასართავები იმეორებენ ანაკლიის დიხაგუძუბა I-ის შუა ფენის კაყის ჩასართავებს, რომლებიც თრიალეთის აღმოჩენათა მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც აგრძელებენ არსებობას<sup>30</sup>.

დასასრულს იმ შედეგების შესახებ, რომელიც მოგვცა ზურგას ქვედა ფენაში ფიქსირებული ხის ნაგებობის დანახშირებული ძელის რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების ცდამ. ერთი და იგივე ნიმუშები გადაეცა განსასაზღვრავად ორ დაწესებულებას: საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის

<sup>28</sup> შტრ. თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50 შმდ.

<sup>29</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, იქვე, გვ. 52—72.

<sup>30</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52, იქვე სათანადო ლიტერატურა.

არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების რადიონახშირბადის ლაბორატორიას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიურ ლაბორატორიას. აღნიშნული ლაბორატორიების განსაზღვრის შედეგები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ლენინგრადის ლაბორატორიის გამოკვლევის შედეგად, ზურგას ნიმუშების ასაკი უდრის  $2400 \pm 70$  წელს, მაშინ როდესაც ჩვენი ლაბორატორიის განსაზღვრით, იმავე დამწვარი ძელის ნიმუშების ასაკი  $3470 \pm 190$  წლის ტოლია<sup>31</sup>. ნათელია, რომ ლენინგრადის ლაბორატორიის განსაზღვრა ძალიან შორსაა სიზუსტისაგან. როგორც ჩანს, ზურგას ნიმუშები მათ აერიათ ვაცილებით უფრო გვიანი ძეგლიდან აღებულ ნიმუშებთან.

თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის თარიღი ჩვენთვის მისაღებია არა მარტო იმის გამო, რომ ზოგადად თანხვდება ზურგას მასალის ჩვენეულ განსაზღვრას, არამედ, იმიტომაც, რომ როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ამ ლაბორატორიამ ზურგას მასალასთან ერთდროულად დამკამყოფილებლად განსაზღვრა ხის ნიმუშები სიმავრის ნამოსახლარიდან, რომელიც ვაცილებით ზუსტად თარიღდება ბერძნული იმპორტის მეშვეობით.

ამრიგად, ზურგას ქვედა და შუა ფენა განეკუთვნება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, რომელსაც ჩვენ ძველკოლხურ I პერიოდს ვუწოდებთ. რაც შეეხება ზედა ფენას, ამ ფენაში ფიქსირებული მასალა უმნიშვნელოა და არ ჰგავს არც წინა ორი ფენის მონაპოვარს, თუმცა ეტყობა მისი ტრადიციები, და არც ძვ. წ. მე-VI—V სს. და მომდევნო პერიოდის მასალას. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ფ. 62—380 (ტაბ. VI) მსგავსი ფორმები უფრო დამახასიათებელია შუაკოლხური I პერიოდის უშუალოდ წინამორბედი ხანის მასალისათვის. ე. ი. იმ მასალისათვის, რომელიც წარმოდგენილია ზურგას მომიჯნავე I და II უბნებზე, მაშინ ზურგას ზედა ფენა, ისევე როგორც I და II უბნების ნამოსახლარები ძველკოლხურ II პერიოდს უნდა მიეკუთვნოს და VIII—VII სს. უნდა დათარიღდეს. ყოველ შემთხვევაში, I და II უბანზე მოპოვებული მასალის უმჭიდროესი კავშირი ძველ კოლხური II პერიოდისათვის დამახასიათებელ მონაპოვართან ნიგეზიანის სამაროენიდან, დაბლა გომის შუა ფენიდან, ნოსირი III-ის ტეხურისპირა ნასახლარიდან<sup>32</sup> და სხვა ძეგლებიდან სრულიად აშკარაა.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ მდ. რიონის ქვემო წელის უძველესი ნამოსახლარების კუთვნილი მასალა, არსებითად დაზვერვების (მცირე დაზვერვითი თხრების) შედეგადაა მოპოვებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნამოსახლარებიდან, თუ არ ჩავთვლით ზურგას ნამოსახლარების ქვედა ფენას, მხოლოდ კულტურული ფენებია შემორჩენილი. იმიტომ ამ ძეგლებზე დადასტურებული საზოგადოებრივი ყოფისა და მეურნეობის სურათი, რა თქმა უნდა, ნაკლებია.

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი საფიქრებელია, აქაც ხისა იყო.

<sup>31</sup> ზურგაზე აღებული ნიმუშების განსაზღვრაზე თბ. უნივერსიტეტში მუშაობდა ა. ბურკულაძე, რომელმაც ორჯერ გაიმორა წვის პროცესი. პირველი შედეგი იყო  $3400 \times 300$  წ. მეორე —  $3510 \times 240$  წ. როგორც ვხედავთ, ჯამი პირველი თარიღისა და საგარუდო მერყეობისა თითქმის არ განსხვავდება მეორეს ასეთივე ჯამისაგან.  $3470 \pm 190$  საშუალო რიცხვი, რომელიც მათემატიკური გზითა მიღებული ზემოთ ხსენებული ორი შედეგიდან (А. А. Бурчуладзе, Определение активности радиоуглерода пропорциональным счетчиком и ее применение для решения некоторых вопросов археологии Грузии (авторферат канд. дисс.). Тб., 1966, стр. 10.

<sup>32</sup> თ. შიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56 შმდ. ტაბ. VI და XXIV.



ამაზე მიუთითებს ზურგას ქვედა ფენაში აღმოჩენილი დანახშირებული ძელი, რომელიც აშკარად ნაგებობის ნაწილია და კოლხეთის როგორც უფრო ადრეულ, ისე სინქრონულ და შემდგომი ხანის ძეგლებზე (ანაკლიის დინაგუძუბა I და II, წყეში, ქვალონის ნოხვამუ, ქობულეთის ნამქედური, სიმაგრის უძველესი ნასახლარი, რიონის ტერასის ძვ. წ. V ს. ნამსახლარები და სხვ.) ხის ნაგებობათა და დასტურების ფაქტი. როგორც ჩანს, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან, ყოველ შემთხვევაში 1500—1600 წლის მანძილზე ხის ნაგებობანი საყოველთაოდ გავრცელებული სახეობაა საცხოვრებელი სახლისა მთელ კოლხეთში<sup>33</sup>, ხოლო თუ ვიმსჯელებთ ანაკლიის დინაგუძუბა II-ის, ქობულეთის ნამქედურის ქვედა ფენის, სიმაგრისა და რიონის მარცხენა ტერასის VI—V სს. ნაგებობის მიხედვით, ნათელი გახდება, რომ კოლხეთში ძვ. წ. II—I ათასწლეულში საცხოვრებელი ნაგებობის გაბატონებული ფორმაა ჯარგვლური სახლები.

მიწათმოქმედება საბაჟოს უძველესი ნამოსახლარების მოსახლეობის საქმიანობის ერთერთი მთავარი დარგი იყო. უმთავრესად, როგორც ჩანს, მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები. ამაზე მიუთითებენ ნამგლის კაეის ჩასართები, რომლებიც იმდენად სპეციფიკური და გავრცელებული სამიწათმოქმედო იარაღი იყო, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპებზეც ვერ განდევნეს ლითონის ნამგლებმა; მათთან ერთად ისინი, როგორც ცნობილია, რიგ ძეგლებზე თანაარსებობენ<sup>34</sup>.

საფიქრებელია, რომ მიწათმოქმედებისათვის დიდი ფართობები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამის შესაძლებლობას იძლეოდა რიონის ქვემო წელის ბუნებრივი თავისებურებანი და უპირველეს ყოვლისა, თვით რიონი, რომელიც თავისი ლამიანობის გამო არის უშრეტო წყარო ნიადაგების ბუნებრივი განოყიერებისა. მიწათმოქმედებისათვის დიდი ფართობების გამოყენებას არაპირდაპირ შეიძლება გვიდასტურებდეს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბეჭითი, არაერთგზისი დაზვერვებისა საბაჟოს მახლობლად სხვა უძველესი დასახლების კვალს ვერ მივაკვლიეთ. მარცვლეულის არაუშუალო მოხმარებაზე უნდა მეტყველებდეს სიმრავლე ტოლჩებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, მარცვლეულის ნახადისთვის იყო განკუთვნილი.

მესაქონლეობაც, ისევე როგორც მიწათმოქმედება, საბაჟოს უძველეს ნამოსახლარზე მეურნეობის წამყვანი დარგი ჩანს. აქ აღმოჩნდა როგორც მსხვილი რქოსანი საქონლის, ისე ღორის, ცხვრისა და თხის ძვლები<sup>35</sup>. მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლები გვიდასტურებენ ტანმორჩილი, თანამედროვე ხევისურული საქონლის მსგავსი, ძროხეულის არსებობას. საგულისხმოა, რომ წერილობით წყაროებში ხაზგასმითაა აღნიშნული — კოლხური ძროხები ტანმორჩილები არიან, მაგრამ დიდი წველადობით გამოირჩევიან<sup>36</sup>.

სახეობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს შედარებითი სიმცირე ცხვრისა და განსაკუთრებული სიჭარბე ღორისა. ეს თავისებურება,

<sup>33</sup> თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47 შმდ.

<sup>34</sup> Б. А. Куптин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949, стр. 59.

<sup>35</sup> ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი საქონლის ძვლოვანი მასალის განსაზღვრა კუთვნის აწ განსვენებულ ა. ციციშვილს.

<sup>36</sup> იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II თბ., 1969, გვ. 40.

ა. ცაციშვილის დაკვირვებით, ახასიათებს აგრეთვე კოლხეთის სხვა მხარეებსაც. როგორც ჩანს, კოლხეთის, განსაკუთრებით კი რიონის ქვემო წელის ტყეები, განუსაზღვრელ საზრდოს იძლეოდნენ მეღორეობის განვითარებისათვის.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს განვითარებაზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და პირველი ათასწლეულის დასაწყისში გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან უძველესი ძეგლები. მასალის აღწერის დროს დავინახეთ თუ ფორმების როგორი მრავალფეროვნებით და შესრულების როგორი მაღალი ტექნიკით გამოირჩევა საბაჟოს უძველეს ნამოსახლართა კერამიკული მასალა. იგივე უნდა ითქვას კერამიკული ჭურჭლის შემკულობაზე. დიდი მსგავსება ზურგას ჭურჭლებისა სხვა ძეგლების მონაპოვართან, ზოგ შემთხვევაში კი ძრული გამეორება ფორმებისა და სამკაულისა, ფორმებისა და სამკაულის სტანდარტიზაციაზე მეტყველებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟოს ნამოსახლარებზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი პროდუქტიაა უკვე საკმაოდ რთული კერამიკული წარმოებისა, რომლის ნაწარმის სტანდარტიზაცია წინამორბედ პროტოკოლხურ პერიოდში იწყება, ხოლო შემდგომ, შუაყოლხურ პერიოდში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გლობალურ განვითარებას აღწევს.

ყურადღების ღირსია საბაჟოს უძველეს ნამოსახლარებზე სამსხმელო საქმესთან დაკავშირებული ნივთების (ზურგას ყალიბის, II უბნის მეტალურგიული ქურის საქშენი მილის, კოლხური ცულის ყალიბის) აღმოჩენის ფაქტი. ყოველ შემთხვევაში, ორი უკანასკნელი ნივთი სრულიად აშკარად მელითონის სახელოსნოსთანაა კავშირში. საგულისხმოა, რომ სამსხმელო სახელოსნო დადასტურებულია იქ, სადაც არც ლითონია, არც დამხმარე არალითონები და, საერთოდ. თითქოს არც არავითარი პირობები ამ ტიპის სახელოსნოს არსებობისათვის. იქნებ ეს არის პირველი ნიშანი იმისა, რომ განხილული ნასახლარები იმ გარემოში არიან მოქცეული, რომელშიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულისათვის მოცემული იყო საქალაქო ხელოსნობის წარმოშობის წინამძღვრები.

## თავი მეორე

### ქმ. წ. VI—V საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე


ქველი ფასისის თანადროული ძე. წ. VI—V საუკუნეთა დასახლებები მდ. რიონის შესართავის მხარეში რამდენიმე ადგილზე დადასტურდა. ამ დასახლებათა შესწავლის საფუძველზე და არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, გაირკვა: 1. თანამედროვე ზღვის სანაპიროდან საბაჟოს ხაზამდე მდ. რიონის ორივე სანაპიროზე არც სიმაგრის დასახლების დროინდელი და არც უფრო ადრეული დასახლების კვალი არ ჩანს. 2. მართალია, აღნიშნული ხაზის აღმოსავლეთით თავს იჩენს ხსენებული დასახლებების ზოგადად თანადროული ნამოსახლარები (მაგალითად, ნანდეუ), მაგრამ ისინი თავისი ხასიათით, როგორც ჩანს, განსხვავდებიან სიმაგრე-საბაჟოსა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული დასახლებებისაგან. 3. ყველა ეს დასახლება როგორც კონცენტრირებულია ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც გაშლილია მდ. რიონის ორივე სანაპიროზე და ს ი მ ა გ რ ე ს ა და ქვემო ჭალადიდის საბაჟოს უბანს მოიცავს. ეს გარემოება და აღნიშნულ ძეგლებზე დადასტურებული მასალის თავისებურება მეტყველებს იმაზე, რომ ეს ძეგლები, ერთი მხრივ, მკიდრო კავშირში უნდა იყვნენ ერთიმეორესთან, ხოლო მეორე მხრივ — ქველ ფასისთან, რომელსაც უშუალოდ ეკვროდნენ აღმოსავლეთიდან. ეს ძეგლებია: სიმაგრის ნამოსახლარი რიონის მარცხენა სანაპიროზე. ამავე ტერასაზე დადასტურებული ძე. წ. V საუკუნის ნამოსახლარები, ამ უკანასკნელის თანადროული დასახლება საბაჟოს უბანში სოფ. ქვემო ჭალადიდში, რიონის მარჯვენა სანაპიროზე.

#### 1. სიმაგრის ბორცვის სტრატოგრაფიისათვის

ეს ბორცვი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე სოფ. საქორჭიოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. ამიტომ აქ არსებული დასახლება ხშირად განიხილება როგორც ცალკე სოფელი, მიუხედავად იმისა, რომ ის, ფაქტურად, საქორჭიოს უბანს შეადგენს. ამ უბანს ს ი მ ა გ რ ე ს უწოდებენ. სიმაგრე ეწოდება იმ ბორცვსაც, რომელიც ამავე სახელწოდების დასახლების უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ბოლო მოსახლის (ფ. ფაკიას) კარმიდამოსთან, ჭაობიანი ტყის პირზე. ბორცვი ს ი მ ა გ რ ე ზღვის თანამედროვე ნაპირიდან მდებარეობს დაახლოებით 12—14 კმ-ს მანძილზე. იგი რიონის სანაპიროს დაშორებულია ორასიოდ მეტრით (მდრ. სურ 1).

ს ი მ ა გ რ ე, ისევე როგორც ბორცვი — ნამოსახლარი ზ უ რ გ ა ც ნობილი იყო ფოთელი მხარეთმცოდნის ბ. გოგოლიშვილისათვის. „კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების რუკაზე“ მას ეს ბორცვი აღნიშნული აქვს, როგორც „სად-

ზორცუნი  
 ნაზმოსახლარის  
 1962-65




შ 1:200

გეგმისაღმუშაოთი ნახაზი

შ 1:1000

სივარძლის ნიშნები

- 1 ნაპირი 1962
- 2 ნაპირი 11 წელი 1 ს.მ.გეგმის დროს
- 3 ნაპირი 11 წელი 11 ს.მ.გეგმის დროს
- 4 ნაპირი 111 წელი
- 1962-65 და 1971-75 ფ. გეგმის დროს



„სიმაგრე“



ბაგა და ჭრილი

და 1971-76 წწ.

■ არს. ნაგებობის შენობები  
ქუჩისპირა შენობა

(კარტი)

პლანობრივი მასშტაბი 1:400  
ჟეოსტრუქტურული მასშტაბი 1:400



გომი ნახევარსფეროს მოყვანილობისა თხრილის გარეშე“. ზურგა, მართლაც ნახევარსფეროსებურად იყო ამოზიდული, მისი საერთო ფართობი დაახლოებით 3224მ<sup>2</sup>-ს უდრიდა. სიმაღლეთა მაქსიმალური სხვაობა მიწის თანამედროვე ზედაპირის დონესთან შედარებით შეადგენდა 1,24 მ-ს, ზღვის დონიდან ბორცვის უმაღლესი წერტილი 4,65 მ სიმაღლეს აღწევდა (სურ. 2).

ანაკრფი მასალა სიმაგრეზე ფაქტიურად არ იყო. ბორცვი თავისი კონფიგურაციით იქცევდა მხოლოდ ყურადღებას, მაგრამ შემოწმების შემდეგ გამოიჩინა, რომ თვით ბორცვს და, რა თქმა უნდა, მის ფორმას უშუალო კავშირი არ ჰქონდა იმ ძეგლთან, რომელიც მის ქვეშ იმალებოდა.

ჯერ კიდევ 1961 წელს დაზვერვების დროს სიმაგრეზე ბორცვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარში სამი საცდელი თხრილი გაეავლეთ: № 1, № 2 და № 3. მას შემდეგ რაც აღნიშნულ თხრილებში საგულისხმო მასალა აღმოჩნდა, დაიგეგმა მისი გათხრა. 1962 წელს ბორცვი სიმაგრე ტოპოგრაფიულად აიგეგმა და განისაზღვრა მუდმივი რეპერები. შემდეგ ბორცვი გაიყო ოთხ სექტორად: I სექტორი ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მეოთხედს მოიცავდა, მეორე — ჩრდილო-დასავლეთს, მესამე — სამხრეთ-აღმოსავლეთს, ხოლო მეოთხე სექტორი — სამხრეთ-დასავლეთ მეოთხედს. მასალის ფიქსაციისათვის კვადრატების ბადე საერთო იყო მთელი ბორცვისათვის და აღინიშნებოდა ლათინური ანბანითა და არაბული ციფრებით. კვადრატების ფართობი უდრიდა 2მ X 2მ-ზე. 1965 წლისათვის სიმაგრეზე გაითხარა 380 მ<sup>2</sup> ფართობი, რაც დაახლოებით ბორცვის საერთო ფართობის ერთ მეტრედს შეადგენდა. გათხრილი ფართობის უდიდესი ნაწილი 1965 წლისათვის I სექტორზე მოდიოდა, შედარებით მცირე — დანარჩენებზე. ხის ნაგებობები, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, როგორც ჩანს, ოთხივე სექტორზე განივრცობოდა, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი მაინც I და II სექტორზე დადასტურდა. ამავე 1965 წლისათვის გათხრილი ფართობიდან ხის ნაგებობის გამოვლენილ ნაწილს ეკავა დაახლოებით 340მ<sup>2</sup>-მდე. 1976 წლისათვის გამოვლენილ ნაგებობებს უკავიათ 255 მ<sup>2</sup> ფართობი. ამასთან, ვერტიკალში დადგენილია ოთხი სამშენებლო დონე, ოთხი ერთიმეორეზე ნაგები სახლებით. სიმაგრის ბორცვის სტრატეგრაფიის აღწერას ვიძლევით II სექტორის U—V 22 კვადრატის ჩრდილოეთი კრილის მიხედვით (იხ. სურ. 2 და ტაბ. XI, შდრ. ტაბ. XVI). მე-2 სურათზე ყვითელი თიხნარის სიმძლავრე აღგენილია ტოპოგრაფიული გეგმის მეშვეობით.

ბორცვი ს ი მ ა გ რ ე მოზეინულია ყვითელი თიხნარით. ზენის სიმძლავრე ალაგ-ალაგ, როგორც ვხედავთ, ორ მეტრს აღემატება, ხოლო მიზეინული ფართობი 3224 მ<sup>2</sup>-ს უდრის. მოზეინვა, როგორც ჩანს, ერთდროულად მიმდინარეობდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით მიწის მოზიდვა მხოლოდ ახლო მანძილიდან იქნებოდა შესაძლებელი. ამ დაკვირვებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ძველი ფასისის გარშემო მისი თანადროული დასახლებების განლაგების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ყოველი ყვითელი თიხნარის ზენი დიდძალ არქეოლოგიურ მასალას შეიცავს, მაგრამ არა ფენად დალექილს, არამედ არეულსა და ნაირ დონეზე წარმოდგენილს. არის შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა დროის მასალა ერთადაა მოხვედრილი, ანდა ძველი მასალა უფრო მაღლაა მოქცეული, ვიდრე შედარებით გვიანი. საინტერესოა, რომ ყვითელ თიხნარში უფრო ძველი მასალა (მაგალითად, ადრეული ქიოსური ამფორის ძირები, როზეტიანი იოზური ჯამები) აღმოჩნდა, ვიდრე ზემოდან პირველი ფენის

დიდ ნასახლარზე, რომელსაც უშუალოდ ყვითელი თიხნარის ზეინის ქვეშ მივაჯვ-  
ელიეთ. ცხადია, რომ სიმაგრის ბორცვის მოსაზღვრინად საჭირო ყვითელი თიხნარი  
მოიპოვეს სადღაც ახლოს, უძველესი სამოსახლოების დანგრევის შედეგად. მასა-  
ლის ხასიათი, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი ოდენობის უძველესი იმპორტი  
მიგვიჩვენებს იმაზე, რომ მოზინვისათვის საჭირო მიწის მოსაპოვებლად დაუნ-  
გრევიათ ძველ ფასისთან დაკავშირებული სამოსახლო ან იქნებ მისი ერთ-ერთი  
გარეუბანიც კი, რომელიც სიმაგრესთან ახლოს მდებარეობდა.

ყვითელ თიხნარში ფიქსირებული მასალა მრავალფეროვნებით გამოირჩევა  
და თავისი ხასიათით იმ ნამოსახლარების ინვენტარს იმეორებს, რომლებიც  
ყოფითი თავისებურებების, გემოვნებისა და, საერთოდ, ყოფით-ესთეტიკური  
მოთხოვნილებების მიხედვით ქალაქური ცხოვრების გავლენას განიცდიან ან ქა-  
ლაქური ყოფის სფეროში არიან მოქცეული. ასეთი ტიპის დასახლებაა, რო-  
გორც ქვემოთ იქნა ნაჩვენები, თვით სიმაგრის ნამოსახლარი, რომელსაც ფარავს  
ეს ყვითელი თიხნარი.

ადგილობრივი ნაწარმი ყვითელ თიხნარში წარმოდგენილია კოლხური ქვეე-  
რებით, კოლხური სასმისებით, ყურმილიანი ხელაღებით, ლანგრებით, სამკუთხა-  
განივეკეთიანი, გარეთ გადმოკეცილი პირებით რომ გამოირჩევიან, ე. ი. ინვენ-  
ტარით, რომლის ერთი ნაწილი ძვ. წ. VI ს. დასაწყისში იჩენს თავს, ხოლო VI  
ს-ნის შუა ხანებიდან საყოველთაოდ გავრცელებულია მთელ კოლხეთში, ბარსა  
და მთაში. ამ ინვენტარის კლასიკური ნიმუშები დამოწმებულია სიმაგრის ნა-  
მოსახლარზე და მას საგანგებოდ შეეხებით. ეს ის ინვენტარია, რომელიც გან-  
მსაზღვრელი მასალა ხდება იმ ეპოქისა, შუაკოლხურ პერიოდს რომ ეუწოდებთ  
და რომელიც კოლხეთში ახალ ყოფით და სამეურნეო ძვრებს ასახავს<sup>1</sup>.

ადგილობრივ ნაწარმს შორის ცალკეა აღსანიშნავი ლითონის საწური ტი-  
გელი. ტიგელი მასიურია და ოთხ კოპისებურ ფეხზე დგას. ასეთი ტიგელები  
კოლხეთის ადრეულ ძეგლებზე არ ჩანან, ძვ. წ. VI—V სს. ძეგლებზე კი ვხვდე-  
ბით: მაგალითად, აქარაში (ნამჰედლურის ბორცვზე), ზემო იმერეთში (ითხვის-  
ში).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ნიშანდობლივი ყვითელ თიხნარში  
დამოწმებული იმპორტული ნაწარმი. თუ ზემოხსენებული ადგილობრივი კერა-  
მიკა იმ ძეგლის ზოგად თავისებურებებს ასახავს, რომელიც დატული იყო in  
situ ყვითელ თიხნარში<sup>2</sup>, იმპორტული მასალა ტიპოლოგიურად განსაზღვრავს  
მისი ყოფის ხასიათს.

ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების ღირსია ყვითელ თიხნარში ფიქ-  
სირებული ბერძნული სუფრის ჭურჭელი. წარმომავლობის მიხედვით ამ ჭურ-  
ჭლის ორი ჯგუფია წარმოდგენილი: აღმოსავლურ-ბერძნული არქაული მოხა-  
ტული კერამიკა (იონურ-როდოსული მოხატული და ვარდულებიანი თასები,  
ტაბ. XII, კლბ —72—1070; 0551 —75—20) და ანტიკური შავლაკიანი თასები  
(ტაბ. XII, კლბ —72—743; კლბ —71—841; კლბ —72—807; 05 73—8; 0551—  
74—23, 0551 75—19). ანტიკური კერამიკის ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე  
მასრიანი თხელკედლიანი ჭრაქი (ტაბ. XII, კლბ 72—1543), რომელიც ე. წ. კო-  
რინთული ჭრაქების (იხ. ქვემოთ) ნაირსახეობას წარმოადგენს.

<sup>1</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაწარმი, გვ. 61, 62, შმდ.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ნაწარმი ქრონოლოგიური  
თვალსაზრისით ერთგვაროვანია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ყვითელი თიხნარი ერთ გარკვეულ  
ძეგლიდანაა მოტანილი.

იმპორტული ტარა ყვითელ თიხნარში წარმოდგენილია სხვადასხვა საწარ-  
მოო ცენტრების ნაწარმით (ტაბ. XIII), რომელიც გარკვეულ წარმოდგენას  
გვიქმნის ძველი ფასისის საეპრო ურთიერთობათა სფეროზე. ჩაოდენობრივად  
დასაჩინებზე მეტია ძვ. წ. VI ს. დასასრულისა და V დასაწყისის ქიოსური ამ-  
ფორები. ამ ამფორებს, როგორც ცნობილია, ორნაირი ზომისას უშვებდნენ:  
დიდს, რომლის მოცულობა 21 ლიტრს აღემატება და მცირეს 10,75 ლიტ-  
რისაქმს, ყვითელ თიხნარში ორივე ზომის ამფორებია წარმოდგენილი (დიდე-  
ბი, ტაბ. XIII, ფ. 65—41-4, ფ. 63—192; კლხ. —72—744; 05 1—75—8 და  
მცირე ფ—64—21). გარდა ქიოსური ამფორებისა ყვითელ თიხნარში სხვადა-  
სხვა დროს და სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა აგრეთვე შავზღვისპირეთში  
ძვ. წ. Vს-ში ფართოდ გავრცელებული ამფორები ჰიქსისებური ფორმის ძირით  
(ტაბ. XIII, ფ. 64—280). ამფორებთან ჰიქსისებრი ძირებით ახლოს დგას ლეს-  
ბოსური და ლესბოსური წრის ამფორები, რომლებიც ხმარებაში არიან ძვ. წ.  
VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში. ყვითელ თიხნარში ლესბოსური და ლეს-  
ბოსური წრის ამფორებიც აღმოჩნდა (ტაბ. XIII და ტაბ. XLIII კლხ —  
72--943).

როგორც ვხედავთ, ყვითელი თიხნარი შეიცავდა ძალიან საინტერესო მასა-  
ლას. სპეციფიკურს ძვ. წ. VI — V სს. იმ დასახლებებისათვის, რომლებიც ან ქა-  
ლაქის ნაწილს შეადგენდნენ, ანდა ქალაქთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული.

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ სიმეგრის ბორცვი ყვითელი თიხნარით  
ერთდროულად უნდა იყოს მოზენიული. სხვა ვითარებაში ბორცვზე დაილექე-  
ბოდა მოზენივის ცალკეული ეტაპების კვალი, ანდა თუნდაც რაიმე მკრთალი  
ნიშანი ადამიანის მოღვაწეობისა პერიოდული მოზენივის ამა თუ იმ ეტაპზე.  
ასეთ კვალს მხოლოდ ბორცვის ზედა შრეებში მივაკვლიეთ. ეს კი გვიქმნის სა-  
ფუძველს ვიფიქროთ, რომ რაყი ერთგვაროვანი მასალა, ერთად ყვითელი თიხ-  
ნარის მხოლოდ ზედა შრეებშია დადასტურებული ბორცვის მოზენივის დროს  
სწორედ ეს მასალა უნდა ასახავდეს. ამ თვალსაზრისით ყვითელი თიხნარის ზე-  
და შრეების მონაპოვარში შევჩაეროთ ყურადღება ჭურჭლის რამდენიმე ნი-  
მუშის ნატეხზე, რომლებიც კარგად განსაზღვრავენ მთელ დანარჩენ მონაპო-  
ვარს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია დიდი ზომის ჭურჭლის ბრტყელი,  
ოვალურგანიკვეთიანი ყური (ტაბ. XV, ფ. 62—218), რომელსაც გარედან მთელ  
სიგრძეზე დატანილი აქვს ღრმა, ვიწრო და გრძელი ჰდეები. ერთ ბოლოში სამი  
ასეთი ჰდეულია, რომლებიც სხივურადაა გამოილი, მეორე ბოლოშიც სამი ასე-  
თი ჰდეული, ხოლო ყურის მთელ სიგრძეზე, ერთ ზაზზე ჩამწყვირებულია სამი  
ჰდეული. აღწერილი ჰდეულები ყურს, როგორც ფიქრობენ, გაკეთებული აქვს  
ტექნიკური მოსაზრებით და არა როგორც სამკაული. მიაჩნიათ, რომ ამ ჰდეუ-  
ლების მეშვეობით მოხელილ თიხის მასაში ცეცხლის მოქმედება შექპონდათ,  
რაც ყურს გამძლეობას მატებდა<sup>3</sup>.

ამავე ფენიდან ყურადღებას იქცევს დოქის ყელ-ყურის ნატეხი (ტაბ. XV—  
ფ. 62—216). ყური მასიურია და მრგვალი განიკვეთი აქვს. აქეთ-იქით თითო  
ღარი ჩამოსდევს. დოქის პირი ზედა ნაწილში ოდნავ შესამჩნევადაა ამოღარუ-  
ლი. აქვე აღმოჩნდა ქოთნის პირების ნატეხები. ეს პირები ორგვარია: სწორპი-

<sup>3</sup> И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, М., 1960, стр. 75, ტაბ. 111<sub>10-11</sub>, ტაბ. IV,

<sup>4</sup> В. Сызов, Восточное побережье Черного моря, МАК, вып. 2, М., 1889, стр. 31,



რიანი ეგზემპლარები მომრგვალებული ბაკოთი და მეორე ჯგუფი გარეთ გაღ-  
მოკეცილი, სამკუთხაგანივკვეთიანი, მასიური პირქობით. მეორე ჯგუფის ქოთ-  
ნებს ბაკოები გარედან ამოღარული აქვთ.

ყველა აღწერილი ნატეხი წითლად გამომწვარი თიხისაგან დამზადებულ  
ქურქელს ეკუთვნის. ამგვარი ქურქელი კარგადაა ცნობილი დასავლეთ საქარ-  
თველოს ფეოდალური ხანის ნასახლარებიდან. ზემოაღნიშნული ყურის (ტაბ.  
XV, ფ. 62—218) მსგავსი ყური ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოაჩინა ვ. სი-  
ზოვმა სოხუმში, მდ. ბესლეთის შესართავთან<sup>5</sup>. ასეთივე ყური აღმოჩნდა ანაკო-  
ფიაში № 6 კომპლ. „ა“ ფენაში<sup>6</sup>. ვ. სიზოვი ამ ყურებს სხვა მასალასთან ერთად  
ათარილებს კომპნენების დროით, თუმცა დასძინს, რომ სხვა მასალა აიძულებს  
მას ეს თარიღი XIII—XIV სს. დაუახლოვოს<sup>7</sup>. ანაკოფიის № 6 კომპლ. „ა“ ფე-  
ნა, სადაც საძიებელი ყური აღმოჩნდა, მ. ტრაპშის მიერ დათარიღებულია XI  
საუკუნით. მ. ტრაფშის თარიღი, როგორც ჩანს სწორი უნდა იყოს, რადგან მთე-  
ლი ფენა კარგად განისაზღვრება XI ს. ბიზანტიური მონეტებით<sup>8</sup>.

ასეთია ის მასალა და ვითარება, რომელიც სიმაგრის ბორცვზე ყვითელი  
თიხნარის მონაზვინში დავადასტურეთ მრავალი წლის დაკვირვებათა შედეგად.  
არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ XI—XII სს-ში სიმაგრის ბორცვის  
ყვითელი თიხით მოზეინვა იმაზე მეტყველებდეს, რომ სწორედ ამ დროს ხდება  
იმ სოფლის წარმოქმნა. რომელიც ახლაც არსებობს. ამ თვალსაზრისით არანაკ-  
ლებ საინტერესო მასალაა მოპოვებული მდ. რიონის მარცხენა ტერასაზე სიმა-  
გრის ბორცვთან ახლოს, მკარამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა კი კვლავ სიმაგრის  
ბორცვის სტრატეგრაფიის შესახებ.

ყვითელი თიხნარის ქვეშ დევს ნაცრისფერი თიხნარის ფენა, რომლის სის-  
ქე 30—40 სმ ტოლია. ეს ფენა არქეოლოგიურად სტერილურია და ამიტომ კარ-  
გად თიშავს ყვითელი თიხნარის ფენას მომდევნო კულტურული ფენისაგან.  
ყვითელი თიხნარის ქვეშ მდებარე ნაცრისფერი თიხნარის ფენა საველე დო-  
კუმენტაციაში აღნიშნულია, როგორც I სტერილური ფენა. ეს უკანასკნელი  
წარმოიშვა ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანების შემდეგ, როცა აქ თავის არსებობას  
სწყვეტს დიდი სამოსახლო და ეს ადგილი ჭაობდება. ნაცრისფერი მოლურჯო  
ფერი ამ თიხნარმა<sup>9</sup>, როგორც ჩანს, დაჭაობების შედეგად მიიღო. კარგად გა-  
მოსწორების შემდეგ ნაცრისფერი თიხნარი ყვითელ ფერს იღებს და ძნელი გა-  
სარჩევი ხდება ყვითელი მონაზვინი თიხნარისაგან.

ნაცრისფერი თიხნარის ქვეშ განფენილია შავი ფენა, რომელშიც დაფიქსი-  
რებულია ზის ნაგებობანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. ეს ფენა  
მთელ გათხრილ ფართობზე ერთნაირად არ ვრცელდება ზოგან მისი გამო-  
რჩევა ჭირს კიდევ. განსაკუთრებით მძლავრადაა ის წარმოდგენილი II სექ-  
ტორში, სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ასახავს სიმაგრის ნამოსახ-  
ლარის უკანასკნელ სამშენებლო პერიოდს.

პირველ კულტურულ ფენაში დადასტურებულ ნაგებობათაგან, ისევე  
როგორც დანარჩენი ფენების ნაგებობებს შორის შენობათა სტრატეგრაფია,

<sup>5</sup> В. Сызов, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, ტაბ. 7, სურ. 3

<sup>6</sup> М. М. Трапш, Археологические раскопки в Анакофии в 1967—1958 г.

<sup>7</sup> Т. В. Сызов, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 38.

<sup>8</sup> М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

<sup>9</sup> როგორც I, ისე II სტერილური ფენები დაჭაობების შედეგად მოლურჯო ფერს იღებენ და  
ამიტომ ზოგჯერ საველე დოკუმენტაციაში ისინი აღნიშნული არიან ლურჯ თიხნარად.

გეგმარება და ხასიათი, მისი ცალკეული დეტალების აღნაგობა და თავისებულება, ყველაზე ნათლად II სექტორში აისახა უკანასკნელი წლების კვლევების შედეგად. ამიტომ ნაგებობათა სტრატეგრაფიაზე, გეგმარებაზე, კონსტრუქციულ თავისებურებებზე II სექტორში ფიქსირებული სურათის მიხედვით ვისაუბრებთ.

პირველი ფენის ნაგებობა (№ 1) ოთხკუთხა ფორმისაა, ნაგებია ძელებისაგან ჭარგვალის წესზე (სურ. 2, შდრ. ტაბ. XVII<sub>1-2</sub>). სათავსოების ფარგლები მკვეთრად არ გაირჩევა, ისევე როგორც არ გაირჩევა სამხრეთი მინაშენებისა თუ სამხრეთით განლაგებული ნაგებობის ნაწილები, რომლის მხოლოდ ერთი კედელი და სამხრეთ-დასავლეთი კვანძია დაცული (ტაბ. XVII, ცენტრალურ ნაწილში წინა პლანზე). № 1 ნაგებობის ძირითად, ჩრდილოეთ ნაწილს დაახლოებით 60 მ<sup>2</sup> ფართობი უკავია: ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ფიცარნაგი, რომელიც, როგორც ჭევემთ იქნა ნაჩვენები, იატაკის მომზადებას წარმოადგენს. ასეთივე ფიცარნაგი № 1 ნაგებობას მოდგმული აქვს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (იხ. გეგმა, შდრ. ტაბ. XVII<sub>2</sub>). ეს ფიცარნაგი აშკარად პირველი ფენისაა, აშკარად კავშირშია № 1 ნაგებობასთან, მაგრამ რას წარმოადგენს ძნელი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, რომ № 1 ნაგებობის დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო მისი გაგრძელება, რომლის კვალი პირწმინდათაა წამოლილი.

I კულტურული ფენა, ალაგ-ალაგ დარღვეულია სილისა და ნაცრისფერი თიხნარის ვიწრო ზოლით, ხოლო მომდევნო კულტურული ფენიდან გამოყოფილია ნაცრისფერი სტერილური თიხნარით, რომელსაც მოსდევს ვიწრო ზოლი წმინდა მდინარეული სილისა. ამ ნაცრისფერი თიხნარითა და წმინდა სილითაა დაფარული მომდევნო II კულტურული ფენა. I და II კულტურულ ფენებს შორის მოქცეული ნაცრისფერი თიხნარი საველე დოკუმენტაციაში II სტერილურ ფენადაა აღნიშნული.

მეორე კულტურული ფენის სიმძლვრე საშუალოდ 0,5 მ-ს უდრის, ზოგჯერ მეტს და ზოგჯერ ნაკლებს. ეს ფენა მონაპოვრით ყველაზე საინტერესოა და ნამოსახლარის ცხოვრების ყველაზე ცხოველ ეტაპს ასახავს. II სექტორში ამ ფენაში დაფიქსირდა ორი სამშენებლო დონე ხის ნაგებობისა, რომელთა გეგმა საკმაოდ ნათლად იკითხება. ამ ფენაშივეა დამოწმებული მრავალი ეთნოგრაფიული ელემენტი, რომელიც უმპიდროეს კავშირს აბამს კოლხეთის ისტორიულ და დღემდე შემორჩენილ ეთნოგრაფიულ მოვლენებთან.

მეორე ფენაში დადასტურდა ორი სამშენებლო დონე, რომელთაც შეესაბამება № 2 (ტაბ. XVIII) და № 3 (ტაბ. XXI) ნაგებობები. ეს ნაგებობები განლაგებულია უშუალოდ № 1 ნაგებობის ქვეშ და ერთი მეორეს აზის. ამრიგად, II სექტორში გვაქვს სამი ერთმანეთზე ნაგები ნაგებობა (იხ. გეგმა, შდრ. ტაბ. XVI, აგრეთვე ტაბ. XIX, სადაც ნათლად მოჩანს როგორ ადევს № 2 ნაგებობის იატაკის ფიცარნაგი. № 3 ნაგებობის კედლის კვანძს). ყოველი აღნიშნული ნაგებობა ასახავს წინამორბედი ნაგებობის რეკონსტრუქციას, რაც, როგორც ჩანს, გულისხმობს წინა ნაგებობის თითქმის სრულ მოშლას და მის ნაფუძვარზე ახლის აგებას, შესაძლოა, ძველი მასალის ნაწილობრივი გამოყენების მეშვეობითაც. ამის მაგალითია, როგორც ჭევემთ იქნება ნაჩვენები, № 2 და № 3 ნაგებობები. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სამივე ნაგებობიდან მხოლოდ საფუძველია შემორჩენილი და ისიც, რომ არც ერთი ნაგებობის გეგმა

ერთი მეორეს სრულად არ ემთხვევა. ნაგებობათაგან შემორჩენილია მხოლოდ სულ ქვედა ნაწილი. მიუხედავად ამისა, მათი აგების ხერხებისა და რიგ თავისებურებათა შესახებ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნა მაინც არის შესაძლებელი. ამ მხრივ ყველაზე მეტ და მეტყველ მასალას № 2 ნაგებობა, ე. ი. მეორე კულტურული ფენის ზედა ნაგებობა იძლევა (ტაბ. XVIII<sub>1</sub>).

№ 2 ნაგებობაც სწორკუთხა ჭარგვალური ნაგებობაა. ამ ნაგებობის ასახელებად სამი (ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი) კედელი № 3 ნაგებობისა გამოუყენებიათ. № 2 ნაგებობის აღნიშნული კედლები პირდაპირ აგრძელებენ № 3 ნაგებობის შესაბამის კედლებს. არ ემთხვევა მათი დასავლეთი კედლები. № 3 ნაგებობის დასავლეთი კედელი 0,5 მ სიღრმეა დასავლეთით № 2 ნაგებობის შესაბამის კედელს (იხ. გეგმა). სხვაობა № 2 და № 3 ნაგებობათა გეგმარებაში განსაკუთრებით ნათლად ჩანს № 2 ნაგებობის სამხრეთი კედლის შუა და სამხრეთ-დასავლეთი კუთხის კვანძებთან (იხ. გეგმა, შდრ. ტაბ. XVI). ამ კუთხეში, როგორც ვხედავთ, საინტერესო სტრატეგრაფიული სურათიც ისახება. № 2 და № 3 ნაგებობის აღნიშნული კვანძები არა მარტო გეგმაში ცდებიან ერთმანეთს, არამედ მეორე კულტურული ფენის სხვადასხვა დონეზეც არიან (იხ. ტაბ. XVI). ასეთი სურათი იყო ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშიც (ტაბ. XVIII<sub>1</sub>, მარჯვნივ წინა პლანზე). ანალოგიური მდგომარეობაა სამხრეთი კედლის შუა ნაწილშიც. აქაც № 2 ნაგებობის კვანძი (როგორც ჩანს ტიხრისა) უფრო მაღლაა, ვიდრე № 3 ნაგებობის ანალოგიური კვანძი და იმდენადევა დაშორებული ამ უკანასკნელს, რამდენადაც ორივე ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კვანძები — ერთი მეორეს (იხ. გეგმა და ფასადების ჭრილები).

№ 2 ნაგებობას თუ მივათვლით სამხრეთ მინაშენს (20-ე და 21-ე, კვადრატებში), რომელიც გეგმარებით, ტიპოლოგიით (ანალოგიური წყობა, ანალოგიური იატაკები და ა. შ.), № 2 ნაგებობასთან მიმართებით აშკარად ამ ნაგებობის ნაწილს შეადგენს, უკავია დაახლოებით 112 მ<sup>2</sup> ფართობი.

საინტერესოა № 2 ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურებანი. თუ ამ ნაგებობის ჩრდილოეთი (23—26 კვადრატების ფარგლებში მოქცეული), უკეთ დატული ნაწილით ვიმსჯელებთ, დავიანახავთ, რომ ყოველ შემთხვევაში, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები, რომელთა ზიგრძე 8 მ-ია, ნაგებია ნახევარი სიგრძის ძელებით. ეს ძელები ნაგებობის შუა ნაწილში ხედებოდნენ ერთმანეთს, აქვე იკვეთებოდნენ განივი სატიხრე ძელებით, რომლებიც გრძივ ძელებთან ერთად ქმნიდნენ შუა კვანძებს (იხ. გეგმა, აგრეთვე ტაბ. XVIII<sub>1</sub> ცენტრში წინა პლანზე). როგორც, ჩანს, ნაგებობათა ცენტრალურ ნაწილში იკვრებოდა ცენტრალური კვანძი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ინაწილებდა კუთხისა და კედლების შუა კვანძთან ერთად ნაგებობის სიმძიმეს, მტკიცედ კრავდა მთელ შენობასაც. შარათალია, № 2 ნაგებობაში ამგვარი კვანძი არ დადასტურდა, მაგრამ მისი კვალი № 3 ნაგებობაში სრულიად აშკარაა. აღსანიშნავია, რომ ამ ცენტრალურ კვანძთან დაფიქსირდა ბოძების ნაშთებიც. მაგალითად, № 2 ნაგებობის NS ტიხრის ცენტრალურ ნაწილში დადასტურებულია ქვედა ნაწილი ამგვარი ბოძისა, რომელსაც მზიდი მოვალეობა უნდა ჰქონოდა. იქნებ ამაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება რომ ეს ბოძი აღმართული იყო საგანგებო ხის ბალიშზე, რომელსაც უნდა დაეცვა ბოძი მიწაში ჩაფლვისაგან.

ამრიგად, № 2 ნაგებობა, ისევე როგორც № 3 (ტაბ. XXI<sub>11</sub>), (აგრეთვე № 1 და, როგორც ნაჩვენები იქნება, — № 4), სწორკუთხა ჭარგვალური ნაგებობაა,

რომელიც შიგნიდან გამაგრებული იყო ჯვარედინი ტიხრებით. ეს ტიხრები. ნაგებობას ჰყოფდა სიმეტრიულ სათავსოებად. ყოველ შემთხვევაში ეს სათავსოები ნათლად იკვეთება № 2 ნაგებობაში (იხ. გეგმა). ყოველი ცალკეული სათავსოს კონკრეტული ფუნქციები ძნელი გასარკვევია. ერთ-ერთ მათგანში (S და T — 23—24 კვადრატებში), მაგალითად, აღმოჩნდა ორი ხის როფი (ტაბ. XVIII<sub>2</sub>), რომელთაც, შესაძლოა, საკულტო დანიშნულება ჰქონდათ.

სიმაგრის ნამოსახლარზე ნაგებობებს ჰქონდათ გულდაგულ ნაკეთები იატაკები, რომლებიც განსაკუთრებით კარგად № 2 ნაგებობაშია შემონახული (იხ. გეგმა, აგრეთვე ტაბ. XVIII<sub>1</sub>, XIX<sub>1</sub>). იატაკების გაკეთება მარტო უშუალო ამოცანას არ ისახავდა მიზნად. საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ჰიდროიზოლაციის მოწყობა. ამიტომ იტკეპნებოდა მიწა, რომელშიც ნაქელი იყო გარეული. შემდეგ ამ ნატეპნზე იგებოდა ფიცარნავი ან ზოგ შემთხვევაში წნულა-ლასტი, რომელიც შემდეგ იფარებოდა მიწის მოლესილობით. ეს მოლესილობა იატაკის წნულზე კარგადაა დაცული S—23-ე კვადრატში (იხ. ტაბ. XXII<sub>2</sub>). ასეთი იატაკი ფიცარნავის საფუძვლით დადასტურებულია № 1 ნაგებობაში (იხ. გეგმა) და № 3 ნაგებობაშიც — იატაკის წნული მომზადებით (იხ. ტაბ. XXII<sub>1</sub>). ამ ტაბულაზე ნათლად იკითხება № 2 ნაგებობის ფიცარნავისა და № 3 ნაგებობის წნული იატაკების სტრატეგრაფია.

ასეთი წესი ბლანტე, მერყევი, გრუნტული წყლებით გაყენითლი ნიადაგის გამაგრებისა ბოლო დრომდე იყო დაცული რიონის ქვემო წელზე. ძველი ფოთელების ცნობით, ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს, ჩამოსულებს ფოთში სავაჭროდ, გარკვეული ოდენობით წნელი უნდა მოეტანათ და დაეგდოთ ქაობიან ადგილზე, თორემ ქალაქში არ შეუშვებდნენ. 1961 წელს ქალაქის ქუჩების ბურღვისას არაერთხელ წაფყდომივართ წნელების ასეთ ნაგებს.

ზემოთ გაკვრით არაერთგზის ვახსენეთ აღწერილ ნაგებობათა ჯარგვალური სახეობა, მათი კვანძები, სხვა კონსტრუქციული თავისებურებანი. ჯარგვალური წყობის რამდენიმე რიგი ადრევე იყო დამოწმებული 1965 წლის კამპანიის დროს (ტაბ. XI); მაგრამ განსაკუთრებით ნათლად № 2 ნაგებობაში გამოიკვეთა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის კვანძი (ტაბ. XIX<sub>2</sub> აგრეთვე გეგმა და ფასალები). აქ დადასტურებულია ექვსი რიგი ჯარგვალური წყობისა და ძელების შეერთების ხერხები.

სიმაგრის ნამოსახლარის მეორე ფენა იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ ამ ფენაში დაფიქსირდა არა მარტო ხის ნაგებობათა ხასიათი შედარებით სრულ სახით, არამედ ყოფითი თავისებურებანიც, რომელნიც ხის ნაგებობებთან ერთად უმჭიდროეს კავშირს ამჟღავნებენ ენთოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ და დღემდე შემორჩენილ კოლხეთის ყოფით თავისებურებებთან. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 1965 წელს აღმოჩენილი ხაპისჯვან გაკეთებული ორშიშო, რომელიც სამწუხაროდ დაიშალა და ვერ შევინარჩუნეთ. ასეთივე რიგის, ამასთან სრულიად უნიკალური აღმოჩენაა, წნული, ტყრუშული ღობე რომლის სარების ძირების ნაწილი და თვით გადაწოლილი ღობე ათზე მეტი გრძივი მეტრის ფარგლებშია დადასტურებული (ტაბ. XXI). ეს ღობე ნაგებობების გარეთ, დასავლეთით იმ ფართობზე აღმოჩნდა, სადაც ნაგებობათა კვალს ვერ ვხვდებით (იხ. გეგმა). ეს ნაწილი ნასახლარისა, როგორც ჩანს, ეზო იყო. ამ

ეზოში, როგორც ირკვევა, ცალკეული კუთხეები, რომელთაც სამეურნეო დანიშნულება ჰქონდათ, შემოღობილი იყო ასევე ტყრუშული ღობით. ერთი ასეთი ღობის ვერტიკალურად დაცული ნაწილი დადასტურებულია (V—20 კვადრატში) № 2 ნაგებობის ეზოში (ტაბ. XX<sub>2</sub>, შდრ. გეგმა).

ცალკე უნდა აღინიშნოს წნული კალათის ნაშთი (ტაბ. XX<sub>3</sub>), რომელიც აღმოჩნდა № 2 ნაგებობის დასავლეთი კედლის გარეთ ეზოში (V—24-ე კვადრატში). საინტერესოა, რომ ამ კალათის ქვეშ თავი იჩინა № 4 ნაგებობამ, რომელიც უკვე III კულტურულ ფენას განეკუთვნება.

მესამე კულტურულ ფენას ადევს ნაცრისფერი სტერილური თიხნარი, რომელიც თიშავს მას მეორე სტერილური ფენისაგან (იხ. ტაბ. XVI). მესამე კულტურული ფენა ჩერჩეობით სრულად არ არის შესწავლილი. ამ ფენაშიც აღმოჩნდა ხის ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა. ეს ფენა უძველესი ფენაა სიმაგრის ნამოსახლარისა და მას უშუალოდ მკვდარი ფენა (ნაცრისფერი, სილანარევი, სველი თიხნარი) მოსდევს. მესამე ფენა ასახავს ნამოსახლარის საფუძვლის ჩაყრის ეტაპს.

მესამე კულტურულ ფენაშიც, როგორც აღვნიშნეთ, აღმოჩნდა ჯარგვალური ნაგებობა № 4. მას 1972—1975 წლების თხრილს ჩრდილო-დასავლეთი ნახევარი უკავია. მისი აღმოსავლეთი კედელი შემოკრილია № 3 ნაგებობის დასავლეთი კედლის ქვეშ და ქმნის მეოთხე სამშენებლო დონეს (იხ. გეგმა, აგრეთვე ტაბ. XXI<sub>2</sub>). დანარჩენი უდიდესი ნაწილი № 4 ნაგებობისა გადის № 2 და № 3 ნაგებობების ფარგლებს გარეთ, დასავლეთით. აქ, როგორც აღვნიშნული გეგმონდა, ღაინტერესო სტრატეგრაფიული კაზუსი დასტურდება: თხრილის ამ ნაწილში დაფიქსირდა ნასახლარის უძველესი მესამე ფენა ნაგებობებითურთ, რომელსაც ზემოდან ედო სტერილური ნაცრისფერი თიხნარი, ხოლო ამ უკანასკნელს პირველი კულტურული ფენა და ამ ფენაში აღმოჩენილი № 1 ნაგებობის ფიკარნაგი. მაშასადამე თხრილის ამ ნაწილში სტრატეგრაფიული სურათი ასეთია: ყვითელი თიხნარის ზვინი, პირველი კულტურული ფენა № 1 ნაგებობითურთ, სტერილური ნაცრისფერი თიხნარი და III კულტურული ფენა, რომელშიც № 4 ნაგებობა დადასტურდა.

№ 4 ნაგებობა ბოლომდე არ არის შესწავლილი, მაგრამ მისი გეგმა ზერელედ მიინცი იკითხება (იხ. გეგმა, აგრეთვე ტაბ. XXI<sub>2</sub>). ისიც, როგორც ვხედავთ სწორკუთხა ნაგებობაა, ოთხ სიმეტრიულ ნაწილად გაყოფილი. მისი რაობის და ხასიათის უფრო დეტალური გარკვევა მომავალი კვლევა-ძიებებს საქმეა.

ასეთივე სტრატეგრაფიული სურათი სიმაგრის ნამოსახლარზე. ნათელია, რომ ყოველი ფენა ამ ნამოსახლარისა ერთი სამოსახლოს ცხოვრების განახლებასა და გაგრძელებას ასახავს. ამის გამო ძნელი გასარკვევია რასთან იყო დაკავშირებული ძველი საცხოვრებლის მოშლა და ახლის მოწყობა. მასალის განხილვის დროს დავეინახეთ, რომ ეს არცთუ ისე ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდებოდა. აქ აღმოჩენილი იმპორტული ნაწარმის მიხედვით ოთხივე სამშენებლო დონე დაახლოებით ერთი საუკუნის ფარგლებში თავსდება ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან V ს. შუა ხანებამდე. ამიტომ სხვადასხვა ფენაში ფიქსირებული ადგილობრივი კერამიკული მასალა არავითარ სხვაობას არ იძლევა და ჩვენც განმეორებათაგან თავის დაზღვევის მიზნით ყველა ფენაში მოპოვებულ ადგილობრივ ნაწარმს ერთად განვიხილავთ.

სიმაგრის უძველეს ნამოსახლარზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ნასახლარის ხასიათის, მისი მფლობელების განვითარების დონის, ქონებრივი შესაძლებლობის, ყოფითა გამოცდებისა და საერთოდ ყოფის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული მასალა ნათლად აჩვენებს აგრეთვე ძველი კოლხეთის ისტორიის ზოგად-საზოგადოებრივ ასპექტებს.

თავის წარმოშობის მიხედვით სიმაგრის ნამოსახლარის მონაპოვარი ორ ჯგუფად იყოფა: ადგილობრივი ნაწარმი და იმპორტული პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმპორტული ნაწარმის მრავალფეროვნებისა, რაც უფრო ფასის ფართო საგარეო ურთიერთობათა და ფუფუნების საგნებზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაზრდილი მოთხოვნილების მაჩვენებელია. ადგილობრივი ნაწარმი ბევრად სჭარბობს მას. ეს ვარაუდობა არსებითა მნიშვნელობისაა, რადგან კარგად განსაზღვრავს არა მარტო ქალაქთან ახლო მყოფი სამოსახლეობის ყოფით თავისებურებებს, არამედ კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ქალაქების, სახელდობრ ფასისისა საერთო ხასიათსაც.

#### ა. ადგილობრივი ნაწარმი

არქეოლოგიური მონაპოვრის დიდ ნაწილს, როგორც ადგილობრივის, ისე შემოტანილი ნაწარმისა, თიხის ჭურჭელი შეადგენს. ამიტომ, როგორც ეს ჩვეულებრივ ნამოსახლარზე გვაქვს ხოლმე, კერამიკის უდიდესი ნაწილი ფრაგმენტულია. მიუხედავად ამისა, მაინც წარმატებით შეიძლება ჭურჭლის ფორმებისა და დანიშნულების განსაზღვრა.

ყველა ფენის ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს ერთად განვიხილავთ, რადგან სიმაგრის ცალკეულ ფენათა მასალა, როგორც აღვნიშნეთ, ტიპოლოგიურ სხვაობას არ იძლევა. სურათის სისრულისათვის ცალკეულ ფენათა მასალა განმზოლოებული სახით ტაბულეზზეა მოცემული.

ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი დანიშნულების მხრივ ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: 1. სამეურნეო-საოჯახო ჭურჭელი და სუფრის ჭურჭელი. ასეთი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და ჭურჭლის ცალკეული ჯგუფის გამოყენების სხვა ასპექტზეც მიუთითებს.

ორივე ჯგუფის ჭურჭელი შავადაა გამომწვარი, დიდი უმრავლესობა ორნამენტირებულია. ნაწილი ამ ჭურჭლისა შავპირიალაა.

სამეურნეო-საოჯახო ჭურჭელი აერთიანებს არა მარტო საოჯახო მომსახურების, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივი გამოყენების დიდი ზომის ჭურჭელს, მაგალითად, ქვევრებს, რომლებსაც პირდაპირი დანიშნულების გარდა, როგორც ცნობილია, იყენებდნენ სამარხებად და შესაძლოა როგორც ტარას, რითაც უნდა აჩხანას ჩრდილოეთ შავ ზღვისპირეთში მათი გატანის ფაქტი<sup>10</sup>. ამავე ჯგუფში იქნება განხილული, ე. წ. სამზარეულო ჭურჭელიც.

<sup>10</sup> В. М. Скуднова, Находки колхидских монет и пифосов в Нимфее. ВДИ, 1952, № 2, стр. 238; В. Д. Блаватский, Отчет о раскопках Пантикапея, МИА, 103, 1962, стр. 12, рис. 5—5; И. Б. Зеест, Н. Д. Марченко, Типы толстостенной керамики из Пантикапея, МИА, 103, стр. 154—155.

ქვევრები კედლების დამუშავების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა<sup>11</sup>. XXIII ტაბულაზე წარმოდგენილია ყველა სახესხვაობის ნიმუში სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვევრების პირ-ყელისა და კედლებისა. თუ დაუკვირდებით ამ ნიმუშებს, აგრეთვე აღდგენილ ქვევრს (ტაბ. XXIV<sub>2</sub>), დავინახავთ, რომ ყველა ეს ქვევრი პირიდან ძირამდე გულდაგულ და მდიდრულად არის შემკული. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ქვევრები მიწაში დასაფლობად არ უნდა ყოფილიყო დამზადებული. მაშასადამე, მათ იყენებდნენ ან მხოლოდ როგორც ტარას, ანდა ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუა ხანებში კოლხეთში ღვინის დაყენების სხვაგვარი წესი იყო გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ აღდგენილი ნიმუშის (ტაბ. XXIV, 0551—74—348) და მისი მიმართების მიხედვით სხვა ეგზემპლარების ნაწილებთან (ზღრ ტაბ. XXIII), კოლხური ქვევრების საშუალო სიმაღლე 1 მ-ს ტოლი იყო. მაშასადამე ამ ქვევრების დაფელისათვის 1 მ-ზე მეტი სიღრმე იყო საჭირო. სიმაგრის ნამოსახლარის დღის ზედაპირიდან 1 მ-ს სიღრმეზე დაფლვა ქვევრისა შეუძლებელი იყო, რადგან უფრო ნაკლებ სიმაღლეზე იწყებოდა გრუნტული წყლები და კაობიანი სტრუქტურა, რომელთაგან იზოლაციის მიზნით თუ რა მკვიდრად აკეთებდნენ იატაკებს ზემოთ იყო ნაჩვენები.

აღსანიშნავია, რომ ქვევრების ზოგიერთ ეგზემპლარს (მაგალითად. ფ. 62—438) ყელი დახვრეტილი აქვს. ეს მიუთითებს ქვევრების სხვა დანიშნულებით გამოყენებაზეც. სრულიად ცხადია რომ, რაკი მათ ყელზე და მუცლის ზედა ნაწილში დახვრეტებს გამოწვამდე უკეთებდნენ, ქვევრებს მარცვლეულის შესანახადაც ამზადებდნენ.

დერგები გამოირჩევიან არა მარტო საინტერესო ფორმებით, არამედ შესანიშნავი დამუშავებითაც. უკანასკნელი თავისებურებით განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი დერგი (ტაბ. XXIV<sub>1</sub>, ფ. —61—83). თითქმის ყველა ეგზემპლარი ყელგამოყვანილია (ტაბ. XXV, ფ. 61—93; ფ. —61—106, ფ. 61—126; ფ. 61—83), ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად. მაგრამ პირი უკლებლივ ყველა ეგზემპლარს გარეთ აქვს გადაკეცილი და რამდენიმე ჩახვეული. პირქობი გარედან ლილვისებური ფორმისაა. ყელთან შემორჩენილი მხრების მიხედვით, აღწერილი დერგები მუცელგანიერი ქურქელი უნდა ყოფილიყო. ყელის ყველაზე ვიწრო, გამოყვანილ ნაწილში დერგები ჩვეულებრივ შემკული არიან ორნამენტირებული სარტყელთ.

სამზრეულო ქურქელი წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის საწურებით, ქოთნებით.

ქოთანი მრავალი ათეულია აღმოჩენილი სიმაგრის ნამოსახლარზე. ყველაზე გავრცელებული ფორმები ქოთნებისა სფერულმუცლიანი ეგზემპლარებია, სწორი, თხელი პირით, რომლებსაც პირქობი არ აქვთ და გარეთ არიან გადაშლილი (ტაბ. XXV, ფ. —63—287<sub>1-2</sub>; ფ. 05 1—75—137; ტაბ. XXVI, ფ. —61—14; 48, 142, 24); არის აგრეთვე პირგადაშლილი ლილვისებური პირქობიანი ქოთნები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტით არიან წარმოდგენილი (ტაბ. XXVI, ფ. —61—4, 38, 149, 177 და ა. შ.). ქოთნები, უპირატესად, შემკული არიან პრიალა ზოლებით. რომლებიც ნაირ ანდაზს ქმნიან (ტაბ. XXV, 05 1—75—137; ტაბ. XXIX<sub>2</sub>) და ქდეული და ნაკაწრი ორნამენტით (ტაბ. XXIX<sub>1</sub>). ქოთნების ყურები, მცირე გამოწვალისის გარდა ერთგვაროვანია (ტაბ. XXIX).

<sup>11</sup> თ. შიქელაძე, ძიებანი..., გვ. 61.

ტიპური სამზარეული ჭურჭელია საწური, რომელიც მრავალმხრივ გამოიყენებოდა და უპირველეს ყოვლისა კი — ყველის საწურად. ბოლოს და ბოლოს მოხერხდა საწურის აღდგენა მთლიანად (ტაბ. XXVII, 05S 1—75—235). იგი სადა სწორპირიანი და ბრტყელძირიანი ჭურჭელია. რომლის კედლები და ძირი სიმეტრიულადაა დახვერტილი. საწური სამ ქიმიცბურ ფენზე დგას.

სამეურნეო-საოჯახო ინვენტარს შორის უნდა განვიხილოთ კვირისთავებიც. ისინი კარგად ასახავენ ძველი კოლხეთის საოჯახო ყოფის კიდევ ერთ ასპექტს. სიმაგრეზე აღმოჩენილი კვირისთავების ერთი ნაწილი მოზრდილი ზომისაა და კარგად გამოყვანილი კონუსური ფორმა აქვთ, მეორე ნაწილიც კონუსური მოყვანილობისაა, მაგრამ შედარებით მომცროა. გვაქვს ნახევარსფერული ფორმის კვირისთავებიც (სიმაგრეზე აღმოჩენილი კვირისთავების ნიმუშები იხ. ტაბ. XXX). საინტერესოა, რომ კვირისთავები ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებდნენ ფორმების სტაბილობას დაწყებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან მაინც. ანალოგიური ფორმის კვირისთავები გვაქვს ზურგაზე და საბაჟოს ძვ. წ. V საუკუნის ნასახლარებზეც. კოლხეთის საოჯახო ყოფით თავისებურებებთა შესაბამისობის თვალსაზრისით თანადროულ საოჯახო თავისებურებებთან ეგეოსურ სამყაროში, უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალ საბერძნეთში ისეთივე კვირისთავები იხმარებოდა როგორც სიმაგრის ნაშოსახლარზე გვაქვს აღმოჩენილი<sup>12</sup>.

სუფრის ჭურჭელი გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და სიმრავლით. ის ამავე დროს არაპირდაპირ ასახავს იმ სამეურნეო ცვლილებებსაც, რომელთაც საფუძველი ამ დროს ჩაეყარათ კოლხეთში.

ამ სახეობის ჭურჭლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ სასმისები, რომლებსაც ქვევრებთან და ყურმილიან ხელადებთან ერთად განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

სასმისების სამი ტიპია გამოყოფილი<sup>13</sup>. არ არის გამორიცხული, რომ შემდგომი შედარებითი შესწავლა სასმისებისა გამოავლენს ამ სამი ტიპის ქვეტიპებსაც. სიმაგრის ნაშოსახლარზე ყველა სახესხვაობაა დადასტურებული ფორმალურ ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც და მალაქნატურული შესრულებითაც (ტაბ. XXXI). სურათის სისრულისათვის ვიძლეეთ სასმისების განსხვავებული ძირების პროფილებს (ტაბ. XXXII) და ყურების ნიმუშებს (ტაბ. XXXIII). სასმისებს ჩვეულებრივ სადა მრგვალგანივკეთიანი ყურები აქვთ, მაგრამ ზოგიერთი სტილიზებულია და არქაული ტრადიციების კვალი ემჩნევა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ყური, რომელიც ორი ნახვერტითაა გადმოცემული და ზედა ნაწილში ხარის თავის სტილიზებული გამოსახულება აქვს დაძვრწილი (ტაბ. XXXIII<sub>141</sub>). ეს ყური სიმაგრის ნაშოსახლარის მეორე ფენაშია აღმოჩენილი, ფენაში, რომელიც როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ძვ. წ. VI ს. არ გადმოსცდება და რომელშიც ჯერ კიდევ იგრძნობა უფრო არქაული ხანისათვის დამახასიათებელი მოტივების გავლენა. საინტერესოა სწორედ ის არის რომ, ანალოგიური ყურები მართალია გამოჩენილია სახით, მაინც იჩენენ თავს ძვ. წ. V ს. ნასახლარებზეც: რიო-

<sup>12</sup> შტრ. *Hesperia*, vol. XXIX, № 2, 1960, ტაბ. 53, IV 22-24, VIII<sub>49</sub> და სხვ.

<sup>13</sup> თ. შიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62 შმდ.



ნის ტერასის ერთ-ერთ ნასახლარზე აღმოჩნდა სასმ-სი ზუსტად ასეთი ყურით (ტაბ. XXXI, 055 38—74—153).

ცხოველის თავის გამოსახულება დაქერწილია სხვა ყურებზეც (ტაბ. XXXIII<sub>246</sub>)<sup>14</sup>. როგორც ირკვევა სიმაგრის ნამოსახლარისათვის ეს არ არის სულ შემთხვევითი. სიმაგრის ნამოსახლარის მეორე ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე ყური, რომელთა ზედა ნაწილი შემკულია ცხვრის თავების რეალისტური და სტილიზებული სკულპტურული გამოსახულებებით (ტაბ. XXXIV). თუ ერთი ეგზემპლარის მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ჭურჭლის ძირის ნაწილიც აქვს შემორჩენილი (ტაბ. XXXIV, 05 1—74—103), ყველა ეს ყური ტოლჩებისაა და სასმისების კატეგორიის ჭურჭელს ეკუთვნის.

ტოლჩებს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ყურები რქისებრი შვერილებით იმავე მეორე ფენიდან (ტაბ. XXXIV). ანალოგიური ყური სიმაგრის მეორე ფენაში ადრეც იყო დადასტურებული<sup>15</sup>. ამას თუ დაეუმატებთ ხარის თავის სკულპტურას<sup>16</sup>, რომელიც ასევე ჭურჭლის ყური უნდა იყოს, ამ რიგის კოლექცია სიმაგრიდან დასრულებულ სახეს მიიღებს.

იმ მასალის მიხედვით, რომლის წარმოდგენა წინამდებარე ნაშრომში ხერხდება, სრულიად აშკარაა, რომ ყურების ეს ჯგუფი დანარჩენი ყურების უმცირეს ნაწილს შეადგენს და, მაშასადამე, არ არის სპეციფიკური მოცემული ხანის კერამიკისათვის, ყოველ შემთხვევაში, მასობრივი, თუ შეიძლება ითქვას, სტანდარტიზებული ჭურჭლისათვის. მაგრამ, სწორედ ეს ყურები და მსგავსი სხვა მოვლენები ავლენენ იმ მჭიდრო შინაგან კავშირს წინამორბედი პერიოდების კულტურების ანალოგიურ მოვლენებთან, რაშიც შეიძლება უტყუარად დაჰყერა ძველი და შუაყოლბური პერიოდების კულტურათა მემკვიდრეობითობისა. მით უმეტეს, როცა ეს კავშირები მკვლავდება გემოვნების, სტილისა და წარმოდგენების, ე. ი. ფსიქიკურ-შემეცნებითი ელემენტების მხრივ.

ყურმილიანი ხელადები სასმისებისა და ქვევრების მსგავსად შუაყოლბური პერიოდის ყველაზე სპეციფიკური ჭურჭელია და მათაც განმსახლავრელი მნიშვნელობა აქვთ<sup>17</sup>. სიმაგრის ნამოსახლარზე ეს ხელადები აღმოჩნდა რამდენიმე ათეული ეგზემპლარი. თუ უკანასკნელი წლების აღმოჩენების (ნიკვზიანის სამაროვანი) მიხედვით ვიმსჯელებთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყურმილიანი ხელადები და კოლხური სასმისები ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. დასაწყისში ჩნდება. ძვ. წ. VII ს. შემდგომი ხანის არც ერთი ნამოსახლარი არ არსებობს, სადაც ყურმილიანი ხელადები კოლხურ ქვევრებთან და სასმისებთან ერთად არ იყოს დადასტურებული. სიმაგრის ნამოსახლარის ყურმილიანი ხელადების ფორმა, როგორც ჩანს, არსებითად ერთნაირი იყო, მაგრამ ზომები ხელადებისა სხვადასხვა უნდა ყოფილიყო, რაზეც ყურების ნაირი სიდიდე მიუთითებს (ტაბ. XXXV).

ყურმილიან ხელადებთან ერთად განსახილველია სარქველები, რომელთა უმრავლესობა შეიძლება ხელადებს ეკუთვნოდეს. სარქველებს ფიალის ფორმა აქვთ, შუაში კი მასიური სახელური, რომელიც ხშირად ღილისებური

<sup>14</sup> თ. მიქელაძე, იქვე, ტაბ. XI<sub>1</sub>.

<sup>15</sup> თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI<sub>2</sub>.

<sup>16</sup> თ. მიქელაძე, იქვე, ტაბ. XI<sub>3</sub>.

<sup>17</sup> კოლხური კულტურების პერიოდიზაციის შესახებ იხ. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი,

თავით მთავრდება (ტაბ. XXXVI). ზოგი სარკველის ასეთი სახელური ფრინველის სკულპტურას წარმოადგენს (ტაბ. XXXVI, 05 1—75—42).

კოჭბებიც სუფრის ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს. ისინი, როგორც ჩანს. გამოიყენებოდნენ მარილისა და სანელებლებისათვის. სიმაგრეზე ორნამირი კოჭბები გვაქვს ყურიანი და უყურო. უყურო კოჭობი დატულია მთლიანად, გამოირჩევა სიმეტრიულობით და შემკულობით. იგი დაბალყელიანია, ოდნავ პირგადაშლილი. ყელის ძირში ირბი ღრმად ქდებული ორნამენტი შემოსდევს სარტყლად, მუცელი განიერი აქვს და ვიწრო, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული, მუცელზეც სარტყელად შემოსდევს ანალოგიური ქდებები, რომლებიც უფრო დიდაა ყელის ორნამენტთან შედარებით (ტაბ. XXVII, ფ—62—398).

ლანგარები და ჯამები თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. პირები გარეთ და ქვევითკენ აქვთ გადმოკეცილი, სწორკუთხა სამკუთხედის განივკვეთის მქონე მასიური ბაკო აქვთ (ტაბ. XXVI. ფ—61—82). ყველა ეს ლანგარი პირების მიხედვით შავადაა გამომწვარი და შიგნიდან შავად გაპირილებული, ბაკო გარედან ორნამენტირებულია. ორნამენტი პრინციპულად ერთგვარია: დაკბილული იარაღით შესრულებული ირბი ურთიერთმკვეთი ღარები, რომლებიც რომისებურ მოტივს ქნის.

ჯამებიც უფრო სადა ჭურჭელია. უმრავლესი მათგანი პირმოყრილია, ოღონდ ნაწილს სადა პირი აქვს (ტაბ. XXVI, ფ—61—172 და ფ.—61—169), ნაწილს კი — შიგნითკენ ლილვისებურად ჩახვეული (ტაბ. XXVI, ფ—61—5). ერთი ყურიანი ჯამი დატულია მთლიანად და ორგინალური ფორმით იქცევს ყურადღებას. იგი ჯამების უმრავლესობის მსგავსად მრგვალი, სიმეტრიული ფორმისა კი არ არის, არამედ ასიმეტრიულია და წაგრძელებული ოვალური ფორმა აქვს (ტაბ. XXIX, ფ—62—347).

მოკლედ უნდა შევჩერდეთ ჭრაქებზეც. სიმაგრის ნამოსახლარის მცხოვრებნი ხმარობდნენ, როგორც ადგილობრივ. ისე იმპორტულ ჭრაქებს. ადგილობრივი ჭრაქების მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია ნაპოვნი. ამ მონაპოვრის მიხედვით ადგილობრივი ჭრაქები ორნაირი იყო: ბრტყელიძირა, ჯამისმაგვარი, ტუჩიანი ჭრაქები (ტაბ. XXXVI, 05—S 1—74—299) და ჭრაქები დაბალი გამოყვანილი ფეხით და ტუჩით (ტაბ. XXXVI, ფ—64—179). აღნიშნული ჭრაქები შეიძლება უფრო მეტიც არის აღმოჩენილი სიმაგრის ნამოსახლარზე, მაგრამ მათი გარჩევა ჭირს: თუ ტუჩიანი ნატეხი არ შეგვგვდა, უფეხო ჭრაქები შეიძლება ჯამებად იყოს მიჩნეული, ხოლო ფეხიანი ჭრაქები — კოლხურ სასმისებად.

ლითონის ინვენტარი წარმოდგენილია ბრინჯაოს და რკინის ნივთებით. თუმც არის ერთი ვერცხლის ნივთი — ჭვარდინად დატიხრული რგოლი (ტაბ. XXXVII, ფ—61—201). ბრინჯაოს-ნივთები გაცილებით ნაკლებია და ნაკლებული (ტაბ. XXXVII, ფ—62—925. 642, 643, 0591—75—285 და 286). მთლიანად შემონახულია მხოლოდ ორი ნივთი: ბრინჯაოს დანა (ტაბ. XXXVII, ფ—61—200). რომელიც ამ თხუთმეტითოდე წლის წინ აღმოჩნდა და სულ ახლახან აღმოჩენილი, შესანიშნავად დატული ბრინჯაოს ჩქიფი (ტაბ. XXXVIII, 05 1—76—1).

რკინის ნივთების კოლექცია სიმაგრის ნამოსახლარიდან გაცილებით მრავალფეროვანია: არის საომარი იარაღი: ყუნწიანი (ტაბ. XXXVII, ფ—62—405) და მასრიანი შუბისპირები (ტაბ. XXXVIII, კლხ—72—1249). შუბისმკვეთარი

ნავთი მასრიანი ოთხკუთხა განიკვეთიანი წაგრძელებული პირით (ტაბ. XXXVIII, 05S 1—73—561); სამეურნეო იარაღი: თოხი (ტაბ. XXXVIII, 05 S 1—75<sub>1</sub>—281), დანები (ტაბ. XXXVII, 05S 1—75—282 და 283), სასხლავი-ანკესი (ტაბ. XXXVII, 05 1—75—287, კლხ —72—329). აღსანიშნავია აგრეთვე რკინის ლაგამი (ტაბ. XXXVII, ფ—61—52).

ქვის ნივთებიდან გარდა წაგრძელებული ფორმის ხელსაფეკვაებისა, რომელთა მსგავსი კოლხეთში ნასახლარებზე ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, ყურადღებას იქცევს კაჟის მასიური, ყუწწიანი ხელშუბისპირი (ტაბ. XXXVII, ფ—61—199).

ძვლის ნივთები წარმოდგენილია გაურკვეველი დანიშნულების მაგრამ აშკარად საგანგებოდ გაპრიალებული ძვლებით (ტაბ. XXXVII ფ—62—401 და 410) და შესანიშნავად დამუშავებული მახათით (ტაბ. XXXVII, ფ — 62—402).

ხის ნივთების დიდ უმრავლესობას ციციხეები და ჩოგნები შეადგენს. ისინი საკმაოდ მკვეთრად ჭგუფდებიან: ციციხეებს ღრმად ამოღარული წაგრძელებული ფორმის პირები აქვთ (ტაბ. XXXIX, ფ—62—662 და 664; კლხ—71—299; 05S1—75—291), ჩოგნებს ბრტყელი ნიჩბისებური პირები (ტაბ. XXXIX, ფ—62—661, 663, 591, კლხ —71—384). 1975 წელს სიმაგრის ნამოსახლარის მეორე ფენაში აღმოჩნდა ჭრით დამუშავებული ხის დეტალი, შეიძლება ნაგებობისა ან რომელიმე საოჯახო ნივთისა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ხის სავარცხელი (ტაბ. XXXIX, სლხ 71—393), რომლისაგანაც, სამწუხაროდ, შემორჩენილია მხოლოდ ნახევარი. მას მასიური ზედა ნაწილი აქვს და გრძელი წმინდა კბილები. მისი ზედა ნაწილი შემკულია წრეებით, რომელთაც შუაში წერტილისებური მცირე წრე უზით. ამ ანდაზით შემკულია სავარცხლის ზედა, მასიური ნაწილის ორივე მხარე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთ მხარეს ეს წრეები ირიბადაა დასმული, ხოლო მეორე მხარეს — ერთ ხაზზე. საგულისხმოა, რომ ანდაზი, რომლითაც შემკულია სავარცხლის ზედა ნაწილი ზუსტი გამეორებაა უფრო ადრეული ტრადიციების მატარებელი კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი ანდაზისა<sup>18</sup>. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეხვედრა კერამიკისა და ხის ნივთების შემკულობისა, როგორცაც ასახავს ერთი კულტურის სხვადასხვა ხასიათის შემადგენელი ნაწილების შინაგან კავშირს. ამ ერთი მცირე დეტალის მეშვეობით, ეს სავარცხელი არ არის აშოვარდნილი იმ საერთო გემოვნებისა და შემეცნების წრიდან, რომელშიც მთელი ზემოაღწერილი მასალაა მოქცეული.

სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ძალიან საინტერესო და მრავალმხრივ ნიშანდობლივი სამკაული, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივებითა და ოქროს საკიდით. რამდენიმე მძივი სარდიონისაა. ერთი მათგანი (ფ—62—399) ოთხკუთხა ფორმისაა, ბრტყელი, შუაში ნახვრეტით და კუთხეებმომრგვალებული. მეორე მძივი (ტაბ. XL, ფ. 8—396) ასევე ოთხკუთხა, ასევე ბრტყელია ოღონდ ერთ თავში სახელურივით გამოყვანილი შვერილი აქვს (ტაბ. XL, ფ—62—396) ასეთი შვერილი მეორე თავშიც უნდა ჰქონოდა. გვაქვს სარდიონის მძივები კონუსური (ტაბ. XL, 05S1—74—405 406, პირველი დაზიანებულია). სფერული (ტაბ. XL, 0591—75—

<sup>18</sup> Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды, II, 34<sub>1-8</sub>, 37, 38.

289), დაბრტყელებული სფეროს ფორმისა (ტაბ. XL, 05S1—74—407). ძალიან ლამაზი და შესანიშნავად დამუშავებულია ღია ყავისფერი მინერალისაგან დამზადებული მძივი, რომელსაც უზადოდ პოლირებულ ზედაპირზე ემჩნევა მკრთალი სალათისფერი ძარღვები. მძივი ოთხკუთხაა, კუთხეები მომრგვალებულია. შუა ნაწილში სიმეტრიულად გამოყვანილია და შუაგულში სწორი ფორმის ნახვრეტი აქვს (ტაბ. XL — ფ 62 — 660).

ძალიან საინტერესოა შავი გიშრის მძივი. დაცულია ორი მესამედი მძივისა. კვერცხისებური ფორმისაა მთელ სიგრძეზე, ერთი თავიდან მეორემდე ჩასდევს სიმეტრიული ღარები, რომლის ბოლოები ნახვრეტის ორივე გამოსავალთან იყრიან თავს. ღარებიცა და ღარებს შორის მოქცეული სიბრტყეები შესანიშნავადაა დამუშავებული და გულდაგულ პოლირებული (ტაბ. XL, ფ—64—195). უნდა აღინიშნოს აგრეთვე თეთრი მინერალისაგან დამზადებული ცილინდრული ფორმის მძივი (ტაბ. XL, 05S1—74—404).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოლიქრომული მძივი, რომელიც დამზადებულია შავი მინის პასტიდან, შუა ნაწილში გარშემო შემოსდევს პასტისავე თეთრი და ყვითელი დიდრონი წრიული რელიეფური თვლები, ხოლო კიდევებზე—მორიგეობით რელიეფური მოყვითალო და ფირუზისფერი წვრილი თვლები (ტაბ. XL, ფ—64—132). როგორც ირკვევა, ამგვარ მძივებზე თვლებს ნებისმიერად კი არ სვამდნენ, არამედ გარკვეული სქემის მიხედვით<sup>19</sup>.

ჩვენი პოლიქრომული მძივის ორეულები არა ჩანს. პრინციპულად მსგავსი მძივები მოიპოვება როგორც ჩრდილოეთ შავზღვისპირეთში, სადაც მრავალი ათეული სახეობა და ქვესახეა ასეთი მძივებისა<sup>20</sup>, ისე საქართველოში (რაჭა<sup>21</sup>, ფიჭვნარი<sup>22</sup>, ზუგდიდის მუზეუმის კოლექცია<sup>23</sup> და სხვ.). სიმაგრის მძივი თითქოს უფრო ახლოს დგას ბრილის ძვ. წ. VI—IV საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილ მძივებთან<sup>24</sup>. შემჩნეულია, რომ ამ ტიპის მძივები ანტიკურ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში, ეგვიპტეში და, საერთოდ, მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში<sup>25</sup>. ამიტომ მისი აღმოჩენა სიმაგრეზე თავისთავად ნიშანდობლივია, რადგან ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ფასისი ამ მხრივაც არ არის ამოვარდნილი ხმელთაშუაზღვისპირეთის გემოვნების, მოთხოვნილებათა და, საერთოდ, ყოფით თავისებურებათა სფეროდან.

რაც შეეხება თარიღს, ჩვენი მძივის თარიღი სრულიად გარკვეულია: იგი აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის მეორე ფენაში, რომლის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედს არ გადმოსცდება. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ტექნოლოგიურ

<sup>19</sup> Е. М. Алексеева, Античные бусы Северного Причерноморья. М., 1975, стр. 51.

<sup>20</sup> Е. М. Алексеева, იქვე, გვ. 50—73.

<sup>21</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 103.

<sup>22</sup> ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მსკა, IV, 1965, გვ. 90, ტაბ. 10.

<sup>23</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 41, სურ. 9.

<sup>24</sup> გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLVII.

<sup>25</sup> Е. М. Алексеева, დასახ. ნაშრომი, გვ. 55. იქვე სათანადო ლიტერატურა.

თავისებურებათა, ფერთა შეხამების და სხვა ნიშნების მიხედვით აღნიშნული ტიპის მძივებს, ზოგადად, VI—IV სს. აკუთვნებენ<sup>26</sup>.

თვლებიანი მინის მძივის გარდა ყველა დანარჩენი ზემოაღწერილი მძივიც მეორე ფენაშია დადასტურებული და ამიტომ მათი თარიღიც გარკვეულია. ის მძივები, რომელთაც კოლხეთის მასალაში ანალოგები მოიპოვება, გვხვდება ქრონოლოგიურად შესაბამის კომპლექსებშიც. ამ მხრივ, ხშირია სფერული და დაბრტყელებულ-სფერული ფორმის სარდიონის მძივების კოლხეთის ძვ. წ. VII—VI და VI—IV სს. კომპლექსებში აღმოჩენის შემთხვევები, მაგალითად, აფხაზეთში. გურიაში (ნიგეზიანის სამაროვანი) და სხვაგან.

თვლებიანი მძივის ძველი ფასისის მიდამოებში აღმოჩენის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ ფასისი იყო იმ ერთ-ერთი შესაძლებელი და ამასთან, უმთავრესი გზის დასაწყისი, რომლის მეშვეობითაც ამ ტიპის მძივები და, საერთოდ, ეგვიპტურ-წინააზიური და ეგეოსური იმპორტი ვრცელდებოდა საქართველოსა და, იქნებ, დანარჩენ კავკასიაშიც.

დასასრულ, სრულიად განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ოქროს საკიდი, რომელიც ასევე მეორე ფენაში აღმოჩნდა № 2 ნაგებობის აღმოსავლეთ კედელთან. საკიდი დამზადებულია ორი, სამკუთხა ფორმის ერთმანეთზე მირჩილული ოქროს ფირფიტისაგან. ქვედა ბოლოები ამ ფირფიტისა შემკულია ცვარათი გამოყვანილი ხარის თავებით. ცვარათი გამოყვანილი ასეთივე ხარის თავებითაა შემკული მთლიანად საკიდის ზედაპირის ერთი მხარე (სურ. 31). თვით საკიდის ფორმა ხარის პირისახის კონტურს უნდა გადმოსცემდეს. ზედაპირის მეორე მხარე საკიდისა შემკულია ასევე ცვარათი გამოყვანილი მებანდრის ორნამენტით (სურ. 3).

აღწერილი საკიდი უძველესი ოქროს ნივთია კოლხეთიდან. საგულისხმოა, რომ ის შედარებით კარგად დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა. იგი ნოსირის ნივთებთან ერთად უშუალოდ უსწრებს წინ კოლხური ოქრომკვდლობის შესანიშნავი ნიმუშების სერიას, ვანიდან, მრავალი საუკუნით წინ თავილონის. გონიოს კოლექციებს, მაგრამ ოქრომკვდლური ხელოვნების, ორნამენტის ანდაზის და გემოვნების თვალსაზრისით მათთან მკვიდრო კავშირს ამკლავებს. ამით კიდევ ერთი საფეხურით აახლოებს მათ კულტურის იმ სათავეებთან, რომლებიც უდავოდ კოლხურ ეთნო-კულტურულ სფეროში ყალიბდებოდა და რომელთა მიკვლევის გზაზე ჩვენი საკიდის აღმოჩენა ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია სიღრმეში.

ჩვენი საკიდი განსაკუთრებით ახლო დგას ნოსირის განძის რომბული ფორმის საკიდთან დამზადებისტექნიკის თვალსაზრისით, საერთო სტილით, ერთი ზედაპირის შემკობის მიხედვით: აქაც სვასტიკურ-მებანდრული ორნამენტითაა დაფარული მთელი ზედაპირი რომელიც მსგავსად ჩვენი საკიდის ზედაპირისა ცვარათა რიგებით შედგენილ ჩარჩოშია ჩასმული. ეს ორნამენტი ძალიან გავრცელებული მოტივია კოლხური ცულების შემკულობაში<sup>27</sup>. ამრიგად კიდევ ერთი ნიუანსი ძველკოლხურ და შუაკოლხურ კულტურათა იმანენტური კავშირებისა. ბ. კუფტინი ნოსირის საკიდს ათარიღებდა არა უგვიანეს I ათასწლეულის

<sup>26</sup> E. M. Алексеева, იქვე, გვ. 55, 56, სურ. 5.

<sup>27</sup> დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, ტაბ. XXXV, II, 10, XLIV<sub>3</sub>; XLV<sub>3</sub>.

პირველი ნახევრისა და მიიჩნევა, რომ ეს საკიდი სიახლოვეს ამჟღავნებდა VIII—VII სს. ძეგლებთან<sup>28</sup>. ჩვენი საკიდის აღმოჩენით, ზოგადად, დასტურდება ბ. კუფტინის დათარიღება<sup>29</sup>. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი საკიდიც ძვ. წ. VII ს. ნახელავი იყოს. ყოველ შემთხვევაში, რომ იგი ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარზე ადრეა დამზადებული, ე. ი. იმ ფენის ხანაზე ადრე, რომელშიც ის აღმოჩნდა, სრულიად ცხადია.

## ბ. იმპორტული კერამიკა

შემოტანილი კერამიკული ნაწარმი, ისევე როგორც ადგილობრივი, ორ ჯგუფად იყოფა: სამეურნეო ჭურჭელი, რომელიც ანტიკური ტარის—ამფორების სახითაა წარმოდგენილი და მცირე ზომის სუფრის ჭურჭელი.

ამ ფორების კოლექცია სიმაგრის ნამოსახლარიდან საყმაოდ მრავალფეროვანია და ამიტომ ეს კოლექცია სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს, არა მარტო მათი საწარმოო ცენტრების ზუსტი განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი გარემოებაა, არამედ ძველი კოლხეთის ეკონომიური ისტორიის უფრო ღრმა და რთული საკითხების დასამუშავებლად. მაგრამ ამ ეტაპზეც შეიძლება ცალკეული საწარმოო ცენტრებიდან მომდინარე ამფორების გამოყოფა.

სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ამფორათაგან უძველესია ქიოსური ამფორები და წითელი ზოლებით შემკული არქაული ამფორა.

ქიოსური ამფორების დიდი ნაწილი ყვითელ თიხნარში აღმოჩნდა (ტაბ. XIII) და ჩვენ მათ შესახებ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა ყველა ნიმუშის ილუსტრირება ვერ მოვახერხეთ<sup>31</sup>. სიმაგრის ნამოსახლარზეც გვაქვს მეორე ფენაში ქიოსური ამფორა (ტაბ. XLII, 05S1—75—110), მაგრამ ეს ამფორები სიმაგრის ნამოსახლარის სპეციფიკურ მონაპოვარს არ წარმოადგენს.

ზოგადად, ადრეული ქიოსური ამფორების თანადროულია წითელი ზოლებით შეღებილი ამფორა (ფ.—64—247)<sup>32</sup>. მისგან შემორჩენილია ყელ-პირის ნატეხი. ამფორა მაღალყელიანი ყოფილა, მასიური, სქელკედლიანი პირი გაფორმებული აქვს მასიური ლილვისებური გვირგვინით. პირი, გვირგვინი და

<sup>28</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 133—134; Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, стр. 170—171.

<sup>29</sup> როგორც ცნობილია, ა. ბოლტუნოვა ნოსირის ნივთებს ათარიღებდა თავილონის კოლექციასთან ერთად რომელიც ხანით და აახლოვებდა მათ გვიან სარმარტული წრის ოქროს ნივთებთან, (А. И. А м н р а н а ш в и л и, Новая находка в низовьях реки Ингура, 1935, стр. 61—63, 71). მაგრამ, ნოსირის კოლექციის ანტიკური მაშინაც ნათელს პუნქტა ამგვარი დათარიღების და დაკავშირების უსაფუძვლობას (შდრ.: Б. А. К у ф т и н, "Археологические раскопки в Триалети, стр. 133).

<sup>30</sup> ამფორები ქიოსურ პროდუქტად მიიჩნის პირველად ნ. კიოკურცევა და ბ. გრაკოვა მონეტებზე არსებულ გამოსახულების საფუძველზე (Б. М. Г р а к о в, Тара хранения сельскохозяйственных продуктов в классической Греции в VI—IV до н. э. ИГАИМК, 106, 1935, стр. 179; И. Б. З е с е т, Керамическая тара Боспора, гв. 74 შმდ. იქვე აღნიშნული ამფორების კლასიფიკაცია).

<sup>31</sup> ქიოსური ამფორება აგრეთვე: ფ-62-875; ფ-62-877-880; ფ-63-192.

<sup>32</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი... ტაბ. XIII.1

ყელის ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით. ამ ტიპის ამფორები დამოწმებულია შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში ისტორიდან ბოსფორამდე და მუდაბ ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის მასალასთან ერთად<sup>33</sup>. ასე, პანტიკაპეონში ანალოგიური ამფორა აღმოჩნდა როდოსულ ოინოხოასთან ერთად, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება<sup>34</sup>.

აღწერილი ამფორა აღმოჩნდა სულ ქვედა უძველეს III კულტურულ ფენაში ნაგებობის ძეგლებს შორის.

ცალკე უნდა გამოიყოს კიდევ ერთი ტიპი ამფორისა (ტაბ. XLIII, ფ—61—196), რომელიც დანარჩენებზე გაცილებით ხშირად გვხვდება სიმაგრის ნამოსახლარზე. ამფორა გამოირჩევა ლილვისებური მასიური პირქობით, ცილინდრული ყელით, ძირში რომ ოდნავ ვიწროვდება, ოვალურგანიკვეთიანი ყურებით და ამობერილი მუცლით. ამფორას პირქობის ქვეშ წიბო შემოუყვება. ძირი შეღრმავებული აქვს, ხოლო გარშემო მას მასიური დაწახნაგებული ქუსლი შემოსდევს. ეს ამფორები, როგორც ჩანს, სხვადასხვა ზომისანი არიან. სიმაგრეზე ამ ამფორების სხვადასხვა სისქის კედლები და ნაირი ზომის ქუსლები გვხვდება<sup>35</sup>. ყველა ამფორა შიგნიდან დაფარულია ფისით, რომელსაც გარედან დადებული აქვს თხელი მოყვითალო მასის ფენა. არცერთ ამფორაზე შიდა ზედაპირის ასეთი დამუშავება არ შეგვხვებოდა. ჩვენი ამფორა სიმაგრის ნამოსახლარზე ჩნდებოდა პირველ ფენაში. მეორე ფენის შესწავლის დროს ამგვარი ამფორის ნატეხები ამ ფენაშიც აღმოჩნდა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით აქ მოულოდნელი არა არის რა. მათ, მსგავსად ლესბოსური და ლესბოსური წრის ამფორებისა, შეეძლოთ ეარსებნათ ძვ. წ. VI ს. დასასრულშიც და V ს. დასაწყისშიც.

ამფორის აღწერილი ტიპი სპეციალურადაა შესწავლილი. მისი, მართლაც ახლო მსგავსების გამო სამოსურ ამფორებთან, მას „ფსევდოსამოსურიც“ კი უწოდეს. ასე უწოდეს იმის გამო, რომ სამოსური და სიმაგრის ამფორათა თიხა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. გამოირკვა, რომ სიმაგრის ამფორა მასალით, ფორმით, ზომებითაც კი სრულ იგივეობაშია სხვადასხვა დროს ოლბიის სამარხებში აღმოჩენილ ამფორებთან, რომლებიც თანმხლები ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება<sup>36</sup>. მაგრამ განხილული ამფორის წარმოების ცენტრი მაინც არ არის განსაზღვრული. ამას კი შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან ამგვარი ამფორა მხოლოდ სიმაგრეზეა დადასტურებული. ეს კი იმას ნიშნავს რომ ეს პროდუქცია მხოლოდ ფასისში შემოდიოდა, ე. ი. ეს ამფორა ასახავს ძველი ფასისის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის კიდევ ერთ ასპექტს. რომელიც დამოკიდებული იყო ამ ქალაქისა და მისი ქვეყნის კონკრეტულ მოთხოვნებსა და მოხმარებაზე.

ამფორების ცალკე ჯგუფს შეადგენს ლესბოსური და ლესბოსური წრის ამ-

<sup>33</sup> И. Б. Зеевт, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 69, შმდ. ტაბ. 1.

<sup>34</sup> В. Д. Б л а в а т с к и й. Отчет о раскопках Пантикапея в 1945—1949, 1952, и 1953 гг. *МД*, 103, გვ. 169 სურ. 2, გვ. 110 შმდ.

<sup>35</sup> აღწერილი ეგზემპლარის ზომებია: პირის გარე დიამეტრი 13, 6 სმ; ყელის სიმაღლე 12 სმ; პირქობის სიმაღლე — 2, 5 სმ; სიგანე ყურისა — 4 სმ.

<sup>36</sup> თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი*. თბ., 1966, გვ. 75—

ფორები. ჩვენს ნამოსახლარზე ლესბოსური ამფორების ყელ-პირისა და ძირის ნატეხები აღმოჩნდა. ერთი პირ-ყელი მთლიანადაა დატეხილი (ყელის სიმაღლე 14 სმ-ია). ყელს ნახევარლილეისებური პირქობი და მრგვალგანივკვეთიანი, მასიური ყურები აქვს. პირი ყელისაგან გამოყოფილია წრიული წიბოთი (ტაბ. XLIII, ფ—61—32). რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ლესბოსური ამფორებისათვის. ყელი, როგორც ეს ლესბოსური და ლესბოსური წრის ამფორებისათვისა დამახასიათებელი ძირისაკენ განიერდება ლესბოსური ამფორის ძირს კიჩისებური ფორმა აქვს და ეს არის ერთი იმ ნიმუშთაგანი, რის გამოც ტიპოლოგიურად ლესბოსური ამფორა კიჩისებურ ამფორებს შეიძლება დავუახლოოთ. თიხა ამფორისა მონაცრისფრო-მოყავისფრო ფერისაა, გარედან ეტყობა შავი ლაქები. ლესბოსურ ამფორებს ხშირად შეადაც ლეზადენენ<sup>37</sup>. ჩრდილოეთ შეზღვისპირეთში ლესბოსური ამფორები, ისევე როგორც სიმაგრეზე, გვხვდება ქიოსურ ამფორებთან ერთად, მაგრამ თასოსურ ამფორების თანხლებითაც, ამიტომ მათ ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულითა და V საუკუნის დასაწყისით ათარილებენ<sup>38</sup>.

აღწერილ ამფორასთან ძალიან ახლოს დგას კიდევ ერთი ეგზემპლარი (ტაბ. XLIII, ფ—62—428), მაგრამ ეს უკანასკნელი რაკი რიგი თვისებებით — ყელის მოყვანილობა, პირქობი, პირქობის ქვეშ წრიული წიბო, ყურების ფორმა და ყელთან დამაგრების თავისებურება — ლესბოსურ ამფორებს იმეორებს, ხოლო რიგი თვისებებით — სიდიდით, კეცით, პირქობის სიდიდით და სხვა განსხვავდება ლესბოსური ამფორებისაგან, მის მსგავს ამფორებს ლესბოსური წრის ამფორებს უწოდებენ. ამ ამფორისაც ყელი და ყურებია შემორჩენილი. ყელი ცილინდრული ფორმისაა, ძირში ყურებთან შერწყმის ადგილას ოდნავ განიერდება, ზედა ნაწილში მთავრდება ნახევრად ლილეური პირქობით; ყურები მრგვალგანივკვეთიანია, ზედა ნაწილში უშუალოდ პირქობის ქვეშ უერთდება ყელს. თიხა ამფორისა მოწითალო რუხია. ამფორის პირის გარე დიამეტრი უდრის 12 სმ, ყელის დიამეტრი ქვედა ნაწილში — 13,5 სმ; ყელის სიმაღლე პირქობიდან — 18,5 სმ.

აღწერილი ამფორა ყელ-ყურის მოყვანილობით მოგვაგონებს ოლბიასა და ტირიტაკში ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის ფენაში აღმოჩენილ ამფორებს, რომლებსაც ლესბოსური წრის ამფორებად მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ ისინიც მოწითალო-რუხი თიხისაგან არიან დამზადებული. აღსანიშნავია ჩვენი და ტირიტაკის ამფორის ყელ-ყურის ზომათა დამთხვევაც<sup>39</sup>.

თუ აღნიშნულ ანალოგებს მივიღებთ მხედველობაში, აღწერილ ამფორას კონუსური ძირი უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კონუსური ძირი, რომელიც ჩვენი ამფორის ყელ-ყურის ახლოს G—18 და G—17 კვადრატების საზღვარზე აღმოჩნდა. ჩვენი ამფორა H—18 კვადრატშია აღმოჩენილი. ამ ძირის თიხაც მოწითალო-მონაცრისფერია, ოღონდ ზედაპირი რამდენადმე ხორკლიანია.


ასეთი ძირები სხვა ადგილებიდანაცაა ცნობილი, მაგალითად, დაბლა გო-

<sup>37</sup> И. Б. Зеев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 72.

<sup>38</sup> И. Б. Зеев, *იქვე*, გვ. 73, ტაბ. II, 85 და 86.


<sup>39</sup> შტრ. И. Б. Зеев, *იქვე*, გვ. 72—73.





სურ. 3. ოქროს საკიდი, სიმაგრის ნამოსახლარის II ფენიდან, ძვ. წ. VI ს.  
(წინა ხედი) გადიდებულია ორჯერ.

Рис 3. Золотая подвеска из II слоя поселения  
Симагре, VI в. до н. э. (лицевая сторона) увеличено в двое.



სურ. 4. ოქროს საკიდი. სიმაგრის ნამოსახლარის II ფენიდან. ძვ წ. VI ს.  
(უკანა ხედი)

Рис. 4. Золотая подвеска из II слоя поселения  
Симагре. VI в. до н. э. (Обратная сторона).

მის ზედა ფენის ამასალაში მსგავსი ძირებიც იჩენენ თავს<sup>40</sup>. ლესბოსური ამფორები აღმოჩენილია აქარაში ნაპურვალას ბორცვზე და ბათუმის ციხეზე<sup>41</sup>.

ლესბოსურ წრეს უნდა მივყავთენოთ მეორე ფენაში აღმოჩენილი შავი ფერის ამფორა (ტაბ. XLIII, 05S1—74—349), რომლის პირ-ყელი, ყურები, ყურების დასმის თავისებურება და ზომებიც კი იმეორებს ზემოაღწერილ ლესბოსურ ამფორას (ტაბ. XLIII, ფ—61—32). ამავე წრის ერთ რუხ-წითელ ამფორაზე (ტაბ. XLIII, კლბ—72—943), რომელიც ყვითელ თიხნარში აღმოჩნდა. უკვე გვქონდა საუბარი.

სიმაგრის ნამოსახლარზე დადასტურებულია, ე. წ. „ქიქისებრძირიანი“ ამფორებიც, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში განსაკუთრებით ფართოდ V ს-ში არიან გავრცელებული<sup>42</sup>. მართალია, ამ ამფორების უდიდესი ნაწილი სიმაგრის I ფენაშია აღმოჩენილი, მაგრამ ისინი მეორე ფენაშიც გვხვდებიან (ტაბ. XLII, 05S1—75—71), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი, ყოველ შემთხვევაში VI ს. ბოლოს უკვე არსებობდნენ.

სიმაგრის ნამოსახლარზე II ფენაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ღია ყავისფერი თიხისაგან დამზადებული ამფორები, რომელთა ძირები (ტაბ. XLII, 05S1—75—131, 70, 269) ძალიან მოგვაგონებს სამოსურ ამფორათა ძირებს, ხოლო ანალოგიური კეცის შესქელებული გვირგვინიანი პირები პროფილებით (ტაბ. XLI!) — იმავე ამფორათა პირებს<sup>43</sup>.

ს უ ფ რ ი ს ჰ უ რ ჰ ე ლ ი სიმაგრის ნამოსახლარიდან წარმომავლობის მიხედვით ორ ჯგუფად გაიყოფა: აღმოსავლურბერძნული არქაული მხატვრული კერამიკა ან როგორც ხშირად უწოდებენ, იონური ნაწარმი და ჰურჰელი მატერიკული საბერძნეთიდან.

იონური კერამიკის ყველაზე მდიდარი კოლექცია სიმაგრის ნამოსახლარზეა აღმოჩენილი. აქ წარმოდგენილია იონური კერამიკის სამი ჯგუფი: როდოსული იონური ჯგუფი, სამოსური კერამიკა ფიკელურას სტილისა და სადაიონური კერამიკის ჯგუფი<sup>44</sup>. იმ მრავალრიცხოვანი, ზოგ შემთხვევაში, ძალიან წერილი ნატეხების სპეციალური შესწავლის შედეგად, რომელთა სრულ პუბლიკაციასაც ვერ ვახდენთ ამჟერად, შეიძლება სხვა ჯგუფებიც გამოიყოს აღნიშნული კერამიკისა.

როდოსულ-იონური კერამიკა სიმაგრის ნამოსახლარზე, ძირითადად, წარმოდგენილია მცირე ზომის თხელკედლიანი ჯამები ნატეხებით. მათ შორის ყველაზე არქაულია ვარდულებიანი კილიკების ნახატები (ტაბ. XLIV, ფ—62—924; 05S1—74—170; 05S 1274—366; 05S1—74—170). ისევე როგორც ამგვარი ჰურჰელისათვისა ეჭ დამახასიათებელი, კილიკის ვარე ზედაპირზე გავლებულია პორიზონტული წითელი ფერის ზოლები. ერთი ეიწრო, ჰურჰელის პირს გაუყება, განიერი ზოლები კედლის ქვედა ნაწილზეა შემოვლებული. ამ ზოლებს

<sup>40</sup> Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды, II, ტაბ. 29-.

<sup>41</sup> ა. კ ა ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, 82.

<sup>42</sup> И. Б. З е е с т, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>43</sup> И. Б. З е е с т, იქვე, გვ. 70, ტაბ. 13.

<sup>44</sup> შდრ. თ. ლ ო რ თ ჰ ი ფ ა ნ ი ძ ე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხური თბ., 1966,

შორის მოქცეულია ვარდულები. შიდა ზედაპირი კედლისა დაფარულია ლეგა ფერის ლაკით, ხოლო შუაში გავლებულია მეწამული ზოლი (შდრ. ფ—62—94, ტაბ. XLIV).

ასეთი ჯამების წარმოების ადგილის შესახებ, როგორც ცნობილია ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს. ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი კუნძულ როდოსზე ვრულიაში. აქაური ჯამები თარიღდება ძვ. წ. VII და VI საუკუნის დასაწყისით. აღწერილი ჯამები ბევრი აღმოჩნდა აგრეთვე ქიოსზე, დელოსზე, ნავკრატისში, გელაში (სიცილია), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (კუნძულ ბერგზანზე, პანტიკაპონში, მირმეკიონში, ტირიატაკაში, ნაკლები ოლბიაში და სხვ.), მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია აღწერილი კილიკები, როგორც აღენიშნეთ, როდოსსა და იონიაში. ამიტომ ე. პრაისმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ზოგადიონურ კერამიკასთან, იონურ კონიესთან ცალკეული ცენტრებით მცირე აზიურ ქალაქებსა და კუნძულებზე. ჭურჭელზე გრავირების უქონლობისა თუ არსებობის მიხედვით მანვე გამოყო როდოსულ-იონურ კერამიკაში ადრეული სტილი A და B<sup>46</sup>. მაგრამ აღნიშნული კერამიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მალე ადრეული სტილის ვაზებში გამოიყო კ ა მ ა რ ა ს ი ს და ე ვ ფ ო რ ბ ი ს კლასი<sup>48</sup>.

როდოსულ-იონურ კერამიკაში განცალკევებით დგანან ზემოთ ხსენებული როზეტიანი ჯამები, რომლებიც ა. რუმპფმა კამარასის კლასს მიაკუთვნა. მათი საყოველთაო გავრცელება ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში სპეციალისტებს აძლევს საშუალებას დაასკვნან, რომ ეს ნაწილი მრავალი ადგილობრივი სახელოსნოების პროდუქციას შეადგენს და რომ მას ამზადებდნენ ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულიდან და VI საუკუნის პირველ ნახევარში<sup>47</sup>.

როზეტიანი ჯამების ფრაგმენტებთან ერთად სიმარგზე აღმოჩენილია აგრეთვე ფრაგმენტები იონური ორყურა ზოლიანი კილიკებისა. ასეთ ჯამებს ჩვეულებრივ ორ ჭგუფებად ყოფენ. პირველს მიეკუთვნება ჯამები ირიბად გადაადგილებული პირითა და ირიბად დასმული ყურებით, ხოლო მეორეს — ჯამები, რომელთაც სწორი პირი აქვთ და ყურებიც სწორად აქვთ დასმული უშუალოდ პირის კედლსთან. ეს ჯამები, ისევე როგორც პირველი ქვეჯგუფის კუთვნილი, გარედან მონათულია ლაკის ზოლებით, შიდა ზედაპირი კი დაფარულია ლეგა ლაკით, რომელზეც გავლებულია მეწამული ზოლები<sup>48</sup>.

<sup>46</sup> E. V. Price, Pottery of Naucratis. JHS, 1924, XLIV, ნაწილი II, გვ. 180—181; შდრ. P. B. Шмидт, Греческая архаическая керамика Мирмекия и Тиритакки. МИА. 25, გვ. 230.

<sup>47</sup> A. Rumpf, Zu den klazomenischen Denkmäler. JAI, XLVIII, 1933, გვ. 55—83. ამარასის კლასს მიეკუთვნა სახელი ადგილის სახელწოდების მიხედვით, კ. როდოზე, 'სადაც მოპოვებულია ამ ჭურჭლის უდიდესი ნაწილი. მალე ევფორების კლასიდან გამოჰყვეს შესამე კლასი ვ ლ ა ს ტ ო, (იხ. W. Swiering, Werkstätten orientalisirender Keramik auf Rhodos. Berlin, 1957).

<sup>48</sup> И. А. Сидорова, Архаическая керамика из Пантикпея. МИА, 103, 1962, стр. 98; P. B. Шмидт. დასახ. ნაშრომი, გვ. 231—232. ავტორის აზრით ამას ადასტურებს იმ კილიკების არარსებობა სამოსის ნეკროპოლში და მათი მცირე რაოდენობა ოლბიაში. სადაც ძირითადი კერამიკული მასალა ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანების შენდომ დროს ეანეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასევე თარიღდება სიმარგის ნამოსახლარის მეორე ფენა. სადაც ვარდულუბიანი კილიკები აღმოჩნდა. უარყოფითად ასეთი კილიკი ითხობა.

<sup>48</sup> И. А. Сидорова, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—147.

სიმაგრეზე ფიქსირებული კილიკები ზემოხსენებული ჯამების მეორე ქვეჯგუფს განეკუთვნება. ერთ-ერთი მათგანისაგან (ტაბ. XLIV, ფ—62—910) შემორჩენილია პირისა და კედლის ფრაგმენტი ყურების ძირებითურთ. პირა სწორია და სულ ზედა ნაწილში შემოვლებული აქვს ზოლი ყავისფერი საღებავით. ასეთი ფერის ოღონდ შედარებით განიერი ზოლების რამდენიმე რიგი აქვს ყურებს ქვემოთ. ზედ პირთან ერთი მეწამული ზოლი გაუვლიათ. ასეთი ზოლიანი კილიკის კედლების რამდენიმე ნატეხია კიდევ აღმოჩენილი.

მეორე კილიკისაგან (ფ. 62—912) შემორჩენილია მხოლოდ პირისა და კედლის ფრაგმენტი ყურითურთ. ეს ეგზემპლარი რამდენადმე უფრო მკირე ზომის ჯამის კუთვნილია. იგი გარედან დაფარულია რუხი ფერის საღებავით, ყურის ქვემოთ კი წითელი ფერის ზოლი ჰქონია. ყური სწორია, მრგვალგანივიკვეთიანი, უშუალოდ პირთანაა დასმული და შორსაა გაზიდული. შიგნიდან ჩვენი ჯამი დაფარულია ლეგა ლაკით, რომელზეც გავლებულია ორი ძალიან წმინდა მეწამული ზოლი: ერთი უშუალოდ პირის ზედა კიდეზე, ხოლო მეორე — ცოტა ქვემოთ.

ეს ჯამები, როგორც ფორმით, ისე შიდა ზედაპირის დამუშავებით (ლეგა ფერის ლაკზე გავლებული მეწამული ზოლები) ძალიან უახლოვდებიან როზეტიან ჯამებს, რომლებიც როგორც აღვნიშნეთ, ხმარებაში იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში, ეს კილიკები როზეტიანი კილიკების გვიან ვარიანტად მიაჩნიათ<sup>49</sup>.

აქ აღარ ვჩერდებით იონური კერამიკის სხვა ნიმუშებზე, ისინი წარმოდგენილი გვაქვს XLIV ტაბულაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ჭურჭელს, რომლის ნახევარი აღდგენილია და რამდენიმე ნატეხს ჭურჭლისას (ტაბ. XLIV, 05S1—75—187; 05 1—73—357), რომლებიც ფიკელურას სტილის სამოსურ კერამიკას უნდა ეკუთვნოდეს<sup>50</sup>.

აქვე უნდა განვიხილოთ ჭრაქებიც. ვგულისხმობთ წაბლისფერი თიხისაგან დამზადებულ მრგვალ, შიგნითკენ პირგადაკეცილ ღია ტიპის ტუჩიან ჭრაქებს შუაში ამოზიდული მასრით, რომელიც გამჭოლადაა გახვრეტილი (ტაბ. XLIV, ფ. 62—371, შდრ. ფ. 63—284). ძალიან ბევრი ამგვარი ჭრაქი და მათი სხვადასხვა სახეობანი მოპოვებულია კორინთოში. სიმაგრეზე აღმოჩენილი ჭრაქების მსგავს ჭრაქებს აერთიანებენ პირველ ტიპში, მიიჩნევენ ტიპურ კორინთულ ჭრაქებად და ათარილებენ არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებისა<sup>51</sup>. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი (იხ. Korinth, VI, გვ. 31—35), რომელმაც ამ ჭრაქების ტიპოლოგია მოგვცა, აღნიშნულ ჭრაქებს კორინთოში იმპორტულად მიიჩნევს. ამასთან ფიქრობენ რომ ეს ჭრაქები აღწერილი სახით უკვე ჩამოყალიბებული იყო ძვ. წ. 600 წლისათვის<sup>52</sup>.

ეს ჭრაქები, ისევე როგორც სიმაგრის მეორე ფენაში დადასტურებული კიდევ ერთი ღია ტიპის მასრიანი ჭრაქი (ტაბ. XLIV, 05S1—75—73), რომლის მასრას ნახვრეტი არა აქვს და ქიმივითაა ამოზიდული, იონური ნაწარმი უნდა იყოს.

<sup>49</sup> И. А. Сидорова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 147.

<sup>50</sup> შდრ. P. B. Шмидт. გვ. 152, ტაბ. 60 17—20

<sup>51</sup> Mary Campbell Roebuck, *Excavation of Corinth 1954*, *Hesperia*, vol. XXIV, № 2, 1955, გვ. 152, ტაბ. 60 17—20.

<sup>52</sup> Saul S. Weinberg, *A Cross-section of corinthian antiquities (excavations of 1940)*, *Hesperia*, vol. XVII, № 3 1948, გვ. 228—229 ტაბ. LXXXIV, p. 81.

იმპორტული სუფრის ქურჭლის მეორე ჯგუფს შეადგენს შვედლანდიანი და შვედური კერამიკა. ეს ქურჭელი უკვე საკმაო ოდენობით დაგროვდა სომხების ნამოსახლარზე და მას სპეციალური შესწავლა უნდა. წინასწარულად შეიძლება ითქვას, რომ სიმავრის ნამოსახლარის შვედური ქურჭელი წარმოდგენილია, ძირითადად, ატიკური მცირე ფიგურული სტილის ფენიანი კილიყებით, რომლებზეც გამოხატულია სხვადასხვა სცენები, მითიური და რეალური ცხოველები, მცენარეული ორნამენტი (ტაბ. XLV). ისინი მასალის, სტილის, ორნამენტის, მოხატულობის, თემისა და მანერის, გამოსახულებათა დატანის ტექნიკის (ჭრისა და საღებავის შეხამება) მიხედვით ექვევით იმ მასალის წრეში, რომელიც ჩრდილოეთ შვედისპირეთის საქალაქო ცენტრებში (ოლბიაში, პანტიკაპონში, მირმეკიონში, ტირიტაკაში) გვაქვს დადასტურებული<sup>53</sup>. მართალია, ჩრდილოეთ შვედისპირეთის ცენტრებში აღმოჩენილი შვედური კერამიკა, ზოგადად. ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარსა და V ს. დასაწყისს განეკუთვნება, მცირე ფიგურული სტილის ქურჭელს უფრო დახვეწილი მხატვრობის გამო მიაკუთვნებენ ძვ. წ. VI საუკუნის მესამე მეოთხედს<sup>54</sup>.

დასასრულ ისლა დაგვჩენია აღვნიშნოთ, რომ შვედური ქურჭელი, ისევე როგორც იონური ქურჭლის როდოსულ-იონური ჯგუფი სიმავრის ნამოსახლარზე მხოლოდ მეორე ფენაში (იონური — ნაწილობრივ შესამეშიც) გვხვდება და მას მართლ დამთარილებელი მნიშვნელობა არა აქვს.

### 3. სიმავრის ნამოსახლარის თარიღისა და ხასიათის საკითხისათვის

ზემოთ, არქეოლოგიური ჭრილის აღწერის დროს დავინახეთ, რომ სიმავრეზე გამოიყო სამი კულტურული ფენა, რომელიც ოთხი სამშენებლო ეტაპის დანაღუქს წარმოადგენს. აღნიშნული იყო ისიც, რომ ეს ფენები იქ აღმოჩენილი მასალის მიხედვით დიდ ქრონოლოგიურ წყვეტილს არ ასახავენ. აქ, ფაქტიურად, შეიძლება საქმე გვქონდეს ერთი თავდაპირველი სამოსახლოს სამჯერ განახლებასთან. ეს ქრონოლოგიური ხარვეზები შედარებით ძნელი შესამჩნევია ადგილობრივ მასალაზე, რადგან ეს უქანასკნელი, მას შემდეგ რაც ძვ. წ. VI საუკუნიდან მკვეთრად იცვლება კოლხეთში, შემდგომ ხანებში ძვ. წ. IV საუკუნემდე, მაინც გამოირჩევა ფორმების და კეცის მდგრადობით<sup>55</sup>. ყოველ შემთხვევაში, ამ კერამიკის შესწავლილობის დღევანდელ ეტაპზე ეს ასეა.

რამდენადმე სხვაგვარად გვაქვს საქმე შემოტანილი ნაწარმის მხრივ. ეს ნაწარმი, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა ცენტრში იყო დამზადებული და მისი მოქმედების დრო საერთაშორისო ბაზარზე ზოგჯერ ორი-სამი ათეული წლის სიზუსტით ისაზღვრება. სიმავრეზე მოპოვებული იმპორტული მასალის ქრონოლოგიური ამპლიტუდა ასეთია: უძველესი ნიმუშები (ქიოსის ამფორები, წითელზოლიანი მასიური ამფორა, როდოსულ-იონური კერამიკა — სახელდობრ, ვარდულებიანი ჯამები, ჭრაქები) ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარს იშვიათად სცდებიან, ხოლო უგვიანესი — ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებს. მაშასადამე სიმავრის ძველი დასახლების არსებობა ზოგადად ერთი საუკუნით იფარგლება.

<sup>53</sup> Е. И. Левин, Материалы ольвийского поселения. Ольвия, 1946, М.-Л., стр. 54.

<sup>54</sup> 13, 14, 15, 16; Р. В. Шмидт დასახ. ნაშრომი, სტრ. 12—14.

<sup>55</sup> Р. В. Шмидт. იქვე, გვ. 246.

<sup>56</sup> თ. მ. ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი... გვ. 61; აგრეთვე ტაბ. XXIV.

საერთოდ სიმაგრის რაიონში რიონის მთელ მარცხენა ტერასაზე ძველი მასალა ძვ. წ. VI საუკუნითა და იქნებ IV საუკუნის დასაწყისით შემოისაზღვროს. ასეთივე ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი საღდაც ახლოს არსებულ დასახლებასაც, რომელიც მართალია in situ. ვერ დაავადსტურეთ, მაგრამ რომლის აშკარად გამოხატულ კვალსაც ბორცვ სიმაგრეზე ყვითელი თიხის ზეინში მივაკვლიეთ. აქ მოპოვებულ როგორც ადგილობრივ (კოლხურ სასმისებს, ქვევრებს, ყურმილიან ხელაღებს, ლითონის საწურ ტიგელს კოპებისებური ოთხი ფეხით და სხვა შესაბამის მასალას), ისე შემოტანილ კერამიკას — ქოლხურ ამფორებს, უიქისებრ ძირიან ამფორებს, შველაციან ჭურჭელს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ის დასახლებაც, რომლის ნანგრევებს სიმაგრის ყვითელი თიხის ზეინული შეადგენს ძვ. წ. VI—V საუკუნეებში თავსდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე სიმაგრის გარშემო არ ჩანს უფრო ადრეული დასახლების კვალი. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რიონის მარცხენა ტერასის დასახლება აღწერილ მონაკვეთზე იწყება ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს და წყდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულს ან IV ს. დასაწყისში. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ცხოვრება რიონის მარცხენა სანაპიროზე შემდგომაც გრძელდება. თუ გავიხსენებთ დასახლების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ქვემო ჰალადიდის საბაჟოს უბანში შეიძლება გვეფიქრა, რომ შუაქოლხურ პერიოდში დასახლების ტალღა რიონის მარცხენა სანაპიროზე აქედან მოქდინება, მაგრამ აქ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სიმაგრის (II—III ფენის) სინქრონული დასახლების კვალი არ ჩანს. ამიტომ იქნებ სიმაგრის დასახლების წარმოქმნა ფასისიდან მომდინარე იმპულსების შედეგია. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ზემოთ მიუთითებდით, რომ ცალკეულ ფენაში მოპოვებული ადგილობრავი მასალა არავითარ სხვაობას არ იძლევა, მაგრამ თავის დროზე, როცა ქვედა III ფენაში მივაკვლიეთ ადგილობრივი ნაწარმის ისეთ ნიმუშებს, რომლებიც სპეციფიკურად ვერ ჩაითვლებოდა შუაქოლხური პერიოდისათვის, III და დანარჩენ ფენებს შორის უფრო მეტი ქრონოლოგიური წყვეტილი გვეგონა. ვგულისხმობთ ჭურჭლის ყურს, ორი ზემოთ მკვეთრად აზიდული გვერდითი შეერილებით, რომლებიც ცხოველის დაცქვეტილ ყურებს მოგვაგონებს. პირდაპირი ანალოგია აღნიშნული ყურისათვის არ გვეგულება. იგი არა დგას ადრეული, ე. წ. „ზოომორფული“ ყურების რიგში და თავისი მოყვანილობით არსებითად განსხვავდება მათგან. მაგრამ მეორე მხრივ ისიც აშკარაა, რომ როგორც ეს, ისე ადრეული ზოომორფული ყურები, რომლებიც ძვ. წ. VII საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდებიან, ასახავს ერთსა და იმავე წარმოდგენებს. ნათელია, რომ სიმაგრის ქვედა ფენაში მიკვლეული ყური, რომელიც შუაქოლხური პერიოდის მასალაში იშვიათ მოვლენას შეადგენს, წინამორბედი ხანის ტრადიციების გამოძახილია<sup>56</sup>. ასეთივე მოვლენას უნდა ასახავდეს თიხის ჭურჭლის კიდევ ერთი ყური (ფ. 64—209) III ფენიდან. ეს ყურიც ზოომორფული ყურების რიგს განეკუთვნება, ოღონდ სიმბოლურად კი არ გადმოგვცემს ზოომორფულ მო-

<sup>56</sup> თუ ამ ყურებს პირდაპირი ანალოგია არ მოპოვება წინა პერიოდის კერამიკულ მასალაში, ისინი ძალიან მოგვაგონებენ, ძალისა თუ მგლის ლითონის ფიგურების ყურებს ეშერის ოსუარიუმიდან და ზომბორცს განზრდან. (შდრ. Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды. ტბ. XII).

ტივს. არამედ ზედა ნაწილში დაძვრული აქვს ცხოველის თავის სკულპტურული განმარტება. ეს უკანასკნელი მოყვანილობით და დამუშავების მიხედვით მინიატურული გამეორებაა დაბლა გომში აღმოჩენილი ღორის თავის სკულპტურისა<sup>57</sup>. ხოლო ორივე შეიძლება უფრო ადრეული ტრადიციებისა, ნაოხვამუს ზედა ფენაში რომაა დადასტურებული<sup>58</sup>. ამრიგად, III ფენაში, თითქოს თავს იჩენს რაღაც ნიშნები, რომლებიც ამჟღავნებენ ლტოლვას ადრეული ტრადიციებისაკენ. მაგრამ როგორც ზემოთ იყო ნახევენები, ასეთი და კიდევ უფრო მეტყველი ელემენტები II ფენაშიც გვაქვს დადასტურებული (ტაბ. XXXI, 05S1—74—153; ტაბ. XXXIII, 05S1—75—246 და ტაბ. XXXIV). ანალოგიური ვითარებაა იმპორტული ნაწარმის მხრივაც. არქაული ბერძნული კერამიკის ისეთი ადრეული ნიმუშები, როგორცაა წითელი ზოლებით შემკული ამფორა, როდოსულ-იონური ვარდულებიანი კილიკი (ტაბ. XLIV, ფ. 62—924)<sup>59</sup>, კორინთულად წოდებული კრაქები, დამოწმებული იყო III ფენაში, მაგრამ, იგივე მასალა და კიდევ უფრო დიდი ოდენობით და მრავალფეროვნებით (ტაბ. XLIV—XLV), II ფენის მონაპოვარს შეადგენს. მეორე ფენაში, როგორც დავინახეთ, ერთი სამოსახლოსათვის საკმაო ოდენობითაა წარმოდგენილი მცირე ფიგურული სტილის შეფიგურული ჭურჭელი, რომელიც III ფენაში ჯერჯერობით არ ჩანს. ეს სურათი შეიძლება საბოლოო არ იყოს, რადგან III ფენა მხოლოდ ალაგ-ალაგაა მოსინჯული. ამიტომ ახლა იმის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი კერამიკის მხრივ სიმეგრის ნამოსახლარის უძველეს, მესამე და მეორე ფენაში ზოგადად იდენტური მდგომარეობა გვაქვს.

ოდნავ განსხვავებული ვითარებაა I ფენაში. აქ ვეღარ ვხვდებით იონური კერამიკის როდოსულ-იონურ ჯგუფს, არ ჩანს არც შეფიგურული თასები. პირველი ფენის იმპორტული სუფრის ჭურჭელი, ძირითადად, განისაზღვრება შველაკიანი თასებით და სადა იონური კერამიკით, რომელიც ძვ. წ. V ს. დასაწყისშიცაა გასაქვალში. ამავე ფენაში საგრძნობლად მომრავლდა ჰიქსისებრ ძირიანი ამფორები.

ამრიგად, ცალკეულ ფენებში აღმოჩენილი მასალის ურთიერთშეჯერებისა და სტრატოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი, ე. ი. უძველესი სამოსახლო სიმეგრეზე (III ფენა, № 4 ნაგებობა) თავის არსებობას იწყებს ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრის დასასრულს, ორჯერ ახლდება (II ფენის ორი სამშენებლო დონე: № 2 და № 3 ნაგებობები): იმავე VI ს. უკანასკნელ მეოთხედში და კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, V ს-ში. V ს. მეორე ნახევრის დასაწყისში სიმეგრეზე, როგორც ჩანს, სიცოცხლე წყდება.

იმპორტული მასალის შეჯერება სხვა დასკვნების გამოტანის შესაძლებლო-

<sup>57</sup> Б. А. К у ф т и л, დასახ. ნაშრომი, ტ. I, ტაბ. XVII, XXII-კ ტ. II, გვ. 108, ტაბ. № 39.

<sup>58</sup> Б. А. К у ф т и л, დასახ. ნაშრომი, გვ. 186, სურ. 48.

<sup>59</sup> საველე წიგნი აღნიშნულია, რომ ეს კილიკი აღმოჩნდა 1962 წ. I სექტორში G-18 კვადრატში შვე ფენაში. მაშასადამე, ეს ნიუთი აღმოჩნდა პირველი საველე კამპანიის დროს, როცა ძველის სტრატოგრაფია დაზუსტებული არ იყო. როგორც? შემდგომმა კვლევებებმა დაგვარწმუნა ბორცვის ამ ნაწილში მხოლოდ ერთი ფენაა, რომელსე ბორცვის სხვა ნაწილების მესამე ფენას შეესაბამება.



ბასაც იძლევა. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი წლების აღმოჩენათა წყალობით სიმაგრის ნამოსახლარზე ატიკური ნაწარმი სულ უფრო მეტი და მეტი გამოჩნდა და რამდენადმე წააცილა კიდევ იონურ პროდუქციას, ყოველ შემთხვევაში იმდენივე მანცაა. ვგულისხმობ, ცხადია სუფრის ჭურჭელს. ეს არ არის შემთხვევითი და მიუთითებს იმაზე, რომ VI ს. დასასრულისათვის ფასისში იონის ნაწარმთან ერთად გზას იკვლევს ატიკური პროდუქცია. თავის დროზე ამას ხსნიდნენ იმით, რომ ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრისათვის და V ს. პირველ ნახევარში ათენმა შესძლო მილეტის მეტოქე გამხდარიყო პონტოსთან ვაჭრობაში. ფიქრობენ, რომ ეს შედეგად მოჰყვა პისისტრატეს მიერ სიგეიონის აღებას, რამაც ათენს გზა გაუხსნა შავიზღვისპირეთის კოლონიებისაკენ. მაგრამ ათენის მეტოქეობა ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ტირანიის დამხობის შემდეგ სიგეიონის დაკარგვასთან ერთად, ათენი ჰკარგავს ინიციატივას შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაშიც. ამას ხსნიან საინტერესო დაკვირვებით იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კოლონიებში მკაცრი სტილის წითელფიგურული ჭურჭელი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხოლო შავფიგურული ჭურჭელი გაცილებით მეტია<sup>60</sup>. მსგავსი ვითარებაა კოლხეთშიც, მაგრამ ამ ეტაპზეც ძნელია იმის მტკიცება, ატიკური ნაწარმი კოლხეთთან ათენის უშუალო ურთიერთობის შედეგია თუ არა. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ფასისში ატიკური ნაწარმიც იონელებს შემოეტანათ.

ასეა თუ ისე, იონურ ჭურჭელთან ერთად ატიკური პარადული ჭურჭლის შემოტანის თვით ფაქტია ღირსშესანიშნავი, შესაძლოა უფრო ნიშანდობლივაც იმ შემთხვევაში თუ ატიკური ნაწარმის შემომტანიც იონელები იყვნენ. საქმე ისაა, რომ ატიკურ პარადულ ჭურჭელს ფასისში, ისევე როგორც შავი ზღვისპირეთის სხვა განვითარებულ საქალაქო ცენტრებში, თავისი მომხმარებელი ჰყავდა, ცხადია, საზოგადოების იმ წრიდან, ვინც იონურ ჭურჭელს ხმარობდა და ბერძენი ვაჭრები იძულებული იყვნენ ამისათვის ანგარიში გაეწიათ. და თუ უკანასკნელნი იონელები იყვნენ ეს მით უმეტეს საგულისხმოდ გარემოებაა, რადგან ანტიკური ნაწარმის შემოტანით ისინი, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ პერიოდში, უსპობდნენ ათენელებს შავიზღვისპირეთის ცენტრებთან უშუალო კონტაქტის დამყარების შესაძლებლობას.

მაგრამ სიმაგრის ნამოსახლარზე ატიკური პარადული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასისის ისტორიის, თვით ძეგლის შინაარსის გაგებისა და სიმაგრის ბინადართა სოციალური სახის განსნის თვალსაზრისით. განა შემთხვევითია, რომ ატიკური შავფიგურული (იშვიათად) და შავლაკიანი თასები (ისიც თითო ან ორ-ორი ცალი) დასაველეთ საქართველოში მხოლოდ მდიდრულ სამარხებში გვხვდება, მაგალითად, ითხვისში<sup>61</sup>, ვანში დედატოსისა და წარჩინებული კოლხი ქალის ცნობილ (შესაბამისად IX და XI) სამარხებში<sup>62</sup> და ა. შ., მაშინ როდესაც სიმაგრის № 2 და № 3 ნაგებობების ფარ-

<sup>60</sup> Э. Штерн, Значение керамических находок на юге России для выяснения культурной истории черноморской колонизации, Одесса, 1899. (ვიზოწმებ რ. შმიდტის ნაშრომის მიხედვით).

<sup>61</sup> ი. გაგოშიძე, აღრუანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, ტაბ. XVI.

<sup>62</sup> ვანი I, გვ. 208, 213, სურ. 177 და 213.

გლებში მხოლოდ შავფიგურული თასების რაოდენობა ჯერჯერობით ერთ ათეულს უნდა აღემატებოდეს. აღარას ვამბობ შავლაციან ჭურჭელზე და იონურ მოხატულ თასებზე.

უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი სუფრის ჭურჭელი ასახავს არა მარტო იმას, რომ მისი მომხმარებელი, ამ შემთხვევაში სიმაგრის ბინადარი, შეძლებული ხალხია, არამედ, შესაძლოა, სიმაგრის ბინადართა სოციალურ მდგომარეობასაც. საქმე ისაა, რომ მიუხედავად სიმაგრის ნამოსახლარის ღრმად კოლხური ხასიათისა, მას მაინც გადაჰყავს ურბანიზებული სამოსახლოს იერი. იმპორტული სუფრის ჭურჭელი აშკარად ქალაქის მცხოვრებთა ინვენტარია. უნდა ვიფიქროთ, რომ სიმაგრის ნამოსახლარი შეძლებული ფასისეული მოქალაქის ქალაქგარეთ არსებული კარმიდამოა. იქნებ ამაზე მეტყველებდეს ნამოსახლარის შედარებით მცირე ფორმები, მხოლოდ ხეხილის მოვლასთან დაკავშირებული და ისიც მცირერიცხოვანი სასოფლო სამეურნეო იარაღი (ერთი-ორი სასახლაეი და ერთი თოხი) და ნამოსახლარის იზოლირებული მდებარეობა: ახლომახლო სინქრონული დასახლების კვალი ჯერჯერობით არ ჩანს.

სიმაგრის ბინადარი რომ სოციალურად შეძლებულ და დაწინაურებულ წრეს ეკუთვნოდნენ, ამაზე იმპორტული პარადული ჭურჭლის გარდა ნათლად მეტყველებს უკვე განხილული სამკაული, სახელდობრ მძივები: მაგალითად, თვლებიანი მინის მძივის ტიპის მძივები საქართველოში (რაქა) შედარებით მდიდრულ კომპლექსებში გვხვდება, და რა თქმა უნდა, ოქროს საკიდი (სურ. 3,4). საქმე ის არ არის, რომ ეს ნივთი ფილიგრანული ტექნიკითაა დამზადებული და, მაშასადამე, მიუთითებს უკვე ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებისათვის კოლხეთში საოქრომკედლო ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების არსებობაზე. აქ მთავარია იმ საზოგადოების კლასობრივი არსი, რომლისთვისაც მზადდებოდა ესოდენ რთული ნივთი: მრავალი ათასი ცვარას დამზადება, შემდეგ დარჩილვა, ცვარათი რთული სახეების გამოყვანა შედარებით მცირე სიბრტყეებზე; აქ მხოლოდ ტექნიკა და ხელოვნება არ შეიძლება იპყრობდეს ყურადღებას. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი გარემოებაა, მაგრამ აქ მთავარია მაინც საზოგადოების იმ ფენათა სოციალური ტრადიციები, ასეთი ძვირფასი ნივთების მომხმარებელი რომ არის, ნივთებისა, რომლებშიც ესოდენ დიდი შრომა განივთებული.

ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ სიმაგრის სამოსახლო, რომელიც უშუალოდ ზედ ეკვროდა ფასისს აღმოსავლეთიდან, თავისი ხასიათითაც ფასისთან იყო დაკავშირებული. ეს არის ამ ძეგლის მნიშვნელობის კიდევ ერთი ასპექტი. საქმე ისაა, რომ ამ სამოსახლოს ყოფის, ინვენტარის, საცხოვრებელი ნაგებობების თვისებებზე, იმპორტული და ადგილობრივი ნაწარმის შეფარდება და სხვა მოვლენები სრულიად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ფასისის ქვეყანაზე საერთოდ და თვით ქალაქის ხასიათზედაც. ამას დღეს, როცა ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი ძველი ფასისი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქალაქის ქვეყნის გამოკვლევა, ცნობილი ბერძნული ქალაქების ქვეყნებთან მისი შედარებითი შესწავლა, ეს არის ერთადერთი სწორი გზა ფასისის ტიპოლოგიური არსის გასახსნელად. ამ თვალსაზრისით სიმაგრის ნამოსახლარის მნიშვნელობა სრულიად ნათელია.

ა. ძველი ფასისის თანადროული არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე

(ტაბ. XXVII, XXX, XXXI, XXXIV—XXXV, XI, XLVI—L)

სიმაგრის ნამოსახლარის გარშემო, რიონის მარცხენა ტერასაზე ყოველ წელს მიმდინარეობდა დაზვერვები ამ ნამოსახლარის შესაბამისი ძეგლების გამოვლენის მიზნით. ამ მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია რიონის მარცხენა ტერასაზე მდინარის გასწვრივ ჩამწკრივებულმა სახლების საკარმიდამო ნაკვეთებში მიმობნეულმა თიხის ბათქაშებმა, რომლებიც ალაგ-ალაგ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამოირჩეოდნენ. ერთ-ერთი ასეთი ადგილის გათხრისას აღმოჩნდა დიდი ცეცხლის შედეგად ერთმანეთს შედუღებული აგურად ქცეული თიხის ბათქაშები, რომლებსაც გარკვეული ფართობი ეკავათ. ასეთი ბათქაშებიანი მოედანი რამდენიმე აღმოჩნდა (თხრილები № 20, 21, 33, 36, 38, 39, 40 იხ. სიტუაციური გეგმა, აგრეთვე, ტაბ. XXII<sub>3</sub>). იმთავითვე ნათელი გახდა: 1) რომ საქმე გვაქვს ნასახლარებთან ამ სიტყვის უშუალო და არა ტერმინოლოგიური მნიშვნელობით და, 2) რომ ყველა ეს სახლი რაღაც ერთდროულ მოვლენასთან დაკავშირებული ხანძრის შედეგადაა დაღუპული. ეს წინასწარული შთაბეჭდილებები შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა. ამ კვლევა-ძიების შედეგად დაირღვა ის წარმოდგენაც, რომ ბათქაშით ილეხებოდა ფაცხური ტიპის ნაგებობები და სადაც კი ბათქაში იყო ფაცხების კვალი იგულისხმებოდა. მართლაც, № 38, 40 და სხვა თხრილებში ბათქაშების ქვეშ აღმოჩნდა ნაგებობის დანახშირებული ძელები, რომლებიც გვევარაუდებინებენ, რომ ბათქაშით შელესილი ნაგებობებიც ძელური ნაგებობები იყო. ამ მხრივ საინტერესოა № 40 თხრილში დადასტურებული კედლის დანახშირებული ძელები კუთხეებთან მათ ისეთივე შეერთება აქვთ, როგორც სიმაგრის ნამოსახლართა ნაგებობებს.

ყველა აღნიშნული ნამოსახლარი ერთფენიანი აღმოჩნდა. ისინი არ უნდა ასახავდნენ ძალიან ხანგრძლივ ცხოვრებას.

ბათქაშების ქვეშ და მათ შორის, გარდა ნაგებობათა დანახშირებულ ძელებისა, აღმოჩნდა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ინვენტარი, რომლის უდიდეს ნაწილს, როგორც მოსალოდნელი იყო. კერამიკა შეადგენს. აქაც, წარმოშობის მიხედვით კერამიკის ორი ჯგუფია დამოწმებული: ადგილობრივი და ბერძნული ნაწარმი.

ადგილობრივი კერამიკა წარმოდგენილია სამზარეულო და სუფრის ჭურჭლით. დატულობა კერამიკული ჭურჭლისა ამ ნამოსახლარზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე სიმაგრეზე, რაც ადასტურებს ამ ნასახლარების შედარებით ხანმოკლე არსებობისა და ერთდროული დაღუპვის ვარაუდს.

ქოთნები და კოჭბები ამ ნასახლარებისა (ტაბ. XXVII) საეყბოთ იმეორებს სიმაგრის ნამოსახლარის შესაბამის ჭურჭელს, თუმც იძლევა მანამდე უცნობ ეგზემპლარებსაც: ერთი მათგანი კონუსური ფორმის შექუქების სარტყელით შემკული ფეხგამოყვანილი ქოთანია (ტაბ. XXVII, 05S38—74—191) და მეორე, დიდი ზომითა და რქისებრშეწერილებიანი ყურით იქცევა ყუ-

რადლებას (ტაბ. XXVII, 05S38--75--167). ანალოგიური ყური (ტაბ. XXXIV, 05S38--74--297) დამოუკიდებლადაცაა ნაპოვნი. ისინი იმეორებენ სიმაგრის ასეთივე ყურის ფორმებს (შდრ. ტაბ. XXXIV, 05S1--74--159) და აქაც, ისევე როგორც სიმაგრეზე, იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ და უფრო ძველი ტრადიციების გამოძახილად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული ქოთნები თავისი ორიგინალური ფორმით ამდიდრებენ შუა-კოლხური I პერიოდის სამხარეულო კერამიკის კოლექციას.

იგივე უნდა ითქვას სასმისების შესახებ. რიონის მარცხენა ტერასის ნასახლარებზე დადასტურებული სასმისები სავსებით იმეორებენ სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭელს ამის ნიმუშად გამოდგებოდა შედარებით იშვიათი ფორმა ჭიქისებრი სასმისებისა, რომელთა სავსებით იდენტური ცალები გვაქვს სიმაგრეზეც და ტერასის ერთ-ერთ ნასახლარზეც (შდრ. ტაბ. XXXI 05S1--74--350 და 05S38--74--293), მაგრამ ტერასის ნამოსახლარი მაინც იძლევა ერთ ორიგინალურ ფორმას ყოველ შემთხვევაში, ყურების დამუშავების თვალსაზრისით (იხ. ტაბ. XXXI, 05S38--74--153).

ყ უ რ მ ი ლ ი ა ნ ი დ ო ქ ე ბ ი (შდრ. 05 38--74--154) სავსებით იდენტურია სიმაგრის ეგზემპლარებისა (ტაბ. XXXV).

იგივე უნდა ითქვას ქ რ ა ქ ე ბ ს ა (შდრ. ტაბ. XX XVI, 0538--74--210 და 05 1--74--299) და ს ა რ ქ ვ ე ლ ე ბ ზ ე ე. ტერასის მასალა სარქველების შემკულობის რაღაც სახესხვაობას იძლევა (მაგალითად, ტაბ. XX XVI--74--134), მაგრამ ფორმები პრინციპულად იდენტურია (ტაბ. XX XVI).

ყოფით თავისებურებათა დამთხვევების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს კვირისტაების ფორმათა იგივეობაც.

რამდენადმე განსხვავებულია მ ძ ი ვ ე ბ ი ს კოლექცია სიმაგრის ნამოსახლარსა და ტერასის ნამოსახლარზე. აქ გვაქვს თვლიანი მომცრო პასტის მძივები. სფერული მძივები სარდიონისა და ქალცედონისა, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. VI--IV საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი.

იმპორტული კერამიკა ტერასის სახლებისა წარმომავლობის თვალსაზრისით უფრო ერთგვაროვანია ვიდრე სიმაგრის ნასახლარისა. აქ ვეღარ ვხვდებით იონურ არქაულ მოხატულ სუფრის ჭურჭელს. სუფრის ჭურჭელი, ძირითადად, შავლაკიანი კლიკებითა და სკიფოსებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XLVI<sub>1-2</sub>) ეს გარემოება გარკვეულ ისტორიულ მოვლენას უნდა ასახავდეს და გარდა ამისა დამთარხლებელი მნიშვნელობაც აქვს.

რაც შეეხება ანტიკურ ტარას, რიონის ტერასის ნასახლარზე სხვაზე მეტად გავრცელებულია ჭიქისებრიძირიანი ამფორები (ტაბ. XLVII, 05S38 75--161; 05S38--127; 05S36--73--195). გვაქვს ამფორების პირები და ძირები, რომლებიც პირქობის დამუშავებით, ყურებით, ძირების საერთო ფორმისა და ქუსლის მიხედვით (ტაბ. XLVII), აგრეთვე კეციით ძვ. წ. V ს. თასოსურ და თასოსური წრის ამფორებს მოგვაგონებენ. ცალკეა აღსანიშნავი ორლულიანი ყურები (ტაბ. XLVI<sub>4</sub>). რომლებიც როგორც ჩანს, ასევე ამფორებისა უნდა იყოს. ამ ჭურჭლის ყელი ღია ყავისფერი ან მოვარდისფერია.

ამგვარად, იმის გამო, რომ რიონის მარცხენა ტერასის ნამოსახლარზე ვერ ვხვდებით არქაულ იონურ კერამიკას, სიმაგრის ნამოსახლარისათვის დამახასიათებელ აღრეულ ტარას, მეორე მხრივ იმის გამო, რომ აქ წარმოდგენილი ჭი-

ქისებრძირიანი ამფორები სპეციფიკურია ძვ. წ. V საუკუნისათვის, ეს ნასახ-  
ლარებიც ჭრჭერობით ძვ. წ. V ს. უნდა მივაკუთვნოთ, როგორც ჩანს მის მე-  
ორე ნახევარს. იმპორტული მასალის შემდგომმა დეტალურმა შესწავლამ ეს  
თარიღი შესაძლოა კიდევ უფრო დააზუსტოს.

რიონის მარცხენა ტერასაზე მიკვლეულ ნამოსახლარებს უდიდესი მნიშვნე-  
ლობა აქვს ფასისის ისტორიის შესასწავლად. აქ ერთ და ორ ნასახლართან კ  
ალარ გვაქვს საქმე, არამედ მთელ დასახლებასთან, რომელიც თავისი მდებარე-  
ობით (ის დღევანდელ ზღვის სანაპირო ზოლს 10—12 კმ-ით არის დაშორებუ-  
ლი), ყოფის ურბანიზებული ელფერი, რაც მასალის თავისებურებაშია გამო-  
ხატული, მკიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფასისთან, შესაძლოა  
მისი გარეუბნის ნაწილსაც შეადგენდა. ამ დასახლების შემდგომი დეტალური  
შესწავლა ფასისის ისტორიის კვლევისათვის პერსპექტიული ჩანს.

რიონის მარცხენა ტერასის V ს. დასახლების ზოგადად თანადროული ნამო-  
სახლარების კვალი რამდენიმე ადგილასაა დადასტურებული რიონის ქვემო  
წელზე. ამ ძეგლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბაჟოს უბანს  
არა მარტო სიმაგრესთან და რიონის მარცხენა ტერასის ძვ. წ. V ს. დასახლებას-  
თან მისი ტერიტორიული და შინაარსობრივი კავშირისა და მრავალმხრივ საინ-  
ტერესო მასალის გამო. არამედ იმიტომ, რომ აქ შეიძლება ნათლად გავადევნოთ  
თვალი ცხოვრების ცალკეული ეტაპების თანმიმდევრობას გვიანბრინჯაოს ხანის  
ადრეული ეტაპიდან ძვ. წ. V საუკუნის დასასრულამდე. როგორც მოსალოდნე-  
ლი იყო, საბაჟოს უბანი ინტენსიურად უნდა ყოფილიყო დასახლებული ფე-  
ოდალურ ხანაშიც, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საბაჟოს უბანზე ძველი ფასისის თანადროული დასახლებების ნაშთები  
მიკვლეულაქ ქვემო ჰალადიდის მცხოვრებლების ი. მაშავას, თ. ბერაიასა და  
ნ. კორტის საკარმიდამო ნაკვეთებზე. უკანასკნელ ნაკვეთზე საერთოდ და მისი  
მდებარეობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება პირველი ორი  
ნაკვეთის მდებარეობას, ისინი უშუალოდ ემიჯნებიან ზურგას სამხრეთ-და-  
სავლეთიდან.

აღნიშნულ ნაკვეთებზე ფიქსირებულია კულტურული ფენები მრავალ-  
რიცხოვანი არქეოლოგიური მასალით, რომელიც არსებითად კერამიკული ჭურ-  
ჭლითაა წარმოდგენილი. მართალია, აქ არ აღმოჩენილა ნაგებობის ნაშთები,  
მაგრამ თიხის ჭურჭელთან იმდენი ბათქაში იქნა მოპოვებული კედლების ანა-  
ბეჭდებით, რომ ნათელია — აქაც იმ ტიპის დასახლებასთან გვაქვს საქმე, რო-  
გორთანაც რიონის მარცხენა ტერასაზე გვქონდა.

თიხის ჭურჭელი საბაჟოს ნამოსახლარებიდან ტიპიურია ამ დროის ძეგლები-  
სათვის. ადგილობრივი კერამიკა, ისევე, როგორც სიმაგრეზე და რიონის მარ-  
ცხენა ტერესაზე წარმოდგენილია სამურნეო-საოჯახო და სუფრის ჭურჭ-  
ლით, რომელიც სავსებით იმეორებს სიმაგრეზე და რიონის მარცხენა ტერასა-  
ზე დადასტურებულ ფორმებს (იხ. ტაბ. XLVIII და XLIX).

რაც შეეხება საბაჟოს უბნის იმპორტს აქ, ისევე როგორც რიონის მარცხე-  
ნა ტერასის დასახლებაზე, ვეღარ ვხვდებით იონურ არქაულ მოხატულ კერამი-  
კას, ადრეულ ატიკურ შავფიგურულ ჭურჭელს. არ არის არც ტარის ადრეული  
ეგზემპლარები — წითელზოლიანი ამფორები, ქიოსის, ლესბოსის, „ფსევდო-  
სამოსური“ ამფორები და სხვ. აქ მოპოვებული ჭურჭელი, როგორც სუფრისა,  
რომელიც უპირატესად წარმოდგენილია ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრის შავლაკიანი

სალიონე ჯამებით<sup>63</sup>, ისე ტარა გვიან ხანას განეკუთვნება და როგორც ჩანს, გარკვეულ ცვლილებასაც ასახავს კოლხეთისა და ბერძნულა სამყაროს ურთიერთობაში.

საბაჟოს უბანზე ყურადღებას იქცევენ ამფორის ძირები (ტაბ. L—ფ.—63 — 126, 129, 130, 131, 132), რომლებსაც მომრგვალებული ქუსლი აქვთ გარედან ღრმულით, შუაში კოპისებრი წამონაზარდებით. აღნიშნული ამფორის ძირები თავისი პროფილებით მოგვაგონებენ ძვ. წ. V საუკუნის პროტოთასოსის, თასოსისა და თასოსური წრის ტიპის ამფორებს<sup>64</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს ლეკითოსი (ტაბ. L, ფ. — 63—142). რომელიც თავისი ყელით აგრეთვე ძვ. წ. V საუკუნის თასოსური ნაწარმს მიეკუთვნება<sup>65</sup>. ასეთივე თიხიდანაა დამზადებული ფრინველის სხეულის ფორმის ნივთიც (ტაბ. L, ფ. 63—15).

ამრიგად, თუ რიონის მარცხენა ტერასისა და საბაჟოს უბნის V ს. ნამოსახლარების მონაპოვარს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეს მონაპოვარი ასახავს გარკვეულ ისტორიულ ძვრებს, რომელთაც ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახეარში ჰქონდათ ადგილი ეგეოსურ სამყაროში. აღნიშნულ დასახლებებზე აღმოჩენილი მასალა ნათელყოფს, რომ იმპორტში ათენის პროდუქციას აშკარა უპირატესობა აქვს. როგორც ფიქრობენ, თვით თასოსის ნაწარმიც ამ დროს ათენს შემოჰქონდა<sup>66</sup>. ეს გარემოება კარგად ეთანხმება იმ ვითარებას, რომელიც ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირში სუფევდა. ეს ის დროა, როცა ათენსა და ატიკა-დელოსის კავშირის სხვა წევრებს შორის სახელდობრ კი ათენსა და თასოსს შორის მიმდინარეობს ბრძოლა შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში უპირატესობის მოსაპოვებლად, როდესაც ათენმა ფართოდ გაშალა საკოლონიზაციო მოძრაობა, როცა პერიკლე საგანგებო ლაშქრობასაც კი აწყობს პონტოში ათენის პოზიციების გასამაგრებლად. ყველა ეს დიდი მოვლენა როგორცაა უნდა არეკლილიყო და აირეკლა კიდევ შორეული ფასისის ქვეყანაში შემოტანილ მოხმარების საგნებში, რომლებიც ასახავდნენ თავისი დროის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

## ბ. ელინისტური ხანის ფასისის თანადროული არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე

(ტაბ. L.I

ელინისტური ხანის ფენები რიონის ქვემო წელზე რამდენიმე ადგილზეა მიკვლეული. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის № 26 თხრილი (იხ. სურ. 1) და ამ თხრილში მოპოვებული მასალა. ეს თხრილი გვაეველეთ სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით დაახლოებით ერთი კმ-ს მანძილზე ტყეში, სატყეო მეურნეობის მიერ გაყვანილი გზის

<sup>63</sup> შდრ. ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>64</sup> შდრ. Н. В. Зеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 79—83; ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

<sup>65</sup> იხ. ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85. ავტორმა მიაქცია ყურადღება, რომ ასეთივე ლეკითოსის პირი და ყელი აღმოჩენილია დაბლაგომში, ვანში, ბრილში.

<sup>66</sup> ო. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 85.

პირას. ამ ერთმა საცდელმა თხრილმა მრავალმხრივ საინტერესო მასალა მოგვცა, ადგილობრივიცა და შემოტანილიც.

საგულისხმოა, რომ ყველა ის ცვლილება, რომელიც შენიშნულია კოლხური მასალის განვითარებაში და რომლის საფუძველზე გამოიყო შუაკოლხური პერიოდის მეორე ეტაპი<sup>87</sup>, სრულადაა ასახული № 26 თხრილის მონაპოვარში. მაგალითად, შუაკოლხური პერიოდის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ქურქელი, კოლხური ქვეყრი № 26 თხრილშიც გვხვდებოდა და, თითქოს, მას აქაც შენარჩუნებული ჰქონდა ადრეული ქვეყრების ერთ-ერთი სახეობის თავისებურება: საერთო პაბიტუსი. შემკულობა (ზედაპირი დაყოფილია გლუვი ქედებით, ხოლო ამ ქედებს შორის მოქტეული სივრცეები შევსებულია ერთმანეთზე მიჯრილი, წმინდად დატანილი ღარ-ქედებით, რაც ერთ-ერთი ტიპური სამკაულია კოლხური ქვეყრისა). თითქოს ყველაფერი ძველებურადაა, მაგრამ № 26 თხრილის ქვეყრებს თუ ზედაპირი წინანდებურადაა შავი აქვთ, სარჩული მოვარდისფრო ან ავურისფერი უხვობათ. ის იმდენად საჩვიფოკური ნიშანი გახდა, რომ ამგვარი ქვეყრების თანხლება კოლხურ მასალაში უკვე იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს შუაკოლხური პერიოდის მეორე ეტაპთან, ე. ი. ძვ. წ. IV ს. შუა ხანების შემდგომ დროსთან.

№ 26 თხრილში აღნიშნული სახეობის კოლხური ქვეყრების ვარდისფერი ან ავურისფერი ეგზემპლარებიც გვაქვს (შდრ. კლხ. 72, 270, 293. 321 და ა. შ.). ესეც ამ ხანის თავისებურებაა, სრულიად უცხო შუაკოლხური პერიოდის პირველი ეტაპისათვის. მოვარდისფრო კეცი ამ დროს სხვა ქურქელიც, სახელობრ, სასმისებიც გამოირჩევა.

მეორე არსებითი ხასიათის თავისებურება — იმპორტული ნაწარმის ფორმათა დანერგვა ადგილობრივ წარმოებაში, რომელიც შუაკოლხური პერიოდის მეორე ეტაპს ახასიათებს, თავს იჩენს № 26 თხრილის მასალაში. აქ აღმოჩნდა რამდენიმე ეგზემპლარი კოლხური, ე. წ. „ყავისფერკეციანი ამფორები-სა“ (ტაბ. LI, კლხ 72—265—267). ამ ამფორებთან ერთად დამოწმებულია სხვა ამფორებიც (ტაბ. LI, კლხ. 72—341—342), მათ შორის სინოპური ამფორის ძირი (ტაბ. LI, კლხ. 72—330) და ყურები (ტაბ. LI, კლხ. 72—275 და 331). სინოპური ამფორის ძირი იმეორებს იმ ეგზემპლარების ძირებს, რომლებიც გავრცელებული იყო ძვ. წ. III—II ს-ში<sup>88</sup>. ეს სინოპური ამფორის ძირი ათარილებს კიდევ № 26 თხრილის მთელ მონაპოვარს.

თიხის მიხედვით (ბაცი იასამნისფერი თიხა, ქარსისა და პიროქსენის მინარეგვებითა სინოპურ ნაწარმს უნდა ეკუთვნოდეს კლხ. 72—280. (ტაბ. LI.) სინოპურ თიხას მოგვაგონებს კეცი ცალკეული ქურქლის ნატეხებისა, რომლებიც ისე თხელია, რომ არ შეიძლება ამფორის კედლის ნატეხებს წარმოადგენდეს. თუ ყველა ეს ქურქელი მართლაც სინოპური ნაწარმია, მაშინ ნათელია, რომ სინოპიდან ფასისში მარტო ტარა არ შემოქონდათ.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ № 26 თხრილში განხილულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ღარიანი კრამიტის ნატეხებიც (კლხ 72—295; 299).

ამრიგად, № 26 თხრილის მონაპოვარმა, ერთი მხრივ შეავსო ქრონოლოგიური ხარვეზი რიონის ქვემო წელის არქეოლოგიურ ძეგლებში, ხოლო მეორე მხრივ, დაგვიდასტურა ძვ. წ. III—II ს. დასახლება უშუალოდ ფასისის სანა-

<sup>87</sup> თ. შიქელაძე, ძიებანი..., გვ. 66 შმდ.

<sup>88</sup> И. В. Зеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 90, ტაბ. XIII<sub>29</sub>.

ხეებში, რომელსაც ზედაპირული დაკვირვების საფუძველზე საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს.

ეს დასახლება არ არის ელინისტური ხანის ერთადერთი დასახლება რიონის ქვემო წელზე. სოფელ ქვემო ჭალადიღში ჯერ კიდევ 1963 წელს მივაკვლიეთ ნამოსახლარის კვალს, ეგრეთ წოდებულ თხინას ტყეში. ეს ტყე მდებარეობს საბაჟოს უბნიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით, რკინიგზის გადაღმა, ჩხარის დასახლების პირდაპირ. ტყე წამოყრილია ძალიან მძიმედ დასაძლევ კაობში, სადაც რამდენიმე მაღალი მშრალი მოედანია. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოედნის შემოწმებამ მოგვცა საინტერესო მასალა. განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა № 26 თხრილის ქვევრების სრულიად იდენტური კოლხური ქვევრები და ისეთივე სინოპური ამფორის ძირი (ტაბ. L, ფ—63—143), როგორც № 26 თხრილში. ამ ორი ძეგლის მასალის თანხვედრის ასეთი ფაქტი ძალიან საინტერესოა.

ცხადია, რომ საქმე გვაქვს სინქრონულ ძეგლებთან რიონის მარცხენა და მარჯვენა ტერასებზე და, რომ ელინისტურ ხანაში ფასისის მისადგომები მდინარის ორივე სანაპიროზე იყო დასახლებული.

### 5. შომღალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე

(ტაბ. XIV, XV და LII)

ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე რამდენიმე ადგილზე იყო მიკვლეული. ამათგან უძველესი ფოთის საქალაქო სასურველს ფართობზე აღმოჩნდა. ამ ადგილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თიხის ჭურჭელიცა და სამშენებლო კერამიკაც, რომელსაც აქ მივაკვლიეთ, მოტიანი უნდა იყოს სხვა ადგილიდან. საქმე ისაა, რომ აღნიშნული მასალის აღმოჩენის ადგილის გარშემო, მიუხედავად არაერთგზისი შემოწმებისა, კულტურული ფენების არსებობის დადგენა ვერ მოხერხდა. მაგრამ აქაური მონაპოვარი მხიცი მნიშვნელოვანია, იგი დროის მიხედვით კარგად ეხმაურება ბიზანტიურ წერილობით წყაროებში გასუქებულ ფასისს.

აქ აღმოჩენილ სამშენებლო კერამიკასა და ჭურჭლის მრავალრიცხოვან ნატეხებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ამფორა. ერთი მათგანი დაცულია მთლიანად (ტაბ. LII), ხოლო მეორის მხოლოდ ძირია შემონახული. ეს ძირიცა და მთლიანად დაცული ამფორაც წელგამოყვანილ ამფორებს განეკუთვნება.

წელგამოყვანილი ამფორები, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო ახ. წ. IV ს-დან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიცა და კოლხეთშიც. ისინი ფართოდ გამოიყენებოდნენ V—VI საუკუნეებშიც<sup>69</sup>. ნ. ხოშტარიამ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ ამფორების უდიდესი უმრავლესობა საქართველოში აღმოჩნდა<sup>70</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ამფორების დიდი ნაწილი აღმოჩე-

<sup>69</sup> В. Ф. Гайдукевич. Раскопки Мирмеския и Тиритаки... ВДИ, 1940, № 3—4; А. Л. Якобсон, Средневековые амфоры Северного Причерноморья. СА, XV, 1951, стр. 328—329; Н. В. Хоштарна, Археологическое исследование Уреки. МСЯ, I, 1955, გვ. 59—61.

<sup>70</sup> Н. В. Хоштарна, იქვე გვ. 60.



ნილია ზღვის სანაპიროზე --- ბალუშა. ურეკო, გრიგოლეთი, ფოთი, ბიჭვინთა, წებელდა. ეს ნიშანდობლივი გარემოებაა და მას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. რ. ფუთურიძეს აქვს ანგარიშგასაწივი მოსახრება იმის შესახებ. რომ წელგამოყვანილი ამფორები ყაუხფერტიხიანი კოლხური ამფორებიდან მომდინარეობენ<sup>71</sup>. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა ფორნალური კავშირი ამ ორი ჯგუფის ამფორებს შორის.

წელგამოყვანილი და ჰაბიტუსით მათთან ახლოს მდგომი ამფორები ჩრდილოეთ შეზღვისპირეთში ახ. წ. IV ს. ადრე არ გვხვდება. ტირიტიკის ცნობილი ნათის ამფორა, რომელთანაც ძალიან ახლოს დგას ფოთის ამფორა, ახ. წ. IV—V სს. თარიღდება<sup>72</sup>. ახ. წ. IV ს. თარიღდება აგრეთვე პანტიკაპონის ასეთივე ამფორა თანხლები მასალის მეშვეობით. როგორც ჩანს, ფოთის სანერგის ამფორაც ახ. წ. IV—V სს. უნდა ეკუთვნოდეს. საქართველოში აღმოჩენილ ამფორათაგან ჩვენი ამფორა იმეორებს ფოთის ამფორას, ისიც ასევე წელგამოყვანილია, მახვილძირიანი, სადაზედაპირიანი. ზედაპირის სისადავით ის განსხვავდება ურეკის ამფორისაგან, რომლებსაც გარშემო განსაკუთრებით ქვედა ნაწილში, რელიეფური სალტეები შემოსდევს.

ფასისის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით აღწერილ მასალას სრულიად გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან იგი აღმოჩენილია დღევანდელი ქალაქის ფარგლებში. გარდა ამისა, გარკვეულ მნიშვნელობა აქვს თვით მასალის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქალაქურ“ ხასიათს (აგური, კრამიტი) და რაც მთავარია, იმას, რომ ეს მასალა უკავშირდება იმ ფასისს, რომელსაც ასე ნიშანდობლივად აგვიწერს ახ. წ. VI ს. მწერალი აგათია სქოლასტიკოსი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაბოვარით აღინიშნა № 28 თხრილი, (იხ. სიტუაციური გეგმა), რომელიც კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დასდო სიმავრის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამასიოდე მეტრის მანძილზე. ზედ რიონის ნაპირას. აქ იყო ბორცვისებური შემადღება, რომლის ერთი ჩრდილოეთი ნაწილი რიონმა წაიღო. ამ შემადღებამ ჯერ კიდევ სამოციან წლებში მიიქცია ჩვენი ყურადღება და საცდელი თხრილების გავლებით მაშინვე შეგვიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ აქ საქმე გვქონდა სამაროვანთან, რომლის დიდი ნაწილი რიონმა წაიღო. ამიტომ სამარხეული კომპლექსების აღდგენა ჭირდა და მოკვალბულთა ჩონჩხებიც ფრაგმენტული იყო. აღმოჩნდა ერთი მთლიანი ჩონჩხი, მაგრამ სწორედ ეს სამარხი გამოდგა უინვენტარო.

1972 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ ბორცვს და გაავლო № 28 თხრილი. მასში აღმოჩნდა ისეთივე ჭურჭელი, როგორიც ადრე იყო აქ მოპოვებული, აგრეთვე ქვითა და აგურით ნაგები შენობის ნაშთები. მართალია, ამ ნაგებობის გეგმა არ იკითხება მაგრამ საერთო გარემოცვის მიხედვით საკულტო შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაგებობა, როგორც აღვნიშნეთ, ნაგებია ქვითა და აგურით კირის ხსნარზე. ქვა, ძირითადად, ნაგლეჯია, შიგადაშიგ შეიმჩნევა რიყის ქვის ჩანართები. უფრო მრავალფეროვანია აგური, რაც მის ნაირ დანიშნულებაზე მიუთითებს. აგური ორნაირია: დიდი და საშუალო ზომის. ზოგ აგურს ზედაპირზე წრიული ღარები აქვს, ზოგს—ტალღური, ხოლო უმრავლესობას კი — დიაგონალურად ურთიერთმკვეთი ღარები (ტაბ. XIV, კლხ. —72—518, 521, 526) ეს უკანასკნელი სრულიად კონკრეტულ

<sup>71</sup> ო. ლ. ო. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

<sup>72</sup> В. Ф. Гагдужевии. დასახ. ნაშრომი, გვ. 3'3.

ასოციაციებს იწვევს: ანალოგიურადაა დამუშავებული, მაგალითად, ბიჭვინთის ორპასილიან ეკლესიაში გამოყენებულ აგური, რომელიც როგორც ირკვევა, თაღების ამოსაყვანად მხადღებოდა საგანებოდ. ყოველ შემთხვევაში, ბიჭვინთის ორპასილიან ეკლესიაში აგური დიაგონალურად დაღარული ზედაპირით მხოლოდ ჩამოქცეულ თაღების ნანგრევებშია დადასტურებული. ამანე მეტყველებს ისიც, რომ ბიჭვინთის აგურები ერთი ბოლოდან მეორესაკენ თანდათან თხელდება და პროფლში სოლისებური ფორმა აქვთ<sup>73</sup>. ჩვენი ნაგებობის აგურების სისქე თანაბარია. რაც არ უნდა მიუთითებდეს იმაზე რომ ეს აგურები საგანგებოდ თაღისათვის მხადღებოდა. როგორც ჩანს მათი დაღარული ზედაპირი მჭიდროდ შეკავშირებისათვის იყო გამოიზნული. სამშენებლო კერამიკიდან აღსანიშნავია კრამიტიც. როგორც გვერდაკეცილი, ისე ღარისებური; მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოხნის ჭურჭელი. რომლის დიდი ნაწილი საესებათ მთელია ან თითქმის მთელი. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ აღნიშნული ჭურჭელი სამარხული ინვენტარის ნაწილია.

თიხის ჭურჭლის ხუთი ჯგუფია წარმოდგენილი: კინკილები, ცალყურა ხელაღები, კათხები, ორყურა ვაზისებრი ქილები და ჯამები.

პირველი ოთხი ჯგუფი ჭურჭლებისა დამზადებულია კარგად განლექილი, წმინდა თიხისაგან და ღია ფერის კეცი აქვთ. ეს კეცი რიგ ეგზემპლარზე ღია ყვითელი ან ჩაღის ფერისაა, რიგ ერთეულზე მოვარდისფრო და რიგზე — ლევა. ყველა ჭურჭელი თხელკედლიანია.

კინკილები სულ სამი ეგზემპლარი გვაქვს (კლბ 72—430; XIV კლბ 72—466, 467): სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი, უქუსლო, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით. ზოგ ეგზემპლარს ყურის მოპირდაპირე მხარეს მუცელზე სიმეტრიულად სამი კოპი აზის (ტაბ. XIV, კლბ 72—466).

ცალყურა ხელაღები (ტაბ. XIV, —72—460; ტაბ XV, კლბ—72 —469, 528). ერთი მათგანი ოვალურმუცლიანი მაღალი ეგზემპლარია (ტაბ. XV კლბ 72—528), რომელსაც სამტუჩა პირი აქვს. დანარჩენი ორი ცალი (ტაბ. XIV, კლბ —72—480 და ტაბ. XV, კლბ—72—469) შედარებით დაბალი ეგზემპლარებია, სფერულმუცლიანი და უფრო დიფერენცირებული ქუსლი აქვთ.

კათხები (ტაბ. XIV, კლ—72—496) ოვალურმუცლიანი ცალყურა ჭურჭელია კერცხისებური ფორმისა. ძირი ოდნავ დიფერენცირებული აქვს.

ორყურა ვაზისებური ქილა (ტაბ. XIV კლბ—72—481) ერთი ეგზემპლარია. მუცელგანიერი და პირფართო. პირი ოდნავ გამოყვანილია და ძირში შემოსდევს ტალღური ანდაზისა და შედარებით ზერელე ღარქედების სარტყელი. ყურები თხელია და ბრტყელგანივკვეთიანი, ზედა ნაწილში ქიმი აქვთ და უშუალოდ პირს უერთდებიან ზემოდან. ძირი ოდნავ აქვს დიფერენცირებული. ჭურჭელი თხელკედლიანია.

ჯამი ერთი ცალია წითლადაა გამომწვარი, ოდნავ პირმოყრილია და მცირედ დიფერენცირებული ძირი აქვს. გარედან მას რამდენიმე ნიშანი აქვს ამოკაწრული (ტაბ. XIV, კლბ —72—495), ერთი ნიშანი ქართულ ასომთავრულ დონს მოგვაგონებს.

თიხის ნაწარმიდან აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ნატეხი მოჭიქული ჭურჭლისა (კლბ—72—440), რომელიც მოხატული ყოფილა. ნატეხზე შემორჩენილია

<sup>73</sup> თ. შიქელაძე, ბიჭვინთის ორპასილიანი ეკლესია, მსკა, III, 1963, გვ. 127.

ყვეთელი, ალაგ-ალაგ ბაცი მოყავისფრო ფონი და ზედ ყავისფერი ზოლებით მესრულებული ანდაზის ნაწილი. ჭიქური ამ ჭურჭელს უშუალოდ კედლებზე ჰქონია დადებული. პირდაპირი პარალელი გამოქვეყნებულ მასალებს შორის მას თითქოს არ უჩანს.

რაც შეეხება ზემოთ აღწერილ ჭურჭელს, მას ეძებნება სრულიად გარკვეული ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს შუაფეოდალური ხანის კერამიკულ მასალაში. ანალოგიური კეციტ გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკული ნაწარმის ერთი ჯგუფი, რომელსაც „ფერმკრთალ ჭურჭელს“ უწოდებენ<sup>74</sup>. მეტიც, სრულიად აშკარაა ფორმალური ხასიათის დეტალების დამთხვევა. მაგალითად, ჩვენი ჭურჭლის მსგავსად რუსთავის ღია ფერის ჭურჭელი ყველა ძირბრტყელია. ქუსლი ზოგს მცირედ აქვს დიფერენცირებული, ზოგს — მეტად. ყველა მათგანი ან სფერულმუცლიანია ან ოვალურ-წაგრძელებული. ხშირია ჭურჭლის კოპებით შემკობის შემთხვევები. ამასთან, მსგავსად კოლხეთის ნაწარმისა, რუსთავის ღია ფერის ჭურჭელიც უპირატესად თხელკედლიანია და მცირე ზომისა (მათი სიმაღლე მერყეობს 10 სმ-დან 14 სმ-მდე)<sup>75</sup>. ეს საერთო თავისებურებანი მიუთითებენ აღნიშნული ჭურჭლების ორივე, აღმოსავლურ-ქართული და კოლხური სერიის ერთნაირ დანიშნულებაზე.

რიონის მარცხენა ტერასისა და რუსთავის ჭურჭელს შორის არის პარალელური ფორმებიც. პირთან შეერთების თავისებურებებით, ზომითაც კი განსაკუთრებული მსგავსება იგრძნობა ორყურა ვაზისებურ ქილასა (ტაბ. XIV, კლხ—72—481) და რუსთავის ერთ ჭურჭელს შორის, რომელსაც გამოძეგმელი „დეკორატიულ ქილას“ უწოდებს და რომლის ანალოგია არ ეგულება<sup>76</sup>.

რუსთავის ღია ფერის ჭურჭელი თანმხლები მასალის მეშვეობით და ამიერკავკასიური პარალელების მიხედვით XI—XIII სს. თარიღდება, თუმც კერამიკის ამ ჯგუფში არ გამოირჩევა შუაფეოდალურ ხანაზე უფრო ადრეულ ჭურჭელსაც<sup>77</sup>. იქნებ ამ უკანასკნელ შესაძლებლობაზე მეტყველებდეს ის გარემოება, რომ რიონისპირეთის ჭურჭელს უშუალო კავშირი აქვს ზემოხსენებულ ნაგებობასთან, რომელიც რიგი დეტალების მიხედვით იმეორებს ბიჭვინთის ორბსილიანი ეკლესიის თავისებურებებს. ბიჭვინთის ეკლესია VI—IX სს თარიღდება<sup>78</sup>. არ არის უგულებელსაყოფი არქეომაგნიტური მეთოდით საძიებელი ნაგებობის აგურების დათარიღების შედეგები: არქეომაგნიტურად გამოკვლეულ იქნა თექვსმეტი ნიმუში, რომელთა თარიღი განისაზღვრა IX ს. დასასრულითა და X ს. დასაწყისით<sup>79</sup>. ამ ქრონოლოგიურ ფარგლებში უნდა ექცეოდეს ჩვენი მონაპოვარი.

ღია ფერის ჭურჭლის ზოგიერთ ეგზემპლართან ერთ დონეზე აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე რკინის ნივთი, რომელთაგან ორი ბოძალი და შუბისპირი გარკვეულ ინტერესს იწვევს.

<sup>74</sup> შდრ. მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის შუა საუკუნეთა მოუქიჯი კერამიკის თავისებური სახეობა, „მაცნე“, 1964, გვ. V, 165.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 165, 167, 168, 173 შმდ. ტაბ. I—V.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 172—73, ტაბ. IV<sub>6</sub>.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>78</sup> თ. შიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129, 130.

<sup>79</sup> არქეომაგნიტური კვლევა ჩატარებულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ზ. კელიძისა და გეოფიზიკოს მ. კვიციანიძის მიერ.

ბოძალი (ტაბ. XV, კლბ—72—470) მასრიანია, ორკაპა ნაწილი დაბრტყე-  
ლებული აქვს და წამახვილებული.

შუბისპირი (ტაბ. XV, კლბ—72—471) სამკუთხა ფორმისაა, გრძელ-  
ყუნწიანი, მხრებდაშვებული; ყუნწს თავი შემსხვილებული აქვს.

ბოძალიცა და შუბისპირიც, როგორც ჩანს, ისევე უნდა დათარიღდეს, რო-  
გორც მათთან ერთად აღმოჩენილი ღია ფერის ჭურჭელი.

\* \* \*

ასეთია რიონის ქვემო წელზე 60-იანი და 70-იანი წლების დასაწყისში წარმა-  
რთული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური  
მასალა. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები, როგორც დავინახეთ, ორნახევარას-  
წლიან პერიოდს მოიცავს და ამ ხნის მანძილზე საზოგადოების განვითარების  
ყველა ეტაპს ასახავს. ეს ზოგადი მნიშვნელობაა აღნიშნული მასალისა. მაგრამ,  
მას კონკრეტული მნიშვნელობაც აქვს. ეს მასალა გვიქმნის სრულიად გარკვეულ  
წარმოდგენას იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც შემდგომში ხდება კოლხეთის უძვე-  
ლესი საქალაქო ცენტრის ფასისის ქვეყანა და, რაც მთავარია, იმ წინაპირობე-  
ბისა და თავისებურებათა შესახებ, რომლის საფუძველზე აღმოცენდა და არსე-  
ბობდა ქალაქი ფასისი.

## თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

### კველი ფასისის მდებარეობის საკითხის საისტორიო წყაროებში და არქეოლოგიური კვლევა-კივების შედეგები

შესავალ ნაწილში, როდესაც საკითხის ისტორიას ვეხებოდით დაეინახეთ, რომ იმ ავტორებმა, რომელნიც ძველი ფასისის ლოკალიზაციის საკითხს იკვლევდნენ, სამი ჭგუფი შეადგინეს. აღნიშნული გეგონდა, რომ ჩვენ იმათი მოსაზრებანი გვეჩვენება მართებულად, ვისაც ძველი ფასისი უფრო აღმოსავლეთით ეგულება, ვიდრე დღევანდელი ფოთია. განსაზღვრებით გამახვილებული იყო ყურადღება იმ ავტორთა მიმართ, რომელნიც მივიდნენ ყველაზე რაციონალურ დასკვნამდე, რომ თავისი არსებობის მანძილზე ძველი ფასისი გეომორფოლოგიური კატაკლიზმების შედეგად ადგილს ინაცვლებდა. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ ქალაქის გარემო: ფასისი ყოველთვის მდებარეობდა ფასის-რიონის შესართავთან ზღვის სანაპიროზე.

შედარებით უფრო გვიან წყაროებში ფასისის მდებარეობის აღწერილობაში თავს იჩენს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი: ფასისის მიუთითებენ არა მარტო მდ. ფასისისა და შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ ტბასთანაც<sup>1</sup>. მაგრამ, რაკი ფასისის მდებარეობის განსაზღვრა დამოკიდებულია ფასის-რიონის შესართავთან მიმდინარე გეომორფოლოგიური პროცესების გათვალისწინებაზე, ყოველი საისტორიო წყაროს ცნობას საძიებელი ქალაქის შესახებ შეიძლება მხოლოდ კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდეს. ან უკეთ, არ შეიძლება რომელიმე შედარებით გვიანი მწერლის, მაგალითად, არიანეს აღწერილობა მართებულად მივიჩნიოთ ძვ. წ. VI—V საუკუნის ფასისის მიმართ.

უძველესი ცნობა ქალაქ ფასისის შესახებ შემონახულია ძვ. წ. IV საუკუნის ძეგლში, ფსევდოსკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“. მაგრამ ვიდრე ამ ცნობა შეეხებოდეთ ყურადღება მინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სახელწოდება ფასისი როგორც მდინარის სახელი პირველად ძვ. წ. VII საუკუნის ძეგლში ჰესიოდეს „თეოგონიაში“<sup>2</sup> გვხვდება. მდინარე ფასისის კოლხეთში ჰეროდოტე იცნობს, მაგრამ როგორც ირკვევა, მდ. ფასისში ჰეროდოტე რიონს არ უნდა გულისხმობდეს. ამ მხრივ ჰეროდოტე გამონაკლისი არ არის<sup>3</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ჰეროდოტემ არ იცის ქალაქ ფასისის არსებობა, ყო-

<sup>1</sup> Strab., XI, 2, 17.

<sup>2</sup> SC, 317.

<sup>3</sup> თ. მიქელაძე, ძეგლი... გვ 83—84; აგრეთვე, Т. К. Микеладзе. К вопросу о периодизации истории древней Колхиды. Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник), Тб, 1973, გვ. 84.

ველ შემთხვევაში, მის შრომაში ეს ქალაქი არ იხსენიება. არა თუ ჰეროდოტეს, არამედ ჰეკატე მილეტელსაც არ ეგულება ასეთი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. ეს განსაკუთრებით საყურადღებო გარემოებაა, რადგან საისტორიო ტრადიცია ფასისში ბერძნული ახალშენის დაარსებას მილეტელებს მიაწერს<sup>4</sup>. ეს გარემოება გამოიხატავს ვარაუდს, რომ ფსევდოსკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ ფასისის შესახებ ცნობა სკილაქს კარიანდელისაგან მოდიოდეს. როგორც ჩანს უძველესი ცნობა ფასისზე მართლაც, IV საუკუნეს განეკუთვნება და ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსის“ დაწერის ხანას შეესაბამება.

ფსევდოკილაქსთან შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ქალაქთა და მდინარეთა ნუსხაში მითითებულია: „მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი“<sup>5</sup>. მრავალმხრივ საგულისხმო ცნობაა<sup>6</sup>, ამასთან უძველესი საძიებელ ქალაქს რომ შეეხება, მაგრამ ფასისის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მცირედ გამოსადეგი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მხოლოდ მდ. ფ ა ს ი ს ი ს ა და მისი მოსახლე ქალაქის ფ ა ს ი ს ი ს ერთად მოხსენება. საქმე ისაა, რომ ფსევდოკილაქსის „პერიპლუსში“ ჩამოთვლილია სანაპირო ქალაქები და აღწერილია მათთან დაკავშირებული ვითარება. ამიტომ ზემოხსენებული ცნობა ცხადად მიუთითებს მდ. ფასისისა და ქ. ფასისის ტერიტორიულ კავშირზე.

შემდგომი ცნობა სტრაბონის შრომაშია დაცული და ერატოსტენეს (ძვ. წ. 284—200 წწ.) ეკუთვნის<sup>7</sup>. აღნიშნულ ცნობაში მოცემულია მანძილი სტადიონებით ფასისიდან დიოსკურიამდე. ერატოსტენეს მიხედვით ეს მანძილი უდრის არანაკლებ (ὀὐκ ἔλαττω) 600 სტადიონისა<sup>8</sup>. თუ შევუფარდებთ სტადიონების მნიშვნელობას თანამედროვე მეტრულ სისტემას, მივიღებთ, რომ მანძილი ფასი-სიდან დიოსკურიამდე დაახლოებით 108 კმ-ს ტოლი ყოფილა (1 სტადიონი, დაახლოებით, უდრის 180 მ-ს)<sup>9</sup>. თავისთავად ეს ცნობა მნიშვნელოვანი იქნებოდა ფასისის ლოკალიზაციის განსაზღვრისათვის, მანძილი ვარაუდით რომ არ ჰქონდეს ერატოსტენეს მოცემული. იგი მიუთითებს არანაკლები 600 სტადიონისაო, ე. ი. ტოვებს უფრო მეტი მანძილის ვარაუდის შესაძლებლობას. იქ, სადაც საგულვებელი არ არის მკვეთრი გეომორფოლოგიური ცვლილებები ამ რიგის ცნობა საეხებით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა და მისი სწორი ინტერპრეტაციის შეშვეობით შეიძლებოდა ფონს გასვლა. ერთადერთი, რასაც შეიძლება ანგარიში ვაეწიოს ეს ისაა, რომ ერატოსტენეს ცნობაში რიონისპირა ქალაქი იგულისხმება.

ქალაქ ფასისზე და მის მოსახლე მდინარეზე ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება სტრაბონს. როცა მხოლოდ მდინარეზე აქვს საუბარი, სტრაბონი აღნიშნავს, რომ კოლხეთზე მოედინება ფასისი, დიდი მდინარე, რომელსაც არმენიაში აქვს სათავე<sup>10</sup>. აქ შეიძლება გადაშწერთა: მიერ იყოს არეული ორი ცნობა

<sup>4</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი..., გვ. 103.

<sup>5</sup> თ. ყ ა უ ხ ი ო ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 48.

<sup>6</sup> ამ ცნობის ინტერპრეტაცია მოცემული გვაქვს ჩვენს ხსენებულ ნაშრომში—„ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის“, საქ. მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, II, 1960, გვ. 189.

<sup>7</sup> Strab., II, I, 39.

<sup>8</sup> Strab., XI, I, 16.

<sup>9</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბილისი, 1967, გვ. 28.

<sup>10</sup> Strab., XI, 2, 17.

ორი ფასისის შესახებ — ერთი, რომელიც არმენიიდან მოედინებოდა კოლხეთში, როგორც ჩანს, კოროხი (შდრ. პეროდოტესა და აპოლონიოს როდოსელის ცნობებს)<sup>11</sup> და მეორე — რიონი. ეს ცხადია რადგან სტრაბონი იქვე მიუთითებს, რომ ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდღო. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში რიონია ნაგულისხმევი.

უფრო ქვემოთ სტრაბონი აღნიშნავს: „ფასისზე მდებარეობს (მისი) მოსახლე ქალაქი, კოლხების ემპორიონი, რომელიც შემოფარგლულია მდინარით ტბითა და ზღვით“<sup>12</sup>. ეს აღწერილობა ზედმიწევნით შეესაბამება თანამედროვე ფოთის გარემოს. მაგრამ სტრაბონის ცნობით ქ. ფასისი უშუალოდ ტბაზე არ გადიოდა, ტბა ქალაქის მახლობლად მდებარეობდა,<sup>13</sup> ე. ი. უშუალოდ ქალაქს არ ეკვროდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ სტრაბონამდე ფასისთან ტბას არავენ არ ახსენებს.

აღნიშნულ წყაროთა ცნობების ანალიზის შედეგად ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ყველა ვანხილული წყაროსათვის მდ. ფასისი რიონს შეესაბამება, ხოლო ქ. ფასისი მდებარეობს მდ. ფასისის — რიონის შესართავთან, ფასისისა და ზღვის სანაპიროებზე.

ამ დასკვნის რამდენადმე დაზუსტება შესაძლებელია მომდევნო ხანის მწერლების ცნობათა საფუძველზეც. ამათგან ყველაზე სანდო არიანა, რომელმაც 134 წელს ინსპექციის მიზნით დაიარა ფასისი და მისი ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა. არიანე გადმოგვცემს: ფასისში შესვლისას მარცხნივ აღმართულია ღვთაება ფასიანე, რომელიც გარეგნულად რეას ჰგავს<sup>14</sup>. რადგან არიანეს ტექსტში ფასისის ღვთაებისა და ფასისის ციხე-სიმაგრის აღწერილობა ერთიმეორეს ებმის, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ღვთაება და ციხე-სიმაგრე ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილებია, ამიტომ რა მხარესაც ქანდაკება იყო აღმართული ციხე-ქალაქიც იმ სანაპიროზე უნდა ყოფილიყო გაშენებული. მაგრამ არიანეს კონტექსტში რამდენადმე ბუნდოვანია გამოთქმა „მარცხნივ“ (ἄν ἀριστερῆ). გასარკვევია აქ მდინარის მარცხენა ნაპირი იგულისხმება, თუ მდინარეში შემსვლელთათვის მარცხენა მხარე, ე. ი. მდინარის მარჯვენა სანაპირო. არიანეს კონტექსტში არაფერია ისეთი, რაც ზელს შეუშლიდა საძიებელი ცნების ჩვეულებრივ გაგებას, ე. ი. იმას, რომ მდინარის მარცხენა სანაპირო ვიგულისხმეთ. ამიტომ მართალი უნდა იყენენ ისინი, ვისაც არიანეს ტექსტში საძიებელი ადგილი ესმოდათ, როგორც მდინარის მარცხენა სანაპირო და ამიტომ ქ. ფასისსაც და მის ტაძარსაც შესაბამისად მდინარის მარცხენა ნაპირზე ათავსებდნენ<sup>15</sup>.

არსებობს პირდაპირი ცნობებიც, რომლებიც ხსენებულ ვარაუდს ადასტურებენ. ახ. წ. V საუკუნის პერიპლუსის ანონიმი ავტორი გადმოგვცემს: „მდინარის შესასვლელთან ფასისის მარცხენა ნაპირზე (ἀριστερῆ τῆς ἰσθμίου) მდებარე-

<sup>11</sup> თ. შიქელაძე, ძიებანი..., გვ. 83—84; Т. К. Микеладзе. К вопросу о периодизации III в. 84

<sup>12</sup> Strab., XI, 2, 17.

<sup>13</sup> Strab., XI, 3, 4. შდრ. შ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>14</sup> ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (ნ. კეკელიძის გამოცემა) თბ., 1961, გვ. 39—40; ფასაური ღვთაების გამოსახულების აღწერილობა დაუკლია ფილოსტრატე უმპროსთან. ოლონდ აქ ეს ღვთაება მამაკაცად გვევლინება (ახ. SC. გვ. 644).

<sup>15</sup> შ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ობს ფასისად წოდებული მილეტელების ელინური ქალაქი<sup>16</sup>. იგივე გამომდინარეობს აგათიას ცნობიდანაც. აგათია გვაუწყებს, რომ ნახორაგანს სურდა ფასისს სამხრეთიდან მისდგომოდა, რათა წყალს დაბრკოლება არ შეექმნა მისთვის, რადგან მდინარე ჩრდილოეთით ჩაუღის ქალაქს<sup>17</sup>.

ამრიგად, წერილობითი ცნობების ანალიზის შედეგად ზემოთ მიღებულ დასკვნას, რომ მდინარე ფასისი რიონს შეესაბამება, ხოლო მისი მოსახლე ქალაქი ფასისი მდებარეობს ზღვისა და ფასისის-რიონის სანაპიროზე, ემატება კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი: ქალაქი ფასისი ამ ადგილად როს გაშენებული იყო ფასის-რიონის მარცხენა სანაპიროზე სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება ყოფილიყო ქ. ფასისი (თუ სტრაბონის ფასისთან მდებარე ტბა პალიასტომს შეესაბამება) გარშემორტყმული მდინარით, ზღვით და ტბით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ერთადერთი ისტორიული ძეგლი თანამედროვე ფოთის ტერიტორიაზე, თურქული ციხე რიონის მარცხენა სანაპიროზეა გაშენებული. ამ შემთხვევაში ქალაქის მდებარეობის ტრადიციულ გაგრძელებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ რომ ძველ ფასისს ისეთივე მდებარეობა ჰქონდა, როგორც ფოთს აქვს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ძველი ფასისი, თუნდაც დროის მიხედვით ჩვენთან ყველაზე დაახლოებული, დღევანდელი ფოთის ადგილზეა საქმეელი. წერილობითი წყაროების ერთ ნაწილში მოცემული აღწერილობანი თითქოს ამის სასარგებლოდ მეტყველებენ. ყოველ შემთხვევაში, მათი დამოუკიდებელი, სხვა მონაცემებისაგან მოწყვეტილი ანალიზი ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში საკითხის გადასაწყვეტად მარტოოდენ წერილობითი წყაროების ჩვენებაზე დამყარება გამართლებული არ უნდა იყოს, თუ არ იქნა გათვალისწინებული ფასის-რიონის მერყევი რეჟიმი, რომელიც ზღვის შესაყართან, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდ კატაკლიზმებს იწვევდა.

ირკვევა, რომ არა თუ კლასიკური ხანიდან დღემდე — 2500—2600 წლის მანძილზე, არამედ ასეთი პროცესებისათვის დროის სრულიად უმნიშვნელო შუალედებშიც ზღვის სანაპირო საგრძნობლად იცვლიდა თავის კონფიგურაციას. ამის მიზეზია შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს მდებარეობის განსაკუთრებული ლამიანობა. ზღვის სანაპიროს მოსილვის, კალაპოტის მერყეობის და ბიფურკაციის მხრივ კი რიონს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. სპეციალისტების აზრით რიონში სამჯერ მეტი ლამია ვიდრე ნილოსში. რიონს ზღვაში ყოველწლიურად საშუალოდ 10—12 მილიონი ტონა სილა შეაქვს, ზოგჯერ მეტი, ნაკლები კი იშვიათად. წვირილი სილითა და ლამით შემდგარი მონასილის საშუალო მოცულობა 10 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს<sup>18</sup>. სტატისტიკა რიონის შესართავთან ხმელეთის მატებისა ასეთია: 1804, 1870, 1892 წლებში ხმელეთმა საშუალოდ წელიწადში 9 მ მოიმატა. 1870 წლიდან 1936 წლამდე ხმელეთმა 190 მ მოიმატა, ე. ი. ნამატი წელიწადში დაახლოებით 3-მ-ს უდრის<sup>19</sup>. სხვა მონაცემების მიხედვით, ხმელეთის ნამატის ოდენობა უფრო დიდია. ასე,

<sup>16</sup> SC, 274.

<sup>17</sup> ს. ყ ა უ ხ ი შ ი ლ ი, გეოგრაფია, III, გვ. 98.

<sup>18</sup> А. О м е д с о, О дренаже Колхидской низменности. XVII год Великой Октябрьской Революции. М. 1934: Сводный отчет по изысканиям в районе Потийского порта за период с 1926 г по 1947 год. Одесса, 1948 (იხ ფოთის პორტის აუქივი).

<sup>19</sup> Мероприятия по защите потийского порта от запозимости, 1935.



მაგალითად, ფოთის ციხე. რომელიც სულთან ამურად III გენერალისმუსმა მურადმა ააგო 1578 წ. თურქ-სპარსეთის ომის დროს. მდებარეობდა ზედ შავი ზღვის სანაპიროზე, 1858 წლისათვის კი დაშორებული იყო ზღვის ნაპირს 1.8 კმ-ით. ამ შემთხვევაში ხმელეთის მატებამ საშუალოდ 6.5 მ შეადგინა წელიწადში<sup>20</sup>. ამ მხრივ საინტერესოა მ. ბერძენიშვილის წერილში მოტანილი ნიკო ნიკოლაძის ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში ზედ ზღვის ნაპირზე აგებული შუქურა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნაპირს 2 ვერსზე მეტითაა დაშორებული<sup>21</sup>.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებზე დაკვირვება არ არის მხოლოდ თანამედროვე ან საერთოდ ახალი დროის მეცნიერების მიღწევა, ისინი შემჩნეული ჰქონდათ ჯერ კიდევ ადრეელისტიურ ხანაში. სტრაბონთან დაკუთვლია ერთი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ძვ. წ. IV—III სს. მეცნიერს სტრატონს ფიზიკოსად წოდებულს. სტრატონი შავი ზღვის მდინარეების აღნიშნულ თავისებურებათა გამო შიშს გამოთქვამდა, რომ პონტო საბოლოოდ შლამით აივსებაო. ხოლო პოლიბიოსი დაყენებით არწმუნებდა მკითხველს — პონტო ძველადაც და ახლაც შლამით ივსებაო<sup>22</sup>.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ მოვლენებს რიონის შესართავთან სრულიად კანონზომიერი ხასიათი აქვთ და დასტურდებიან მთელი ისტორიული ხანის განმავლობაში. თუ უკვე ხსენებულ რიცხობრივ მონაცემებს დაეუბრუნდებით და ხმელეთის მატებას წელიწადში საშუალოდ 4 მ. ევიარაუდებთ 2500 წლის მანძილზე ზღვის სანაპირო რიონის შესართავთან 10 კმ-ით მაინც უნდა ყოფილიყო გაზიდული, აღმოსავლეთით, დღევანდელი სანაპირო ხაზიდან. შესაბამისად, მთელი ტერიტორია, რომელზეც დღეს ქ. ფოთია გაშენებული; და პირველ რიგში კი კუნძულის უბანი, გვიანდელ წარმონაქმნად უნდა ჩაითვალოს. ძნელია გადაჭრით ითქვას შეიძლება თუ არა ასეთ ლოგიკას შეესაბამებოდეს მორფოლოგიური პროცესები, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ უკანასკნელი 2500 წლის მანძილზე რიონის შესართავში, ე. ი. დასაშვებია თუ არა მეთოდურად ამგვარი გამოთვლები. აღსანიშნავია რომ ზოგადი სურათის თვალსაზრისით, ასეთ რეკონსტრუქციას რიგი მონაცემები უნდა ამართლებდეს. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ პატარა ფოთის პირვანდელი სახელწოდება „ძველი ფოთი“<sup>23</sup>. ეს სახელი სანაპირო ქალაქის ადრინდელ მდებარეობაზე მიგვანიშნებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ პატარა ფოთში, ზღვის თანამედროვე ნაპირიდან აღმოსავლეთით 7 კმ-ის მანძილზე მიუთითებდნენ ზღვის სანაპირო მოწყობილობასაც<sup>24</sup>.

ძველი ფაქისის თანამედროვე ფოთზე უფრო აღმოსავლეთით მდებარეობის შესაძლებლობას მხარს უჭერს აგათიას მეტად მნიშვნელოვანი ცნობაც, რომელსაც სათანადო ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ მ. ბერძენიშვილმა<sup>25</sup>. აგათიაა გადმოგვცემს, რომ ფაქისი ნესოსს სულ დიდი ექვსი ფარსანგითაა დაშორებული

<sup>20</sup> Dubois de Montpèreux. გვ. 75.

<sup>21</sup> მ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>22</sup> შტრ. მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

<sup>23</sup> Dubois de Montpèreux, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

<sup>24</sup> В. А. Сихарулидзе, В. В. Дихамиджиа. დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>25</sup> იხ. მისი ქ. ფაქისის ლუკალიზაციისათვის, გვ. 18—19.

აღმოსავლეთით<sup>26</sup>. დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ აგათიასთან დამოწმებუ-  
ლი ნ ე ს ო ს ი, ი ს უ ლ ა — ი ს უ ლ ე თ ს შეესაბამება და გულისხმობს ტეხურს.  
რიონსა და სუდგარს შორის მოქცეულ ადგილს, რომელსაც ახლაც ი ს უ ლ ე თ ი  
იქვია. ეს სახელწოდება შემონახულია ტეხურისა და რიონის შესაყარის მახ-  
ლობლად არსებულ სოფ. ი ს უ ლ ა ს სახელშიც<sup>27</sup>. და აი, სწორედ ამ ადგილიდან,  
ე. ი. დაახლოებით რიონ-ტეხურის შესაყარიდან ქ. ფასისამდე, აგათიას ცნობით,  
სულ დიდი ექვსი ფარასანგია.

ფარასანგი მანძილის სპარსული საზომია და მისი მნიშვნელობა ყოველ-  
თვის ერთი არ არის. ეს კარგად იცოდნენ ძველმა ბერძნებმა და როდესაც სურ-  
დათ მანძილის ზუსტი გადმოცემა აღნიშნავდნენ ფარასანგის ბერძნულ შესატ-  
ყვისებს. ჰეროდოტესა და ქსენოფონტის მიხედვით, ფარასანგი ტოლი იყო ოც-  
დაათი ბერძნული სტადიონისა, რაც ცოტათი აღემატება თანამედროვე მეტრუ-  
ლი სისტემის 5 კმ-ს<sup>28</sup>! ჰეროდოტესა და ქსენოფონტის ფარასანგის მნიშვნელობა  
ცნობილი იყო, აგათიასათვის: — ფარასანგი — გვაუწყებს იგი, როგორც ჰერო-  
დოტე და ქსენოფონტი ფიქრობდნენ, ოცდაათ სტადიონს უდრის, ხოლო ამჟა-  
მად იბერები და სპარსელები მხოლოდ ოცდაერთ სტადიონად თვლიან. ანე ფიქ-  
რობენ თვითონ ლაზებიც, ხოლო ამ სახელს კი არ უწოდებენ, არამედ — „შესა-  
სვენებელს“ (ἀνὰπαιλά) ეძახიან, და ფიქრობენ სრულიად სამართლიანადაც.  
ვინაიდან თითოეული ფარასანგის გავლისა ტვირთშიდაეები ტვირთსაც ჩამო-  
იღებენ ხოლმე და ცოტათი შეისვენებენ კიდეც, მათ სხვები შეენაცვ-  
ლებიან და რამდენჯერაც ასე მოიქცევიან, იმდენით ზომავენ და ანაწილებენ გზის  
მანძილს. ამას ვუწოდებთ ფარასანგს თუ იმას, ნესოსი ასორმოცდაათი სტადიო-  
ნითაა დაშორებული ტელეფისის ციხეს<sup>29</sup>. რამდენადმე წინ აგათია აღნიშნავს,  
რომ ნესოსი სულ დიდი ხუთი ფარასანგითაა დაშორებული ტელეფისსო<sup>30</sup>. რა გა-  
მოდის, თუ ტელეფისს და ნესოსს შორის ხუთი ფასანგია და იგივე მანძილი  
ასორმოცდაათ სტადიონს უდრის, მაშინ აგათიას ფარასანგი 30 სტადიონის ტო-  
ლი ყოფილა. რაც შეეხება ლაზურ ფარასანგს, რომელსაც ისინი — ს ა დ გ ო მ ს  
შ ე ს ა ს ვ ე ნ ე ბ ე ლ ს უწოდებენ, მისი სიდიდე ლაზებისათვის უცვლელი  
რჩება. ლაზებისათვის შეიცვლება მხოლოდ ფარასანგის შემადგენელი სტადიო-  
ნების რიცხობრივი მნიშვნელობა. როგორც ირკვევა, ლაზებისათვის სტადიონი  
დაახლოებით 250 მ-ს შეესაბამებოდა

ამრიგად, თუ რიონ-ტეხურის შესაყარიდან ქ. ფასისამდე 6 ფარასანგი იყო,  
ეს მანძილი თანამედროვე მეტრული სისტემების მიხედვით 30—32 კმ-ს უდრის.  
რიონ-ტეხურის შესაყარიდან 30—32 კმ პატარა ფოთის დასავლეთ კიდემდე  
მოდის, ე. ი. თანამედროვე ფოთის სანაპირომდე და ზღვის ახლანდელ სანაპირო  
ზოლს დაშორებულია 7—8 კილომეტრით. ეს ის ადგილებია, სადაც როგორც  
ზემოთ დავინახეთ დაზვერვითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა მასალა (წელ-

<sup>26</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, გეორგია, ტ. III, გვ. 97.

<sup>27</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, გეორგია, ტ. III, გვ. 97 გვ. 97—99; შდრ. Б. А. К у ф т и н, МАК, I გვ. 112—113.

<sup>28</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისის“ თბ., 1967, გვ. 24—32.

<sup>29</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, გეორგია, III, გვ. 37.

<sup>30</sup> ი ქ ვ ე, გვ. 36 (აგათია სქოლასტიკოსის ἀνὰπαιλά. როგორც მისი ტექსტიდან ჩანს, შეესაბამება ქსენოფონტის ს ტ ა თ მ ო ს ს (იხ. თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასი-  
სი“, თბ., 1967, გვ. 31—32).

გამოყვანილი ამფორები, გვერდაკეცილი კრამიტა, აკერი და სხვ), რომელიც ახ. წ. V—VI საუკუნეებს, ე. ი. აგათია სქოლასტიკოსის ხანას განეკუთვნება.<sup>1</sup>

ზემოთ განხილული თვალსაზრისით, ძალიან საგულისხმოდ მეჩვენება კლავდიოს პტოლემეოსის შემდეგი ცნობა (V, 9, 1): „კოლხეთს ესაზღვრება... დასავლეთით ეგქსინოს პონტოს ნაწილი მდინარე კორაკოსიდან, ვიდრე ღრუმდე (უბემდე, ყურემდე) ფასისთან (Μέγας τῆς ἁπῆς Πάσης μαγῆς)“. ეს ადგილი ზოგჯერ ნებისმიერადაა თარგმნილი, რითაც ტექსტის შინაარსი არ ირღვევა<sup>21</sup>. მაგრამ დეტალიზაციის დროს იგარძნობა მეტი სიზუსტის დაცვის აუცილებლობა. სიტყვა μαγῆς ყველა ბერძენ მწერალთან პომეროსიდან მოყოლებული, გადმოგვცემს სიღრმის შინაარსს, ხოლო რიგი მწერლებისა (პინდარე, თუციდიდე) ამ სიტყვით ზღვის უბეს, ზღვის ყურეს აღნიშნავენ<sup>22</sup>. მაშასადამე, კლავდიოს პტოლემეოსის განხილული ცნობის თანახმად. ფასისის შესართავთან უბე უნდა ყოფილიყო. როგორ შევეუთავსოთ ეს ცნობა თანამედროვე გამოკვლევებს, რომელთა შედეგადაც ძველი ფასისის არსებობის ხანაში ფანაგორული რევრესიის გამო ფასისის შესართავთან ზღვის უბის არსებობის შესაძლებლობა კატეგორიულადაა უარყოფილი<sup>23</sup>. არ შეიძლება, რომ გეომორფოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს ანგარიში არ გავუწიოთ. მაგრამ ასევე ძნელია ხელალებით უარის თქმა. პტოლემეოსის ცნობაზე, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერენ როგორც ზემოთ მოტანილი ცნობები და მოსაზრებანი, ისე ზოგიერთი ცნობა, რომელსაც ქვემოთ შევხებით. უნდა ვიფიქროთ, რომ შეიძლება პტოლემეოსის მოვლენა სწორად არ შეეფასებინა, მაგრამ არ შეიძლება რაიმე საფუძველი არა ჰქონოდა, როცა ფასისთან ღრუს (უბის) არსებობაზე მიუთითებდა. ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სპეციალისტებმა, მართალია, უარყოფენ ფასის-რიონის შესართავთან ზღვის უბის არსებობას. მაგრამ 2500—3000 წლის წინ ვარაუდობენ ესტუარიუმს, რომელიც შექრილი იყო კოლხეთის დაბლობში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე — და რომლის თავშიც გაშენებული იყო ქ. ფასისი. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ეს ესტუარიუმი ზღვასთან შეხების ზოლში თანამედროვე ფოთის ადგილზე ქმნიდა პატარა უბეს<sup>24</sup>. შემდგომ ზღვის დონის ამაღლებასთან ერთად ესტუარიუმი ამოივსო ფასის-რიონის მიერ მოტანილი ნაშალი მასალით, რამაც თავის მხრივ რიონის შესართავთან გამოიწვია რამდენიმე კილომეტრით ხმელეთის ზრდა<sup>25</sup>. ამ პროცესს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. როდის მიიღო რიონის შესართავმა თანამედროვე კონფიგურაცია ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ამ 500 წლის წინ აქ საკმაოდ დიდი ესტუარიუმი უნდა ყოფილიყო. „მოამბის“ 1894 წლის XI ნომერში დაბეჭდილი იყო XV ს. იტალიელი მოგზაურის ამბროზიო კონტარინის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც სულ ახლა გამოაქვეყნა მ. პაჭკორიამ<sup>26</sup>. ესარგებლობ მისი პუბლიკაციით: „1474 წლის 1 ივლისს — გვაუწყებს ამბროზიო კონტარინი,

<sup>21</sup> ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეოსის, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, 32, გვ. 45.

<sup>22</sup> იხ. И. X. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь. М. 1958, 1118.

<sup>23</sup> ქ. ჭანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 13, 14.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>26</sup> იხ. გაზეთი „ახალი კოლხეთი“, 1975, 19 ივლისი, № 25.

— მივედით იქ, სადაც ფასისი ზღვას შეერთვის. ბარკასით შეგვეგებენ მეგრელები... გემიდან გადაესხედით მათ ბარკასში და შევედით ფაზისში. შესვლისთანავე კუნძულს მივაწყედით... ღამე ამ კუნძულზე გაატარეთ... 2 ივლისს დილით მეგრელებისავე ბარკასით გავყევით მდინარეს პირშელმა და მივედით ფაზისის ქალაქში. ეს ქალაქი დგას მდინარე ფაზისის პირად და გარშემო ტყე აკრავს“.

უაპრავ ინფორმაციას ვიღებთ მოყვანილი ცნობიდან. ჯერ ერთი საგულისხმოა, რომ XV ს-ში ქალაქს კვლავ ფასისს უწოდებდნენ. როგორც ჩანს, ეს ქალაქი დღევანდელი პატარა ფოთის ადგილზე უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ დიუბუა დე მონპერეს ცნობა, რომ პატარა ფოთს, ალბათ, ახლისაგან განსხვავებულად ძველ ფოთს უძახდნენ. ის მიწა, რომელზეც შემდეგ ქ. ფოთი აღმოცენდა, ე. ი. რომელზედაც ქალაქმა ადგილი ინაცვლა, XV ს. წარმოდგენილია კუნძულად. რომლის მატერიკთან შეერთება ამ საუკუნის შემდეგ ხდება რიონის ზემოქმედების შედეგად. ამავე ცნობიდან ირკვევა, რომ ფასისის შესართავთან ესტუარიუმიან ან იქნებ უბის არსებობის ვარაუდი დასაშვებია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩვენი სავსე დაკვირვებებიც: სიმაგრის ქვედა, მესამე ფენის (№ 4 ნაგებობის) იატაკის დონე; რომელიც რამდენადმე მაღლა უნდა ვივარაუდოთ ფასის-რიონის მარცხენა ტერასის ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის, ე. წ. დღის ზედაპირზე, შავი ზღვის თანამედროვე დონიდან 2,90 მ სიმაღლეზეა, ე. ი. 1,5—2 მ-ით უფრო დაბალია, ვიდრე რიონის ტერასის თანამედროვე დონეა. მართალია, სიმაგრის ნაშოსანლარის არსებობის ხანა ემთხვევა, ე. წ. ფანაგორიული რეგრესიის პერიოდს, როცა შავი ზღვის სარკეს თანამედროვესთან შედარებით 4—5 მ-ით დაბლა ვარაუდობენ<sup>37</sup>, მაგრამ 10—15 კმ, რითაც სიმაგრის ნასახლარი დაშორებულია ზღვის თანამედროვე სანაპიროს, იმდენად დიდი მანძილია მდინარის ტერასაზე 7—8 მ სიმაღლის შესანარჩუნებლად, სიმაღლისა, რომელიც ქალაქის გაშენებისათვის აუცილებელ მინიმუმს შეადგენს, რომ ზღვის სანაპიროს ძვ. წ. VI ს. შუა ხანებში ფასის-რიონის შესართავთან უფრო აღმოსავლეთით გვავარაუდებინებს.

ფანაგორიულ რეგრესიას, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა, ე. წ. ახალშავზღვეური ტრანსგრესია, როცა შავი ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით 1.5—2 მ-ით მაღალი იყო. მაშასადამე, ახალშავზღვეური ტრანსგრესიის დროს რიონის შესართავთან ხმელეთი ზღვით უნდა ყოფილიყო დაფარული ფასის-რიონის ორივე მხარეს საქორჭიომდე და პატარა ფოთამდე მძინე თუ ამ სოფლების ჩათვლით არა. საქმე ის არის, რომ თუ შევადარებთ ძვ. წ. VI ს. დღის ზედაპირს საქორჭიომში შავი ზღვის დონეს ახალშავზღვეური ტრანსგრესიის დროს, მათ შორის სხვაობა ერთ მეტრს არ აღემატება. ახალშავზღვეური ტრანსგრესიას კი დასრულებულად ვარაუდობენ სიმაგრის დასახლებაზე ათასიოდე წლით ადრე<sup>38</sup>.

ახალშავზღვეური ტრანსგრესიის დროს ზღვით დაფარული შეიძლება ყოფილიყო რიონის დაბლობი დაახლოებით 7 კმ მანძილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ნაბადასა და პალიასტომს შორის, რადგან როგორც გამოკვლევებმა ცხადყვეს, პალიასტომის სამხრეთითაც და ნაბადას გარშემოც განფენილია ტორფე-

<sup>37</sup> კ. ქ ა ნ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

<sup>38</sup> ი ქ ე ე, გვ. 12.

ბი. რომელთა წარმოქმნა დაიწყო ამ 6000 წლის წინ და გრძელდებოდა ახალ-შავზღური ტრანსგრესიის დროსაც<sup>39</sup>.

I რიონის შესართავის მხარეში ჩატარებული გეომორფოლოგიური კვლევის ეს უახლესი შედეგები კარგად შეესაბამება, როგორც ადრეულ (1961--65 წწ.) ისე მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. წინა თავებში წარმოდგენილმა მასალამ ნათელი გახადა, რომ რიონის შესართავთან რიონის ვაკის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის უძველესია ბორციე ზ უ რ გ ა, რომელიც სოფ. ქვემო ჰალადიდში საბაჟოს უბანში მდებარეობს და რომლის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს. სოფ. ქვემო ჰალადიდში, ისევე საბაჟოს უბანში, დადასტურებულია დასახლების ნაშთები, რომელნიც მომდევნო ხანით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებიან და უშუალოდ ამ ნამოსახლარების მომდევნო დასახლებაც, რომელიც ძვ. წ. VI—IV სს. არსებობდა. რაც შეეხება რიონის მარცხენა ტერასას, როგორც ნაჩვენები იყო, იქ, მართალია, ასეთი ძველი დასახლების ნიშნები არ ჩანს, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული შუა ფეოდალური ხანის ჩათვლით თითქმის უწყვეტი დასახლება დასტურდება.

ასეთი ვითარება რიონის ორივე მხარეს იმ გზის ხაზზე სოფ. ქვემო ჰალადიდში, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საბაჟოს უწოდებენ და, რომელიც რიონსა და ზღვაზე გასასვლელი გზა იყო. ამ ხაზის დასაველით, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროს მიმართულებით, დღემდე არ არის მიკვლეული გვიანელის-ტურზე ადრეული ხანის არქეოლოგიური მასალა.

რა გამოდის: ახალშავზღური ტრანსგრესიის დროს ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში სოფ. ქვემო ჰალადიდის მიდამოებში არ უნდა არსებულიყო დასახლების პირობები. ყოველ შემთხვევაში, ამ ხანის დასახლების კვალი აქ დღემდე არ ჩანს, ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ფრიად, რომ ჯერ კიდევ ნ. შაფრანოვს ჰქონდა შემჩნეული ზღვის ფაუნის ნაშთები პალიასტომის სანაპიროებზეც და ჰობებშიც კი. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამ მოლუსკებს სუფსასა და რიონს შორის მოქცეულ მონაკვეთზე ზღვაშიც კი არ შეუძლიათ არსებობა, რადგან სუფსა და რიონი ანეიტრალეზენ ზღვის სიმლაშეს<sup>40</sup>. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ჩატარებული ბურღვების შედეგად, ზღვის ფაუნა დადასტურდა თითქმის ჰალადიდამდე. რამაც სპეციალისტებს, მიუხედავად ზღვის დეპრესიისა, აჯარაუდებინათ მცირე სიღრმის უბე ჰალადიდის მისადგომებამდე<sup>41</sup>. როგორც შესავალ ნაწილში ვუჩვენებდით, ზღვის მოლუსკებს დიდი როლდენობით ვხვდებით ფოთის აღმოსავლეთ განაპირა ქუჩების ბურღვის დროსაც.

სმ 3500 წლის წინ კი, როცა იწყება ფანაგორიული რეგრესია და ზღვა უკან იხეკს იწყება აგრეთვე ქვემო ჰალადიდის მიდამოების ათვისებაც. ჩნდება პირველი დასახლებანი — ზ უ რ გ ა და ჰალადიდის I ათასწლეულის სამოსახლოები და საფუძველი ეყრება მომავალ ქ. ფასისის სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას. რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან ფასის-რიონის მარცხენა სანაპიროზეც განივრ-

<sup>39</sup> პალიასტომ-მნათის მასივი ტორჟების ყველაზე ადრეულ ფენებს რადიოკარბონული მეთოდით ვენაზღვრავენ  $5825 \pm 125$  წლით, შედარებით გვიან ფენებს —  $2100 \pm 150$  წლით, ხოლო ნაბადას მასივში უადრესს —  $6660 \pm 60$  წლით, ხოლო შედარებით გვიანს —  $2110 \pm 50$  წლით (იხ. ქ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—16).

<sup>40</sup> Н. Ш а ф р а н о в, Образование Палеостома и притока его Капар-чая, 57.

<sup>41</sup> Б. А. К у ф т и н, МАК, II, 284.

ცნობა (სიმაგრისა და რიონის მარცხენა ტერასის ძვ. წ. VI—V სს. და ელინისტური ხანის სამოსახლოები). ფანაგორიული რეგრესიის განვითარებასთან ერთად, რიონის შესართავთან, როგორც ჩანს, იქმნება პირობები ფასის-რიონის ვაკის თანდათან ათვისებისა დასავლეთი მიმართულებით, რაც ხორციელდება კიდევ უფრო შერეულ შემთხვევაში ამ პროცესის კვალს აშკარად გავლენება თვალი ფასის-რიონის ორივე სანაპიროზე: გვიანელინისტური, რომელიც და ბიზანტიური ხანის სამოსახლოთა ნაშთები, თხინას ტყეში, ფოთის სანერგეში, სოფ. საქორაქოს დასავლეთ ნაწილში, ქ. ფოთის აეროდრომზე.

ამრიგად, ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლის განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი და რომელიც დამოწმებული არიან რიონის ორივე სანაპიროზე, ქმნიან საფუძველს ვარაუდისათვის: ა) ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც ქალადიდ-სიმაგრის მიდამოებში არსებობას იწყებენ სამოსახლოები, რომელთა წარმოქმნასა და ხასიათში მოცემულია წინაპირობები საქალაქო ცენტრის აღმოცენებისა და რომელთა საფუძველზე შემდგომ წარმოიშობა ქ. ფასისი. ბ) ამ ძეგლების ტოპოგრაფიაში მოცემულია შესაძლებლობა, მდ. ფასის-რიონის კალაპოტი რიონის ქვემო წელზე — იქვე ვივარაუდოთ, სადაც ახლანდელი ის გარეგნობა, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით ზღვის თანამედროვე სანაპიროს სულ უფრო და უფრო გვიანი ძეგლები გვხვდება, შეიძლება იმას გვიჩვენებდეს, რომ ქ. ფასისი სხვადასხვა ეპოქაში ფასის-რიონის სხვადასხვა მონაკვეთზე მდებარეობდა. ამის გამო, ზემოთ წამოყენებული მოსაზრება, რომ ამა თუ იმ წყაროს ცნობა ქ. ფასისის მდებარეობის შესახებ შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ შინაარსს ატარებდეს, მეთოდურ მნიშვნელობას იძენს.

ცალკე, დგას საკითხი ფასისის, როგორც საქალაქო ცენტრის ტიპოლოგიური თავისებურებების შესახებ. მაგრამ, რაკი უშუალოდ ქალაქი ჯერ არ არის აღმოჩენილი, ამ საკითხზე მსჯელობა, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შეიძლება მხოლოდ ფასისის ქვეყნის თავისებურებათა მიხედვით. ხოლო ეს თავისებურებანი, რომელიც მთელი სისრულით გამოქვეყნებულია ზემოთ განხილულ მასალის ცალკეულ ჩგუფებს შორის მიმართებაში, სავსებით შეესაბამება იმას, რაც კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი<sup>42</sup>. ამით განისაზღვრება განხილული მასალის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა და მისი პუბლიკაციის მიზანი და დანიშნულება.

<sup>42</sup> თ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა, გვ. 36.

## АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ В НИЖНЕМ ТЕЧЕНИИ РИОНИ

(Материалы к истории древнего Фасиса)

### Резюме

1. Археологические исследования в районе устья р. Риони (Фасиса) до революции не проводились, если не считать разведки незначительного масштаба, осуществленные в низовьях реки, в связи с V археологическим съездом в Тифлисе.

Настоящие археологические исследования начались здесь лишь после установления Советской власти в Грузии и были связаны с большими работами по осушению Колхидской низменности. Исследования эти продолжались сравнительно недолго.

В 1961 г. в связи с разработкой проблемы «Города и городская жизнь древней Грузии» в Институте истории им. И. А. Джавахишвили АН СССР была образована Потийская археологическая экспедиция для изучения проблемы древнего Фасиса. С этого времени начинается регулярное (правда, с некоторыми перерывами) исследование района устья Риони.

2. Научный интерес к проблеме древнего Фасиса возник более чем сто лет тому назад. В течение данного времени этого вопроса касались многие ученые и любители науки. Правда, в работах исследователей суть проблемы была доведена, в основном, до определения местонахождения Фасиса, однако пока эта сторона вопроса не освещена полностью, она имеет существенное значение и ее решение до сих пор задача первостепенной важности.

Исследователей, занимавшихся разработкой вопроса локализации древнего Фасиса, следует разделить на две группы. К первой группе относятся те из них (Ф. Брун, Н. Шафранов, Б. Куфтин, Г. Гришюла), которые или полностью исключают идентичность р. Фасиса с р. Риони, или считают, что Фасис древних авторов не всегда или не во всех частях своего течения соответствует современной р. Риони и поэтому г. Фасис, по их мнению, надо искать к югу от современного устья Риони. Вторая группа исследователей (Фр. Дюбуа де Монперс, Л. Ельницкий, М. Бердзишвили, Н. Ломоурн, Ч. Джанелидзе), наоборот, пытается доказать идентичность р. Фасиса и р. Риони со следующим уточнением: р. Фасис соответствует р. Риони, однако устье данной реки и, следовательно, берег моря и г. Фасис следует искать восточнее того места, где расположен современный портовый город Потн или, по крайней мере, центральная его часть.

Так обстояло дело по вопросу локализации Фасиса к моменту начала работ Потийской археологической экспедиции. В результате предварительных исследований хотя и стало очевидным, что в пределах

г. Потн проведение обычных археологических раскопок нецелесообразно, однако было необходимо исключить довольно обширную территорию, занимаемую городом Потн, которую, при интерпретации с определенной точки зрения сведений письменных источников, могли бы принять за место расположения древнего Фасиса.

Было решено провести исследования посредством геологического бурения. Большинство скважин были пробурены в восточной части города, которая расположена между озером Палнастом и р. Риони. Если предположить, что на месте остальной части города было море, то этот район, по особенностям окружения, предельно соответствует древнему Фасису, который по описанию Страбона был расположен между морем, озером и р. Фасис.

Бурения показали, что в этой части города расстилается песок морского происхождения, который содержит множество остатков морской фауны, представленной моллюсками современного Черного моря. Ископаемые формы не засвидетельствованы. Следует отметить, что в нескольких скважинах среди упомянутых моллюсков была найдена керамика, в которой привлекли внимание несколько черепков, составом и цветом глины напоминающих синопскую продукцию III—II вв. до н. э.

Керамику эту, по-видимому, смыло морем с прибрежного культурного слоя и, несмотря на то, что точно датировать ее затруднительно, в общих чертах она все же определяет время осаднения в этих местах остатков морской фауны.

## I

Следы самых ранних поселений в районе устья р. Риони (Фасиса) были обнаружены в с. Чаладиди в 12 км к востоку от г. Потн (Фасиса), на правом берегу Риони (Фасиса). Эти поселения расположены в той части села, которая называется С а б а ж о (Таможня), происхождение названия которого связано с таможенной платой, взимаемой за вывоз товаров к р. Риони для последующего переправления к морю в порт Потн. Примечательно, что Чаладиди сравнительно новое название. На старых картах все село называлось С а б а ж о. Не исключена возможность, что это название отражает обстоятельство не только последних столетий, но и гораздо более раннего времени и непосредственно связано с древним Фасисом.

Здесь были обнаружены остатки нескольких поселений, самое древнее из которых было зафиксировано на холме Зурга.

